ევროკავშირი საქართველოსთვის

Project funded by the European Union

EU4Environment

Green Economy in Eastern Partner Countries

სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების შესახებ სახელმძღვანელო

2023 წელი

Action implemented by:

OECD BETTER POLICIES FOR BETTER LIVES | UNECE | UN environment programme | UNIDO | THE WORLD BANK IBRD • IDA | WORLD BANK GROUP

„სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების შესახებ“ სახელმძღვანელო მოამზადეს გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) ექსპერტებმა მარტინ სმუტნიმ (საერთაშორისო ექსპერტი სგშ-ის და გზშ-ის საკითხებში) და ირმა მელიქიშვილმა (ეროვნული ექსპერტი), ასევე შემუშავების პროცესში ღირებული კომენტარები წარადგინა გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) სამართლის საერთაშორისო ექსპერტმა - იერჟი იენდროშკამ.

წინამდებარე პუბლიკაცია დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ. მისი შინაარსი ავტორების პასუხისმგებლობაა და არ ასახავს ევროკავშირის შეხედულებებს.

სარჩევი

I. შესავალი **4**

1. სახელმძღვანელოს მიზანი და დანიშნულება 4

II. ზოგადი ინფორმაცია სგშ-ის შესახებ **4**

1. რა არის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება (სგშ)- მისი ამოცანები, სარგებელი და ხარჯები 4

2 . სგშ-ის საერთაშორისო და ეროვნული სამართლებრივი ჩარჩო 7

3. კავშირი სგშ-სა და გზშ-ს შორის 8

III. სგშ-ის პრაქტიკული გამოყენება **9**

1. სგშ-ის ძირითადი მონაწილეები, მათი ზოგადი ფუნქციები და ვალდებულებები 9

2. სგშ-ის პროცესის მიმოხილვა 12

3. სგშ-ის გამოყენების მასშტაბი 12

4. სგშ-ისა და გზშ-ის დონეების განსაზღვრა 16

IV. სკრინინგი და სგშ-ის პროცედურული ეტაპები **17**

1. სკრინინგი 17

2. სკოპინგი 25

3. სგშ-ის ანგარიში 31

4. სგშ-ის ანგარიშის განხილვა 33

5. რეკომენდაციების გაცემა სტრატეგიულ დოკუმენტსა და სგშ-ის ანგარიშთან დაკავშირებით 37

V. სტრატეგიული დოკუმენტის მიღება/დამტკიცება **39**

VI. სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების შედეგების შემდგომი ანალიზი (მონიტორინგი) **40**

VII. საზოგადოების მონაწილეობა **43**

VIII. გარემოზე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შეფასების პროცედურა **47**

IX. სგშ-ის ჩატარებასთან დაკავშირებული სხვა პრაქტიკული რჩევები **52**

დანართები **56**

გამოყენებული ლიტერატურა 75

I. შესავალი

1. სახელმძღვანელოს მიზანი და დანიშნულება

სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების (სგშ) განხორციელების სახელმძღვანელოს (შემდგომში სგშ-ის სახელმძღვანელო) მიზანია, ხელი შეუწყოს საქართველოში სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების (სგშ) პროცედურის განხორციელებას „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ (შემდგომში კოდექსი)[1] შესაბამისად. მისი მიზანია, განსაზღვროს სგშ-ის პროცესების მთავარი მონაწილე მხარეები, კერძოდ, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს (შემდგომში სააგენტო), საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ ლევან საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრის, დამგეგმავი ორგანოების, საზოგადოების, კონსულტანტებისა და გადაწყვეტილების მიმღები ადმინისტრაციული ორგანოების როლები და პასუხისმგებლობები. დოკუმენტში ასევე წარმოდგენილია სგშ-ის ცალკეული ეტაპების განხორციელების პრაქტიკული რჩევები, სკრინინგისა და სკოპინგის რეკომენდებული ფორმები, სახელმძღვანელო კითხვები ხარისხის კონტროლისათვის და სხვ.

ამას გარდა, სგშ-ის სახელმძღვანელოს მიზანია, დაეხმაროს დამგეგმავ ორგანოებს სამართლებრივი ვალდებულებების შესრულებასა და სტრატეგიული დოკუმენტებისთვის სგშ-ის განხორციელებაში.

II. ზოგადი ინფორმაცია სგშ-ის შესახებ

1. რა არის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება (სგშ)- მისი ამოცანები, სარგებელი და ხარჯები

სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება (სგშ) წარმოადგენს სტრატეგიული დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხების ინტეგრირების საერთაშორისო დონეზე აღიარებულ ინსტრუმენტს. სგშ ხელს უწყობს მდგრადი განვითარების პრინციპების დამკვიდრებას და ამით წვლილი შეაქვს მწვანე ეკონომიკაზე გადასვლისკენ მიმართულ ძალისხმევაში. სგშ უნდა ჩატარდეს სტრატეგიული დოკუმენტის[2] მომზადების პროცესში, რათა

[1] გარემოსდაცვითი შეფასების კანონმდებლობის მომზადება, რომელიც შეესაბამება ევროკავშირის მოთხოვნებს, საქართველოში 2014 წელს დაიწყო გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) ტექნიკური მხარდაჭერით EaP Green პროგრამის ფარგლებში. შედეგად, 2017 წელს მიღებულ იქნა „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“, რომელიც ითვალისწინებს ევროკავშირის გზშ-ისა და სგშ-ის დირექტივების (N2011/92/EU დირექტივა გარკვეული სახელმწიფო და კერძო პროექტების გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ და 2001/42/EC დირექტივა გარკვეული გეგმებისა და პროგრამების გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ), ასევე „ტრანსასაზღვრო კონტექსტში გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ კონვენციის (ესპოს კონვენცია)“ და მისი ,,სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების შესახებ ოქმის“ მოთხოვნებს. კოდექსის გზშ-ის ნაწილი ძალაში შევიდა 2018 წლის იანვარში, ხოლო სგშ-ის ნაწილი 2018 წლის ივლისში.

[2] კოდექსის მე-3 მუხლით განსაზღვრული სტრატეგიული დოკუმენტი არის საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ადმინისტრაციული ორგანოს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, რომლითაც ცალკეული სექტორებისთვის დგინდება სამომავლო განვითარების

სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ზემოქმედება დროულად იყოს შესწავლილი და გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების ადრეულ ეტაპზე.

შედეგად, სგშ ზრდის დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესის ხარისხსა და მათ შედეგებს. ის ხელს უწყობს სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღებასა და სტრატეგიული დოკუმენტების ეფექტიანად განხორციელებას, რადგან მათში - სგშ-ის სათანადოდ ჩატარების გზით - უკვე გათვალისწინებულია როგორც შესაძლო ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე, ისე დაინტერესებული მხარეების, მათ შორის გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობის დაცვაზე პასუხისმგებელი სტრუქტურების, და საზოგადოების მოსაზრებები.

სგშ-ის სარგებლიანობა

სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სათანადოდ განხორციელება - დაგეგმვისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესებისთვის სარგებლის მომტანია.[3]

კონკრეტულად:[4]

- **გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის უფრო მაღალი დონე:** სგშ განსაზღვრავს თუ რა სავარაუდო მნიშვნელოვანი ზემოქმედება შეიძლება ჰქონდეს სტრატეგიულ დოკუმენტში შემოთავაზებულ ღონისძიებებს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე. ამასთან, ის დამგეგმავ ორგანოებს უარყოფითი ზემოქმედების შერბილების ღონისძიებებისა და გადაწყვეტილების მიღების ადრეულ ეტაპზე განვითარების ალტერნატივების დაგეგმვის შესახებ წინადადებებს აწვდის.
- **მდგრადი ეკონომიკური განვითარებისა და მწვანე ეკონომიკის ხელშეწყობა:** სგშ-ის დახმარებით, შესაძლებელია მწვანე ეკონომიკის მიზნების მიღწევა, ვინაიდან მდგრად ალტერნატივებსა და ინოვაციებს ითვალისწინებს, ამავდროულად, ხელს უწყობს იმგვარი გზების მოძიებას, რომლებიც, ეკოსისტემური სერვისების გათვალისწინებით, ეკონომიკური განვითარებისთვის უფრო ხელსაყრელია.
- **გაუმჯობესებული დაგეგმვა, დამგეგმავი პირების წახალისების გზით, რათა რისკებისა და შესაძლებლობების სრული სპექტრი იყოს გათვალისწინებული განვითარების უფრო მდგრადი ფორმებისთვის:** სგშ-ის კარგად სტრუქტურირებული ჩარჩოს დანერგვა ეროვნულ დონეზე დაგეგმვას უფრო სისტემურს, ნაკლებად შემთხვევითს და, საბოლოოდ, უფრო ეფექტიანს ხდის.

ჩარჩო ამ კოდექსის III თავის შესაბამისად და ამ კოდექსის I და II დანართებით გათვალისწინებული საქმიანობების სახეობებისთვის განისაზღვრება მახასიათებლები ან/და მოცულობები

[3] კოდექსის მე-19 მუხლი განსაზღვრავს სგშ-ის მიზნებს:

ა) გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზემოქმედების მინიმუმამდე შემცირება;

ბ) სტრატეგიული დოკუმენტის მომზადებისა და მიღების/დამტკიცების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფა;

გ) სტრატეგიულ დოკუმენტზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში გარემოსდაცვითი და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ასპექტების გათვალისწინება;

დ) სტრატეგიულ დოკუმენტზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, საჭიროების შემთხვევაში, გარემოზე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შეფასების პროცედურის განხორციელება.

[4] სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ოქმი: ფაქტები და სარგებელი (UNECE, 2016).

- **უფრო ეფექტიანი გადაწყვეტილების მიღება:** სგშ–ის შედეგების გათვალისწინებით, სტრატეგიულ და საპროექტო დონეზე, გადაწყვეტილების მიღება, როგორც წესი, ნაკლებ საჩივრებსა და დებატებს იწვევს. გადაწყვეტილების მიღების ასეთი პროცესები დროს ზოგავს და, შესაბამისად, ხარჯთეფექტურია.
- **გაუმჯობესებული მმართველობა გეგმებისა და პროგრამების მომზადების პროცესში გამჭვირვალობის ხელშეწყობით:** სგშ კონსულტაციისა და კომუნიკაციის მკაფიო პროცედურებს უზრუნველყოფს, ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე მთავარ დამგეგმავ ორგანოებს, ბიზნეს სექტორსა და სამოქალაქო საზოგადოებას (მათ შორის, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს) შორის.
- **გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების გაუთვალისწინებლობით დაშვებული, ძვირადღირებული შეცდომების პრევენცია არამდგრადი განვითარების შესახებ ადრეული გაფრთხილებით**: სგშ ამცირებს ზიანის აღდგენისთვის საჭირო ძვირადღირებული ქმედებების, ან გამოსასწორებელი ღონისძიებების საჭიროებას, ობიექტების ადგილმონაცვლეობით, ან ხელახალი დაპროექტებით.
- **გარემოზე ზემოქმედების შეფასების ინსტრუმენტის გაძლიერება საპროექტო, კონკრეტული საქმიანობის დონეზე:**[5] სგშ–ის ეტაპზე შესაძლებელია, ყურადღება გამახვილდეს ისეთ მასშტაბურ და კუმულაციურ ზემოქმედებებზე, რომელთა გამოვლენაც საპროექტო, კონკრეტული საქმიანობის დონეზე რთულია. შესაბამისად, გარკვეული ასპექტების გადაჭრა უკვე სტრატეგიულ დონეზეა შესაძლებელი, რაც საპროექტო დონეზე გარემოზე ზემოქმედების შეფასების ინსტრუმენტის ეფექტურობას ზრდის.
- **ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა სექტორს შორის დარგთაშორისი კონფლიქტების პრევენცია:** სგშ-ის პროცესი დაგეგმვის ყველაზე ადრეულ ეტაპზე ამოწმებს, თუ როგორ უკავშირდება კონკრეტული გეგმა ან პროგრამა სხვა გეგმებსა და პროგრამებს, ასევე, ახდენს ალტერნატივების შეთავაზებას, რომელთა მეშვეობით შეიძლება კონფლიქტების პრევენცია.
- **კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციისა და შერბილების უზრუნველყოფა**, განვითარებაზე ორიენტირებულ დაგეგმვაში კლიმატის ცვლილების საკითხების გათვალისწინებით.
- **ეფექტური რეგიონული თანამშრომლობის ხელშეწყობა გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით და ტრანსსასაზღვრო კონსულტაციების გამარტივება** ეროვნულ დონეზე შესაბამის ორგანოებსა და დაინტერესებულ საზოგადოებას შორის ისეთი გეგმის ან პროგრამის შესახებ, რომელმაც შეიძლება ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება გამოიწვიოს მეზობელი სახელმწიფოს გარემოზე (მაგ., მომიჯნავე დაცული ტერიტორიები, სამდინარო გზები, სატრანსპორტო კავშირები ან/და ტრანსსასაზღვრო დაბინძურება).

[5] ეს მოიცავს ძირითადად გზშ-ს.

კონკრეტული მაგალითი: ორჰეის მუნიციპალური გენერალური გეგმის სგშ (მოლდოვა)

ორჰეის მუნიციპალიტეტის გენერალური გეგმის სგშ დაეხმარა გენერალურ გეგმაზე მომუშავე ჯგუფს მთავარი გარემოსდაცვითი პრობლემების იდენტიფიცირებაში, ახალი გარემოსდაცვითი ინფორმაციის მოპოვებასა და ისეთი რუკების მომზადებაში, რომლებშიც, ბიზნესთან დაკავშირებულ მონაცემებსა და პროექტების განხორციელების შესაძლებლობებთან ერთად, ასახულია ბუნებრივი ძეგლების ადგილმდებარეობა და საზღვრები, მდინარეთა აუზები და გარემოსდაცვითი ზონები, ასევე ჰაერისა და წყლის დაბინძურების ტერიტორიები. ამ ინფორმაციამ მნიშვნელოვნად გაამდიდრა გენერალური გეგმის ის ნაწილი, რომელიც ეძღვნებოდა გარემოს დაცვას. გეგმის შემქმნელებს სგშ ასევე დაეხმარა დაესაბუთებინათ ნარჩენების მართვისა და ნარჩენების შეგროვების სათანადო სქემების შემოღების აუცილებლობა და განსაზღვრა ის ადგილები, სადაც არ უნდა განთავსდეს ნარჩენების მართვის ობიექტები. ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე სტატისტიკური მონაცემების შეგროვებისა და დამუშავების გაუმჯობესების საფუძველი სგშ-ის პროცესში აღმოჩენილი მონაცემების ნაკლებობა აღმოჩნდა. მაგალითად, სგშ-ის შემდეგ ხელმისაწვდომი გახდა მონაცემები მიმდებარე ურბანულ ტერიტორიებზე სასარგებლო წიაღისეულის კარიერების მუშაობით გამოწვეული ხმაურის დონისა და ზემოქმედების შესახებ.[6]

სგშ-ს ეფექტიანი სისტემა ქვეყნისთვის ნიშნავს უფრო ძლიერ გარემოსდაცვით და ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკასა და შემცირებულ ხარჯებს ჯანდაცვისა და სოციალურ სფეროში. ხანგრძლივ პერიოდში, სგშ-ს სრულყოფილი პრაქტიკა მნიშვნელოვან ფინანსურ სარგებელს იძლევა - მისი საშუალებით შესაძლებელია იმ ბუნებრივი რესურსების დაცვა დეგრადაციისგან, რომლებიც მნიშვნელოვანია წამყვანი ეკონომიკური დარგებისათვის (მაგ. სგშ-ს საშუალებით შესაძლებელია სოფლის მეურნეობისათვის საჭირო წყლის რესურსების არარაციონალური გამოყენების არიდება).

სგშ-თან დაკავშირებული ხარჯები

სგშ-ის სათანადოდ განხორციელებისთვის საჭიროა გარკვეული კვლევები, კონსულტაციების გამართვა, სკოპინგისა და სგშ-ის ანგარიშების მომზადება. აქედან გამომდინარე, კონკრეტული სტრატეგიული დოკუმენტის სგშ-ის განხორციელებისთვის ფინანსური რესურსები აუცილებელია.

სგშ-ის ფინანსური ხარჯები მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული შესაბამისი სტრატეგიული დოკუმენტის შინაარსზე, ხარისხსა და დეტალებზე, შეფასებული ალტერნატივების რაოდენობაზე, საზოგადოების ჩართულობის ფარგლებზე, კონსულტაციების პროცესის მასშტაბზე და სხვა.

2 . სგშ-ის საერთაშორისო და ეროვნული სამართლებრივი ჩარჩო

გარემოსდაცვითი შეფასება, იმ ფორმით, როგორიც დღეს არის, სათავეს იღებს აშშ-დან. 1969 წელს დამტკიცებული „აშშ-ის ეროვნული გარემოსდაცვითი პოლიტიკის აქტით“ (NEPA) განისაზღვრა მოთხოვნა, რომლის თანახმადაც, ყველა ის მასშტაბური ფედერალური საქმიანობა, რომელსაც შეუძლია გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება გამოიწვიოს, გარემოზე ზემოქმედების შეფასებას ექვემდებარება. მოგვიანებით, 1985 წლის

[6] წყარო: EaP GREEN პროგრამის მასალები.

27 ივნისს, ევროკავშირმა მიიღო ევროპის საბჭოს დირექტივა 85/337/EEC გარკვეული საჯარო და კერძო პროექტების გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ (ე.წ. გზშ-ის დირექტივა), რომელმაც ევროპის მასშტაბით გარემოსდაცვითი შეფასების გარკვეული სტანდარტები დაადგინა. ხოლო, 2001 წლის 27 ივნისს ევროპარლამენტმა და ევროსაბჭომ მიიღო დირექტივა 2001/42/EC „გარკვეული გეგმებისა და პროგრამების გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ (სგშ-ის დირექტივა), რამაც გზა გაუხსნა ფართომასშტაბიან მოლაპარაკებებს, რომლებიც, თავის მხრივ, დასრულდა 2003 წელს, კიევში - ესპოს კონვენციის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ოქმის (სგშ-ის ოქმი) მიღებით.

საქართველომ სგშ-ის შესახებ ოქმს ხელი მოაწერა, თუმცა მისი რატიფიკაცია არ მოუხდენია. საქართველო არის „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში, მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ" (ორჰუსის კონვენცია) კონვენციის მხარე.

აღნიშნული საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების მიზნით, სამინისტრომ, გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) სამდივნოსა და ევროკავშირთან ერთად დაიწყო გზშ-ისა და სგშ-ის პროცედურების ეროვნული სისტემის შემუშავება, ესპოს კონვენციისა და ოქმის დებულებების შესაბამისად. აღნიშნული სამუშაო მოიცავდა ევროკავშირის შესაბამის დირექტივებთან ჰარმონიზებული გზშ-ისა და სგშ-ის შესახებ კანონპროექტის მომზადებას. შედეგად, 2017 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი.“ კოდექსი ითვალისწინებდა ამოქმედების განსხვავებულ ვადებს: კერძოდ, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ნაწილი ამოქმედდა 2018 წლის 1 იანვრიდან, სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების - 2018 წლის 1 ივლისიდან, ხოლო გარემოზე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შეფასება ამოქმედდება ,,ტრანსსასაზღვრო კონტექსტში გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ” ესპოს კონვენციისა და მისი ,,სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების შესახებ” ოქმის საქართველოსთვის ძალაში შესვლისთანავე.

3. კავშირი სგშ-სა და გზშ-ს შორის

სგშ და გზშ გარემოსდაცვითი შეფასების ფორმებია - ორივე წარმოადგენს პრევენციული გარემოსდაცვითი პოლიტიკის პროცედურულ ინსტრუმენტს და, შესაბამისად, აქვთ მსგავსი მიზნები და გარკვეული ერთნაირი მახასიათებლები, განსაკუთრებით პროცედურულ ნაწილში. ორივე ინსტრუმენტმა უნდა შექმნას გადაწყვეტილების მიღების პროცესისთვის საფუძველი, რაც ნიშნავს იმას, რომ სგშ/გზშ-ის შედეგები და დასკვნები გათვალისწინებული უნდა იყოს სტრატეგიული დოკუმენტის მიღებისა და პროექტებისა თუ კონკრეტული საქმიანობების დამტკიცების დროს. შესაბამისად ორივე - სგშ და გზშ - უნდა ჩატარდეს გადაწყვეტილების მიღებამდე.

თუმცა, მათ შორის არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავებაც. გზშ ტარდება კონკრეტული საქმიანობებისათვის, ანუ საქმიანობის განმახორციელებლების (კერძო თუ საჯარო) მიერ დაგეგმილი ისეთი კონკრეტული პროექტებისათვის, როგორიცაა, მაგალითად, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის, ელექტროსადგურების ან კაშხლების მშენებლობა და სხვ., რომელთა განხორციელების შესახებ გადაწყვეტილებას კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანო იღებს, ხოლო სგშ უტარდება ადმინისტრაციული

ორგანოების მიერ მომზადებულ სტრატეგიულ დოკუმენტებს (მაგ., ენერგეტიკის ეროვნული გეგმა, ნარჩენების მართვის სტრატეგია და პროგრამა, ადგილობრივი სივრცითი მოწყობის გეგმები და სხვ.). ხშირად, სტრატეგიულ დოკუმენტებში შემოთავაზებულია განვითარების სხვადასხვა ხედვა (მაგ., რამდენიმე სატრანსპორტო დერეფანი შეიძლება გამოიკვეთოს რეგიონულ მიწათსარგებლობის გეგმაში ან ეროვნულ ენერგეტიკულ პროგრამას შეუძლია შემოგვთავაზოს რიგი ახალი ენერგორესურსები), რაც საშუალებას იძლევა სგშ-ის დროს უკეთ აისახოს სავარაუდო კუმულაციური ზემოქმედება გზშ-სთან შედარებით.

გარდა ამისა, გზშ შეფასების პროცესში ძირითადად, ყურადღებას ამახვილებს, თუ რა სახის ზემოქმედება ექნება პროექტის განხორციელებას გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე, მაშინ, როდესაც, სგშ, სტრატეგიული დოკუმენტის ხასიათის გათვალისწინებით, მას უფრო ფართო კონტექსტში განიხილავს. კერძოდ, აფასებს სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების შედეგად ზემოქმედებას გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის მიზნებზე, მის მოსალოდნელ გავლენას გრძელვადიან ტენდენციებზე, სტრატეგიული დოკუმენტის კუმულაციურ ზემოქმედებას და სხვ. განსხვავებულია ასევე კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანოების როლებიც.

სგშ-სა და გზშ-ს შორის კავშირებზე საუბრის დროს, აუცილებელია ხაზი გავუსვათ იმას, რომ სგშ „არ აზიანებს“[7] გზშ-ს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ სგშ დაადგენს, რომ სტრატეგიულ დოკუმენტში მითითებული საქმიანობები არ გამოიწვევს მნიშვნელოვან ზემოქმედებას გარემოზე ან ადამიანის ჯანმრთელობაზე, გზშ-ის საშუალებით მაინც შეიძლება მათი გამოვლენა (და პირიქით).

საქართველოს კანონმდებლობა არ ადგენს პირდაპირ პროცედურულ კავშირს სგშ-სა და გზშ-ს შორის. ამიტომ, სამართლებრივი თვალსაზრისით, სგშ და გზშ უნდა განვიხილოთ, როგორც ორი დამოუკიდებელი პროცედურა. ეს ნიშნავს იმას, რომ სგშ-ის ჩატარება სტრატეგიული დოკუმენტისათვის არ ათავისუფლებს სტრატეგიული დოკუმენტის ფარგლებში განსახორციელებელ კონკრეტულ საქმიანობებს გზშ-ის პროცედურების ჩატარების ვალდებულებისაგან (იმ შემთხვევაში, თუ ეს საქმიანობები ექვემდებარება გზშ-ს).

მეორე მხრივ, სგშ-ს შეუძლია იმ რეკომენდაციების ან პირობების ჩამოყალიბება, რომლებიც უნდა გაითვალისწინონ სგშ-ს დაქვემდებარებული სტრატეგიული დოკუმენტის ფარგლებში განსახორციელებელი კონკრეტული საქმიანობების გარემოზე ზემოქმედების შეფასებისას.

III. სგშ-ის პრაქტიკული გამოყენება

1. სგშ-ის ძირითადი მონაწილეები, მათი ზოგადი ფუნქციები და ვალდებულებები

მთავარი მონაწილეები და მათი ფუნქციები, კოდექსის განმარტების შესაბამისად:

[7] სგშ-ს დირექტივა, მუხლი 11, პარაგრაფი 1: ამ დირექტივით ჩატარებული გარემოსდაცვითი შეფასება არ უნდა აყენებდეს ზიანს 85/337/EEC დირექტივისა და ევროკავშირის სხვა დირექტივების მოთხოვნებს.

- **დამგეგმავი ორგანო** არის ადმინისტრაციული ორგანო ან სხვა უფლებამოსილი ორგანიზაცია, რომელიც სტრატეგიული დოკუმენტის მომზადებაზეა პასუხისმგებელი, შესაბამისი ნორმატიული აქტის თანახმად. დამგეგმავმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს სტრატეგიული დოკუმენტებისთვის სგშ–ის განხორციელება (თუკი, ის სგშ–ის მოქმედების სფეროს განეკუთვნება კოდექსის თანახმად ან თუ სკრინინგის გადაწყვეტილებით დაექვემდებარება სგშ-ის პროცედურას) და პასუხისმგებელია მის ხარისხზე, ასევე - სამართლებრივი დებულებების დაკმაყოფილებაზე.
- **სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო (სააგენტო**) სააგენტო განსაზღვრავს სგშ-ის განხორციელების საჭიროებას სკრინინგის პროცედურის საფუძველზე, გასცემს სკრინინგის გადაწყვეტილებებს, სკოპინგის დასკვნებს, ქმნის საექსპერტო კომისიას სგშ-ის ანგარიშებისთვის ექსპერტიზის ჩასატარებლად და გასცემს რეკომენდაციებს კომპეტენციის ფარგლებში. სააგენტო ამზადებს და სამინისტროს წარუდგენს წინადადებებს სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით გამოწვეული გარემოზე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შეფასების პროცედურის დაწყების თაობაზე და ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების ქვეშ მყოფ სახელმწიფოსთან ინფორმაციის გაცვლის ფორმების, შემდგომი კონსულტაციების და ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შეფასების პროცედურის განხორციელების ვადების შესახებ. სააგენტო უზრუნველყოფს სგშ-ის პროცესში საზოგადოების მონაწილეობის შესაძლებლობას, კონკრეტულად კი სკრინინგის გადაწყვეტილების, სკოპინგის დასკვნისა და რეკომენდაციების გაცემის პროცესში, უზრუნველყოფს წვდომას შესაბამის ინფორმაციაზე, მათ შორის, ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შეფასების პროცედურასთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე.
- **გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (სამინისტრო)** საქართველოს მთავრობას წარუდგენს წინადადებებს ტრანსსასაზღვრო გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურის დაწყების, ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების ქვეშ მყოფ სახელმწიფოსთან ინფორმაციის გაცვლის ფორმებისა და შემდგომი კონსულტაციების და ტრანსსასაზღვრო გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურის განხორციელების ვადების თაობაზე.
- **ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, ჯანმრთელობის, შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ ლევან საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი** – სააგენტოსთან ერთად მნიშვნელოვან როლს ასრულებს სგშ–ის პროცესში და თავისი კომპეტენციის ფარგლებში გასცემს სკრინინგის გადაწყვეტილებას, სკოპინგის დასკვნასა და რეკომენდაციებს სგშ-ის ანგარიშთან და სტრატეგიულ დოკუმენტთან დაკავშირებით.
- **საზოგადოება** განისაზღვრება როგორც ერთი ან მეტი ფიზიკური ან იურიდიული პირი, აგრეთვე, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნი (რომელიც იურიდიული პირი არ არის). ესენი შეიძლება იყვნენ ასოციაციები, ორგანიზაციები ან ჯგუფები. საზოგადოებას აქვს ადრეული, დროული და ეფექტური შესაძლებლობები მონაწილეობა მიიღოს სგშ–ის პროცესში, როდესაც ყველა ვარიანტი/შესაძლებლობა ღიაა, ხოლო წარმოდგენილი შენიშვნები და მოსაზრებები შესაბამისმა უწყებებმა უნდა გაითვალისწინონ სტრატეგიულ დოკუმენტსა და სგშ–ის დოკუმენტაციაში.
- **დაინტერესებული საზოგადოება** განისაზღვრება, როგორც საზოგადოება, რომელსაც შესაძლოა აინტერესებდეს სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება, ან რომელზედაც ზემოქმედებას მოახდენს, ან შესაძლოა ზემოქმედება მოახდინოს ამ

გადაწყვეტილებამ. დაინტერესებულ საზოგადოებას მიეკუთვნება აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომლის საქმიანობის მიზნებიც დაკავშირებულია ქვეყანაში გარემოს დაცვის ხელშეწყობასთან, შესაბამისად დაინტერესებულ საზოგადოებას წარმოადგენს ისეთი სპეციფიკური ჯგუფები, როგორიცაა სამეცნიერო ინსტიტუტები, სამინისტროები, როდესაც ისინი არ წარმოადგენენ დამგეგმავ ორგანოს, დაინტერესებული მუნიციპალიტეტები, ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების შესაბამისი ორგანოები, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესაბამისი ორგანოები, ადგილობრივი ხელისუფლებისა და თვითმმართველობის ორგანოები და სხვ., რომლებიც დაინტერესებულნი არიან სტრატეგიული დოკუმენტით ან ექცევიან მისი ზემოქმედების ქვეშ. ისინი მონაწილეობენ საჯარო განხილვებში, როგორც დაინტერესებული მხარეები და მოსაზრებებს თუ შენიშვნებს წარმოადგენენ სგშ–ის პროცესში.

- კოდექსის განმარტების მიხედვით **კონსულტანტი** არის პირი, რომელსაც აქვს სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშის მოსამზადებლად აუცილებელი კვალიფიკაცია და ფლობს სამეცნიერო, ტექნიკურ და მეთოდოლოგიურ შესაძლებლობებს. ინდივიდუალური კონსულტანტი ან/და საკონსულტაციო კომპანია სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშს ამზადებს. მათი დაქირავება შესაძლებელია სკრინინგის, სკოპინგის განცხადების და სგშ-ის ანგარიშის მოსამზადებლად.

სგშ-ში ჩართული სხვა მხარეები

კოდექსში განსაზღვრული, ზემოთ ჩამოთვლილი პირების გარდა, ასევე არსებობს სგშ–ის პროცესში ჩართული სხვა მონაწილეებიც. მათ შორის არის:

- **გადაწყვეტილების მიმღები ორგანო** არის ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია სტრატეგიული დოკუმენტის მიღებაზე ან დამტკიცებაზე შესაბამისი კანონმდებლობისა და ადმინისტრაციული მოწყობის მიხედვით. გადაწყვეტილების მიმღები ორგანო შეიძლება იყოს მთავრობა ან პარლამენტი, სამინისტროები, ხელისუფლების რეგიონული და ადგილობრივი ორგანოები, თვითმმართველობის ორგანოები, აჭარის ა/რ მთავრობა, დამგეგმავი ორგანოები, სხვა ადმინისტრაციული ორგანოები, რომლებსაც აქვთ სტრატეგიული დოკუმენტის დამტკიცების უფლებამოსილება. გადაწყვეტილების მიმღები ორგანოები ვალდებულნი არიან, გადაწყვეტილებების მიღების დროს, გაითვალისწინონ სგშ-ის რეკომენდაციები.[8]
- **სხვა ადმინისტრაციული ორგანოები** - კომპეტენტური ორგანოები, როგორიცაა დარგობრივი სამინისტროები, სააგენტოები, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და სხვ. რომლებთანაც სააგენტომ შეიძლება გაიაროს კონსულტაციები სგშ-სთან დაკავშირებული პროცედურების სხვადასხვა ეტაპზე. საზოგადოების ინფორმირებაში აქტიური როლი აქვთ მუნიციპალიტეტების აღმასრულებელ ორგანოებს (მერია) ან/და წარმომადგენლობით ორგანოებს (საკრებულო). კერძოდ, ისინი თავიანთ საინფორმაციო დაფაზე განათავსებენ ინფორმაციას სგშ-სთან დაკავშირებული პროცედურის სხვადასხვა ეტაპების დაწყების შესახებ, ასევე ინფორმაციას საჯარო განხილვებისა და მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ

[8] დამგეგმავი ორგანო, იმავდროულად, შეიძლება იყოს გადაწყვეტილების მიმღები ორგანოც.

- სგშ–ის პროცესში **სხვა სახელმწიფოც** მონაწილეობს, თუ, რომელიმე კონკრეტულმა სტრატეგიულმა დოკუმენტმა შეიძლება ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება გამოიწვიოს.[9]

2. სგშ-ის პროცესის მიმოხილვა

სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება წარმოადგენს სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ზემოქმედებების ანალიზის პროცესს, რომლის მიზანია სტრატეგიული დოკუმენტის მომზადების, დამტკიცებისა და განხორციელების პროცესში გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ზემოქმედებების სათანადოდ გათვალისწინება.

კოდექსის შესაბამისად, სგშ პროცედურა მოიცავს სკოპინგს, სგშ-ის ანგარიშის მომზადებას, საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფას და შესაბამის სახელმწიფო ორგანოებთან კონსულტაციების გამართვას (საჭიროების შემთხვევაში ტრანსსასაზღვრო კონსულტაციებსაც), სააგენტოსა და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრის მიერ რეკომენდაციების გაცემას სტრატეგიული დოკუმენტის პროექტის თაობაზე, ასევე, სგშ-ის შედეგების გათვალისწინებას სტრატეგიული დოკუმენტების მიღება/დამტკიცების დროს.[10] სგშ-ს საჭიროების განსაზღვრის მიზნით, შესაძლოა, აღნიშნულ პროცედურებს წინ უსწრებდეს სკრინინგის პროცედურა. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ იმ სტრატეგიული დოკუმენტის მიღებისთვის/დამტკიცებისთვის, რომელიც, კოდექსის შესაბამისად, სგშ-ს ექვემდებარება, აუცილებელია სააგენტოსა და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრის მიერ რეკომენდაციების გაცემა.

3. სგშ-ის გამოყენების მასშტაბი

სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება სტრატეგიულ დოკუმენტებს უტარდება. კოდექსში მოცემული განმარტების თანახმად, ***სტრატეგიული დოკუმენტი*** არის ადმინისტრაციული ორგანოს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, რომელიც გამოცემულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. სტრატეგიული დოკუმენტი ადგენს ცალკეული სექტორებისთვის სამომავლო განვითარების ჩარჩოს და განსაზღვრავს კოდექსის I და II დანართებით გათვალისწინებული საქმიანობის სახეობებებისთვის მახასიათებლებს ან/და მოცულობებს. აღსანიშნავია, რომ სტრატეგიული დოკუმენტის სახელი არ არის გადამწყვეტი სგშ-ის საჭიროების განსაზღვრის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად, ვინაიდან ყველა სტრატეგიული დოკუმენტი, მათი დასახელების მიუხედავად (მაგ., სტრატეგია, კონცეფცია და ა.შ.), რომელიც ქვემოთ მოცემულ კრიტერიუმებს აკმაყოფილებს, სგშ-ის მოქმედების სფეროში ხვდება.

კოდექსის მე-20 მუხლის თანახმად, სგშ უტარდება ისეთ სტრატეგიულ დოკუმენტებს, რომლებიც ადგენენ სამომავლო განვითარების ჩარჩოს კოდექსის I და II დანართში განსაზღვრული საქმიანობებისათვის და მომზადებულია შემდეგ სექტორებში:

---

[9] ტრანსსასაზღვრო ზემოქმედებასთან დაკავშირებული მუხლები ამოქმედდება „სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების შესახებ“ ოქმის საქართველოსთვის ძალაში შესვლისთანავე.
[10] კოდექსი, მე-3 მუხლი, „ქ“ ქვეპუნქტი.

- სოფლის მეურნეობა
- სატყეო მეურნეობა
- თევზჭერა
- ენერგეტიკა
- მრეწველობა
- ტრანსპორტი
- ნარჩენების მართვა
- წყლის რესურსების მართვა
- ელექტრონული კომუნიკაციები
- ტურიზმი
- დაგეგმარება და სივრცითი მოწყობა.[11]

შესაბამისად, ყველა სტრატეგიული დოკუმენტი, რომელიც ზემოაღნიშნულ კრიტერიუმებს აკმაყოფილებს, ექვემდებარება სავალდებულო სგშ-ს. ეს ეხება, როგორც ახლად მომზადებულ დოკუმენტს, ასევე მასში შეტანილ მნიშვნელოვან ცვლილებებსაც.[12] „მნიშვნელოვან ცვლილებად“ მიიჩნევა ისეთი ცვლილება, რომელიც კონცეპტუალური ხასიათის განსხვავებას იწვევს, როგორიცაა, სტრატეგიული დოკუმენტის შინაარსის, პრიორიტეტებისა და ამოცანების ცვლილება. მაგალითისათვის, თუ ქალაქის განვითარების შესახებ სტრატეგიული დოკუმენტი ძირითად პრიორიტეტად ადგენს ტურიზმის განვითარების მიზნით, სასტუმროების მშენებლობას, სარეკრეაციო სივრცეების მოწყობას და ა.შ. მითითებული სტრატეგიული პრიორიტეტის, ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების ნაცვლად, სამრეწველო ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის პრიორიტეტის მინიჭება - სტრატეგიული დოკუმენტის კონცეპტუალური ხასიათის ცვლილებას წარმოადგენს. აღნიშნული ცვლილება „მნიშვნელოვან ცვლილებად“ უნდა ჩაითვალოს.

არსებობს გარკვეული ტიპის სტრატეგიული დოკუმენტები, რომლებისთვისაც საჭიროა განისაზღვროს, საჭიროებენ თუ არა ისინი სგშ-ის ჩატარებას - აღნიშნულ პროცედურას სკრინინგი ეწოდება (კოდექსი, 23-ე მუხლი). ამასთან, კოდექსის მე-20 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად სტრატეგიულ დოკუმენტში მცირედი ცვლილება, რომელიც კონცეპტუალურად არ ცვლის სტრატეგიული დოკუმენტის შინაარსს, აგრეთვე სტრატეგიული დოკუმენტი, რომელიც ეხება თვითმმართველი თემის ტერიტორიას, გარდა თვითმმართველი ქალაქისა, ექვემდებარება სგშ-ს, თუ ასეთი ცვლილება ან თვითმმართველი თემის ტერიტორიით შემოფარგლული სტრატეგიული დოკუმენტი:

ა) ახდენს გარემოზე ხანგრძლივ და შეუქცევ ან მაღალი კუმულაციური ეფექტის მქონე ზემოქმედებას;

ბ) გარემოს ან/და ადამიანის ჯანმრთელობას მომეტებულ რისკს უქმნის;

გ) ახდენს ზემოქმედებას უნიკალური ბუნებრივი მახასიათებლების ან კულტურული მემკვიდრეობის შემცველ ტერიტორიაზე, დაცულ ტერიტორიებზე, აგრეთვე იმ ტერიტორიაზე ან/და ლანდშაფტზე, რომელსაც მინიჭებული აქვს ადგილობრივი ან/და საერთაშორისო მნიშვნელობის სტატუსი.

[11] კოდექსი, მე-20 მუხლი.

[12] 2018 წლის 1 იანვრამდე დამტკიცებული სტრატეგიული დოკუმენტები სტრატეგიულ გარემოსდაცვით შეფასებას ექვემდებარება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ სტრატეგიულ დოკუმენტებში შევა ცვლილებები და დამგეგმავი ორგანო მიმართავს სამინისტროს შესაბამისი პროცედურის განხორციელების მიზნით.

სგშ-ის არ ექვემდებარება სტრატეგიული დოკუმენტი, რომელიც ეხება სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან ან ფორსმაჟორული სიტუაციით გამოწვეული გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე ღონისძიების განხორციელებას და საფინანსო ან/და საბიუჯეტო საკითხებს.[13]

იმის დასადგენად, ექვემდებარება თუ არა სტრატეგიული დოკუმენტი სგშ-ს, შესაძლებელია **ცხრილი 1**-ში მოცემული კითხვების გამოყენება:

ცხრილი: 1

კითხვები იმის დასადგენად, ექვემდებარება თუ არა სტრატეგიული დოკუმენტი სგშ-ს პროცედურების გავლას

კითხვა	დასაბუთება
ექვემდებარება თუ არა სტრატეგიული დოკუმენტი ეროვნული, რეგიონული ან ადგილობრივი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მომზადებას და/ან დამტკიცებას; ან, მზადდება თუ არა ის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ პარლამენტის, მთავრობის ან გადაწყვეტილების მიმღები სხვა ორგანოს მიერ დასამტკიცებლად სამართლებრივი პროცედურის საშუალებით და ითხოვს თუ არა ამას სამართლებრივი, მარეგულირებელი ან ადმინისტრაციული დებულებები?	სგშ-ს ექვემდებარებიან მხოლოდ ის სტრატეგიული დოკუმენტები, რომლებსაც ამზადებს და/ან ამტკიცებს ადგილობრივი, რეგიონული ან ეროვნული დონის ადმინისტრაციული ორგანო. სგშ-ს არ ექვემდებარება ის დოკუმენტები, რომელთა მისაღებად არ არის საჭირო სახელმწიფო უწყების სამართლებრივი გადაწყვეტილება ან დამტკიცება. ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგია, რეგიონული სივრცითი მოწყობის გეგმები წარმოადგენს დოკუმენტებს, რომლებისთვისაც, როგორც წესი, სგშ აუცილებელია (ვინაიდან ეს დოკუმენტები მზადდება შესაბამისი კანონმდებლობის მოთხოვნით და მტკიცდება გადაწყვეტილების მიმღები ადმინისტრაციული ორგანოს მიერ).

[13] კოდექსი, 21-ე მუხლი.

მზადდება თუ არა სტრატეგიული დოკუმენტი შემდეგი სექტორებისათვის: სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, თევზჭერა, ენერგეტიკა, მრეწველობა, ტრანსპორტი, ნარჩენების მართვა, წყლის რესურსების მართვა, ელექტრონული კომუნიკაციები, ტურიზმი ან დაგეგმარება და სივრცითი მოწყობა?	დოკუმენტი შეიძლება ფოკუსირებული იყოს ერთ კონკრეტულ სექტორზე (მაგ., ეროვნული სატრანსპორტო გეგმა ან ნარჩენების მართვის რეგიონული პროგრამა), ან სექტორი (სექტორები) შეიძლება განსაზღვრული იყოს უფრო ფართომასშტაბიან დოკუმენტებში (მაგ., განვითარების ეროვნული გეგმა, რომელიც ადგენს პრიორიტეტებს ენერგეტიკის, მრეწველობის, ტრანსპორტისა და ა.შ. სექტორებისთვის). შესაბამისად, სექტორის იდენტიფიცირებისა და სგშ-ის საჭიროების დადგენისთვის სტრატეგიული დოკუმენტის სახელწოდებას არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა.
ადგენს თუ არა სამომავლო განვითარების ჩარჩოს ცალკეული სექტორებისთვის და განსაზღვრავს თუ არა კოდექსის I და II დანართებით გათვალისწინებული საქმიანობების სახეობებისთვის მახასიათებლებსა ან/და მოცულობებს?	განვითარების ჩარჩოს“ გაგება შესაძლებელია როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი გზით. ჩარჩოს დადგენა შესაძლებელია პროექტის/საქმიანობების ადგილმდებარეობის, ხასიათის, მოცულობის ან/და საოპერაციო პირობების თაობაზე (მაგ., „მდინარის აუზის მართვის გეგმას“ შეუძლია განსაზღვროს ჩამდინარე წყლების გამწმენდი ახალი ნაგებობების ადგილმდებარეობები შესაბამის აუზში) უშუალოდ სავალდებულო მოთხოვნების დადგენით, ან ფინანსური რესურსების გამოყოფით კონკრეტული პროექტებისთვის (მაგ., ტრანსპორტის ეროვნული პროგრამიდან შეიძლება 10,000,000 აშშ დოლარი გამოიყოს ავტომაგისტრალის მშენებლობისთვის). არაპირდაპირი გზით ჩარჩოს დადგენა შესაძლებელია სავალდებულო მოთხოვნების დაწესებით ქვედა დონის სტრატეგიული დოკუმენტებისათვის, რომლებიც თავად განსაზღვრავენ სავალდებულო მოთხოვნებს პროექტების მიმართ. მაგალითად, რეგიონული სივრცითი მოწყობის გეგმა ადგენს სივრცითი განვითარების პრიორიტეტებს, რომლებიც უნდა განისაზღვროს და დაზუსტდეს მუნიციპალური სივრცითი მოწყობის გეგმებში. ორივე შემთხვევაში მოსალოდნელია მნიშვნელოვანი ზემოქმედებები და საჭიროა სგშ-ის ჩატარება.
რომელი სხვა სექტორი შეიძლება მოექცეს სგშ-ის	შეიძლება არსებობდეს ისეთი სტრატეგიული დოკუმენტები, რომლებიც სხვა სექტორებს ეხება და რომლებსაც, ასევე, შეიძლება ჰქონდეთ მნიშვნელოვანი

პროცედურის მოქმედების სფეროში?	ზემოქმედება გარემოსა და/ან ადამიანის ჯანმრთელობაზე. ამიტომ, ასეთი დოკუმენტები სგშ-ის კანდიდატებად უნდა განვიხილოთ (თუკი სკრინინგის პროცედურა დასკვნის სგშ-ის ჩატარების საჭიროებას). მაგალითად, ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების ეროვნული გეგმა, ბიომრავალფეროვნების ზონებში მართვის გეგმები, ხმაურის შემცირების ან ეკონომიკური განვითარების გეგმები. ამ შემთხვევაში, კოდექსის თანახმად, საქართველოს საკანონმდებლო აქტით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში სგშ-ის ჩატარების ვალდებულება შესაძლებელია გავრცელდეს იმ სტრატეგიულ დოკუმენტზე, რომლითაც დგინდება ჩარჩო სამომავლოდ განსახორციელებელი იმ საქმიანობისთვის, რომელიც არ არის გათვალისწინებული ამ კოდექსის I და II დანართებით ან/და არ მიეკუთვნება მე-20 მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრულ სექტორებს.

4. სგშ-ისა და გზშ-ის დონეების განსაზღვრა

კოდექსის თანახმად, სგშ-ის გამოყენება ხდება სხვადასხვა დონეზე მომზადებული სტრატეგიული დოკუმენტების ფართო სპექტრისთვის - ეროვნული გეგმებისა და პროგრამებით დაწყებული, რეგიონული დოკუმენტის ჩათვლით, ადგილობრივი დონის სივრცითი გეგმებით დამთავრებული. უფრო მაღალი დონის სტრატეგიულ დოკუმენტებში გათვალისწინებული უნდა იყოს პრიორიტეტები და „მითითებები“ ქვედა დონეზე დაგეგმვისთვის. საუკეთესო შემთხვევაში, არსებობს სტრატეგიული დოკუმენტის იერარქია, სადაც დაქვემდებარებული გეგმები ზემდგომ გეგმებს ,,ავსებენ“. მაგ. დაქვემდებარებული გეგმები შეესაბამება ზემდგომი გეგმების ამოცანებს და პრიორიტეტებს, თუმცა შინაარსით უფრო დეტალიზებული და კონკრეტულია. სივრცითი დაგეგმარების სისტემა საქართველოში ამის ტიპურ მაგალითს წარმოადგენს, რომელშიც შედის:

- **სივრცის დაგეგმარების გეგმები:**
  - საქართველოს სივრცის დაგეგმარების გეგმა;
  - ავტონომიური რესპუბლიკის სივრცის დაგეგმარების გეგმა;
  - მულტიმუნიციპალური/მუნიციპალიტეტის სივრცის დაგეგმარების გეგმები;

- **ქალაქთმშენებლობითი გეგმები:**
  - გენერალური გეგმა;
  - განაშენიანების გეგმა;
  - განაშენიანების დეტალური გეგმა.

ევროკავშირის სგშ-ის დირექტივა აღიარებს, რომ გეგმები და პროგრამები შეიძლება იერარქიას ექვემდებარებოდეს და ხაზს უსვამს, რომ ასეთ შემთხვევაში თავიდან უნდა ავიცილოთ შეფასების დუბლირება[14]. სგშ-ის დირექტივა, ასევე, ადგენს, რომ სგშ-ის ანგარიშის მომზადებისას, გარკვეული საკითხები უფრო სათანადოდ, რომ შეფასდეს სხვადასხვა დონეზე, მხედველობაში უნდა მივიღოთ შეფასების დუბლირების თავიდან აცილების აუცილებლობა[15].

დაგეგმვის სხვადასხვა დონეზე სგშ-ის თანმიმდევრობის მომზადებასა და მათ ერთმანეთთან დაკავშირებას ხშირად „დონეების მიხედვით კლასიფიკაციას“ (tiering) უწოდებენ.[16] პრაქტიკული თვალსაზრისით, ეს ნიშნავს, რომ არსებობს დაგეგმვის სხვადასხვა დონეზე განხორციელებული სგშ-ები, ხოლო უფრო მაღალი დონის გეგმებისა და პროგრამების სგშ-ების შედეგები უნდა გაითვალისწინონ იმ სგშ-ებში, რომლებიც ქვედა დონის გეგმებისთვის მომზადდა. მაგალითად, მუნიციპალური სივრცითი გეგმებისთვის მომზადებულ სგშ-ში საქართველოს სივრცის დაგეგმარების გეგმისთვის მომზადებული სგშ-ის შედეგები და დასკვნები უნდა იყოს გათვალისწინებული.

თუმცა, კონკრეტულად, საქართველოში სგშ-ის გამოყენების პირველი წლების განმავლობაში შესაძლებელია, რომ უფრო ქვედა დონის სტრატეგიული დოკუმენტებს სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება ჩაუტარდეს უფრო ადრე, ვიდრე მაღალი დონის დოკუმენტებს. ასეთ შემთხვევებში, უფრო მაღალი დონის დოკუმენტის სგშ-ში შესაძლებელია მიმართება ქვედა დონის დოკუმენტის სგშ-ში წარმოდგენილ დასკვნებზე, ასევე, გამოყენებულ იქნას - შესაფერის ვითარებაში - კონკრეტული ზემოქმედებების საილუსტრაციოდ, რაც შეიძლება უფრო მაღალი დონის გეგმის ან პროგრამის განხორციელებით იყოს გამოწვეული (იმ დაშვებით, რომ უფრო მაღალი დონის სტრატეგიული დოკუმენტის სგშ-ის ანგარიში ზოგადი ხასიათის იქნება და შეთავაზებული განვითარების შესახებ სავარაუდო ზემოქმედება დეტალურად ვერ აღიწერება).

ზემოხსენებული, ასევე, ეხება კავშირებს სგშ-ისა და გზშ-ს შორის. იდეალურ შემთხვევაში, სტრატეგიული დოკუმენტისთვის, პირველ რიგში, სგშ უნდა გამოვიყენოთ, რომელიც იმ კონკრეტული პროექტების შემუშავებისა და დაგეგმვის ჩარჩოს (განვითარების შესაძლებლობა) წარმოადგენს, რომლებისთვისაც - საჭიროების შემთხვევაში - გზშ უნდა ჩატარდეს. ასეთი პროექტების გზშ-ის ანგარიშები კი სგშ-ის შედეგად მიღებულ შესაბამის რეკომენდაციებსა და პირობებს უნდა ითვალისწინებდეს.

IV. სკრინინგი და სგშ-ის პროცედურული ეტაპები

1. სკრინინგი

<u>განმარტება:</u>

კოდექსის მე-3 მუხლის „ფ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სკრინინგი არის „პროცედურა, რომლის შედეგადაც მიიღება გადაწყვეტილება სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების

[14] ევროკავშირის სგშ-ის დირექტივა, მუხლი 4(3).

[15] ევროკავშირის სგშ-ის დირექტივა, მუხლი 5(2).

[16] Arts, J., Tomlinson, P., & Voogd, H. (2012). დაგეგმვა საფეხურებად? დაგეგმვა, როგორც სგშ-ის და გზშ-ის დამაკავშირებელი გზა. B. Sadler, J. Dusik, T. Fischer, M. Partidario, R. Verheem & R. Aschemann (რედ.), სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სახელმძღვანელო (გვ. 415-433). CRC პრესა.

ჩატარების საჭიროების თაობაზე “.

<u>მიზანი და ამოცანა:</u>

სკრინინგი განსაზღვრავს, საჭიროა თუ არა სგშ-ის ჩატარება კონკრეტული სტრატეგიული დოკუმენტისთვის. სკრინინგის შედეგმა უნდა უზრუნველყოს, რომ ეროვნული სგშ სისტემა ფოკუსირებულია იმ სტრატეგიულ დოკუმენტებზე, რომლებმაც შეიძლება მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე.

თუ დამგეგმავი ორგანო მიიჩნევს, სტრატეგიული დოკუმენტი ან სტრატეგიულ დოკუმენტში მცირედი ცვლილება სგშ-ის ჩატარებას საჭიროებს, იგი უფლებამოსილია სგშ-ის ჩატარებისთვის სააგენტოსა და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნულ ცენტრს მიმართოს პირდაპირ სკოპინგის განცხადებით. თუ დამგეგმავი ორგანო მიიჩნევს, რომ სგშ-ის ჩატარება საჭირო არ არის, იგი უფლებამოსილია სგშ-ის ჩატარების საჭიროების განსაზღვრის მიზნით მიმართოს სკრინინგის პროცედურას, რომლის შედეგების მიხედვითაც განისაზღვრება სგშ-ის საჭიროება.[17]

სკრინინგი ასევე შეიძლება განხორციელდეს ისეთი სტრატეგიული დოკუმენტისთვის, რომელიც განსაზღვრავს სამომავლო განვითარების ჩარჩოს იმ საქმიანობებისთვის, რომლებიც არ არის ჩამოთვლილი კოდექსის I და II დანართებში, ან/და მე-20 მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრულ სექტორების ჩამონათვალში არ ხვდება.[18]

კოდექსის 23-ე მუხლის თანახმად, დამგეგმავი ორგანო უფლებამოსილია სკრინინგის განცხადება წარუდგინოს სააგენტოსა და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნულ ცენტრს, აგრეთვე სტრატეგიული დოკუმენტის კონცეფცია ან პროექტი, როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული ფორმით მისი შემუშავების ადრეულ ეტაპზე. სტრატეგიული დოკუმენტის კონცეფცია ან პროექტი უნდა მოიცავდეს მოკლე ინფორმაციას სტრატეგიული დოკუმენტით გათვალისწინებული მიზნების, ამოცანებისა და ღონისძიებების შესახებ. სააგენტო და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი კოდექსში მოცემული კრიტერიუმებისა და საზოგადოების მიერ წარმოდგენილი მოსაზრებებისა და შენიშვნების გათვალისწინებით, იღებენ გადაწყვეტილებას, ექვემდებარება თუ არა სტრატეგიული დოკუმენტი სგშ-ს. სკრინინგის პროცედურა 10 (ათი) – 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღე გრძელდება.

[17] კოდექსი, მე-20 მუხლი, მე-6 ნაწილი.
[18] კოდექსი, მე-20 მუხლი, მე-7 ნაწილი.

დიაგრამა 1: სკრინინგის პროცედურული ეტაპები



სკრინინგის განცხადების წარდგენა:

- დამგეგმავი ორგანო სკრინინგის განცხადებით მიმართავს სააგენტოსა და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნულ ცენტრს სტრატეგიული დოკუმენტის მომზადების საწყის ეტაპზე - საუკეთესო შემთხვევაში, სტრატეგიული დოკუმენტის მომზადების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისთანავე. იმ შემთხვევაში, თუ სკრინინგის განცხადება არ იძლევა საკმარის ინფორმაციას გადაწყვეტილების მისაღებად, სააგენტოს ან დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნულ ცენტრს შეუძლია მოსთხოვოს დამგეგმავ ორგანოს დამატებითი ინფორმაციის მიწოდება. ასეთ შემთხვევაში სკრინინგის პროცედურისთვის განსაზღვრული ვადა უნდა აითვალოს თავიდან, განახლებული სკრინინგის განცხადების წარდგენიდან, შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით ადმინისტრაციული წარმოება თავიდან უნდა დაიწყოს.

სგშ-ისადმი დაქვემდებარების საკითხის დადგენა:

- კოდექსის თანახმად, სკრინინგის გადაწყვეტილებას სააგენტო და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, თუმცა ერთსა და იმავე ვადაში იღებენ, ეს ნიშნავს იმას, რომ სკრინინგის პროცესი ორივე უწყებაში პარალელურად მიმდინარეობს. სგშ-ის პროცესის ეფექტიანობის ასამაღლებლად, რეკომენდებულია სკრინინგის პროცესის ამ ორ უწყებას შორის კოორდინირებულად წარმართვა.
- სკრინინგის პროცედურის შედეგად მიიღება ორი გადაწყვეტილება - სააგენტოსა და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული. იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი გადაწყვეტილებით სავალდებულოა სგშ-ის ჩატარება, დამგეგმავმა ორგანომ უნდა განახორციელოს სგშ-ის პროცედურა. კოდექსის თანახმად, სკრინინგის გადაწყვეტილება უნდა გამოქვეყნდეს სააგენტოს, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრისა და დამგეგმავი ორგანოს ვებგვერდებზე, ასევე, ადგილობრივი მუნიციპალიტეტების აღმასრულებელი ორგანოს ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფებზე.
- კოდექსის თანახმად, სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების პროცესში გათვალისწინებული უნდა იყოს სკრინინგის კრიტერიუმები, რომლებიც მოცემულია ცხრილი 2-ში შესაბამისი განმარტებებით. უნდა აღინიშნოს, რომ სკრინინგის კრიტერიუმებისათვის არ არსებობს ზღვრები (როგორც ეს გზშ-ის შემთხვევაშია), ვინაიდან ზემოქმედების მნიშვნელობა ყველა ინდივიდუალური შემთხვევისთვის განსხვავებულია. მიიჩნევა, რომ რაც უფრო მეტია თანხვედრა კრიტერიუმებთან, მით უფრო მეტია ალბათობა იმისა, რომ გარემოზე ზემოქმედება მნიშვნელოვანი იქნება. თუმცა, ცალკეულ შემთხვევებში რომელიმე ერთ კრიტერიუმთან დაკავშირებული ზემოქმედება შეიძლება გახდეს სგშ-ის ჩატარების აუცილებლობის საფუძველი.[19]

[19] ევროკომისია, 2003 „გარკვეული გეგმებისა და პროგრამების გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ 2001/42/EC დირექტივის განხორციელება, შემდგომში „ევროკომისიის სგშ-ის სახელმძღვანელო.“

ცხრილი: 2

სკრინინგისას გასათვალისწინებელი კრიტერიუმები[20]

კრიტერიუმები	ინდიკატორები	განმარტება
სტრატეგიული დოკუმენტის მახასიათებლები	• რამდენად უდგენს სტრატეგიული დოკუმენტი ჩარჩოს საქმიანობებს მათი განხორციელების ადგილის, ტიპის, მოცულობისა და სამუშაო პირობების ან/და ბუნებრივი რესურსების განაწილების კუთხით;	რაც უფრო კონკრეტულად აყალიბებს სტრატეგიული დოკუმენტი ჩარჩოს, მით მეტია ალბათობა იმისა, რომ ის სგშ-ის საჭიროებს. აქედან გამომდინარე, ის სტრატეგიული დოკუმენტები, რომლებიც განსაზღვრავენ, მაგალითად, არა მხოლოდ შენობებისა ან საქმიანობების ადგილმდებარეობას, არამედ მათ მახასიათებლებს, ზომებსა და (საჭიროებისამებრ) ექსპლუატაციის პირობებს, აყალიბებენ უფრო დეტალურ ჩარჩოს პროექტებისათვის, ამიტომ ასეთი დოკუმენტების შემთხვევაში სგშ-ის საჭიროების ალბათობა გაცილებით მეტია, ვიდრე იმ დოკუმენტების შემთხვევაში, რომლებიც განსაზღვრავენ ამოცანებს მოცემული ჩარჩოს დეტალებისა და კონკრეტიკის გარეშე, რომლის ფარგლებშიც უნდა შესრულდეს აღნიშნული ამოცანები.
	• სტრატეგიული დოკუმენტის მიმართება სხვა სტრატეგიულ დოკუმენტთან	იმ შემთხვევაში, თუ სტრატეგიული დოკუმენტი მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს სხვა სტრატეგიულ დოკუმენტზე, შესაძლებელია, რომ მისი განხორციელების შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედება უფრო ფართოდ გავრცელდეს. ამ შემთხვევაში, ალბათობა იმისა, რომ სტრატეგიულ დოკუმენტს სგშ ესაჭიროება, მეტია, ვიდრე წინააღმდეგ შემთხვევაში. მაგალითად, ნარჩენების მართვის გეგმის დამტკიცებამ შეიძლება გამოიწვიოს ცვლილებები სივრცითი მოწყობის გეგმაში ნაგავსაყრელების ადგილმდებარეობის განსაზღვრის მიზნით.

[20] EAC, III თავი, 23-ე მუხლი; განმარტებები ინდიკატორებთან დაკავშირებით ადაპტირებულია EC SEA სახელმძღვანელოდან (იხ. ზემოთ).

	• სტრატეგიული დოკუმენტის მნიშვნელობა გარემოსდაცვითი საკითხების ინტეგრირების თვალსაზრისით, კერძოდ, მდგრადი განვითარების ხელშეწყობისთვის	ამ კონტექსტში საკვანძო კითხვას წარმოადგენს ის, თუ რამდენად შეუძლია წარმოდგენილ სტრატეგიულ დოკუმენტს გარემოსა თუ ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემცირება. ის სტრატეგიული დოკუმენტი, რომელსაც აქვს გარემოზე ზემოქმედების უფრო ფართო ფარგლები (მაგ., ტრანსპორტის პროგრამა შეიძლება მნიშვნელოვან წილად ფოკუსირებული იყოს ტრანსპორტის ემისიებისა და ხმაურის შემცირებაზე), სგშ-ის უფრო რეალური კანდიდატია, ვიდრე ის დოკუმენტი, რომელსაც ნაკლები გარემოსდაცვითი ზემოქმედება აქვს.
	• სტრატეგიულ დოკუმენტთან დაკავშირებული ზოგადი გარემოსდაცვითი ასპექტები;	სგშ-ს ექვემდებარება ისეთი სტრატეგიული დოკუმენტი, რომელსაც შეუძლია გარემოსთან/ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების გამოწვევა ან გაძლიერება, შეზღუდულია ან იმყოფება ამ პრობლემების ზემოქმედების ქვეშ, ან ხელს უწყობს ამ პრობლემების მოგვარებას, შემცირებას ან თავიდან აცილებას. მაგალითად, წყლის ცუდი ხარისხი ან წყლის რესურსების ნაკლებობა გარემოსდაცვითი პრობლემაა, რომელსაც შეუძლია უარყოფითი ზემოქმედების მოხდენა სოფლის მეურნეობის განვითარებაზე. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ მოცემულ ტერიტორიაზე მსგავსი პრობლემა არსებობს, ადგილობრივი სოფლის მეურნეობის განვითარების გეგმას, სავარაუდოდ, სგშ დასჭირდება.
ზემოქმედების ხასიათი და ზემოქმედებას დაქვემდებარებული ტერიტორიის	• ზემოქმედების ხანგრძლივობა, სიხშირე და შეუქცევადობა;	ზოგადად, ის სტრატეგიული დოკუმენტები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიონ ხანგრძლივი, ხშირი და შეუქცევადი ზემოქმედებები, სგშ-ს უფრო მეტად ექვემდებარება, ვიდრე დოკუმენტები, რომელთა ზემოქმედების მოხდენის

მახასიათებლები, კერძოდ:		ალბათობა დაბალია და რომელთა ზემოქმედებაც ხანმოკლე იქნება (მაგ., კონკრეტული პროექტის მშენებლობის დროს).
	• ზემოქმედების კუმულაციური ხასიათი;	რაც უფრო კომპლექსურია, ფართოდ გავრცელებადია ან დიდია ზემოქმედება, მით უფრო მეტია შესაძლებლობა იმისა, რომ აღნიშნული ზემოქმედებები „მნიშვნელოვან“ ზემოქმედებებად ჩაითვალოს. ზემოქმედების შესაძლო კუმულაცია ძალიან მნიშვნელოვანი ასპექტია, რადგან მისი საშუალებით უმნიშვნელო ზემოქმედებები „მნიშვნელოვანი“ ხდება. მაგალითად, შედარებით მცირემასშტაბიანი სამრეწველო განვითარების ზემოქმედება ჰაერის ხარისხზე იმ ტერიტორიის ფარგლებში, სადაც ტრანსპორტის მოძრაობის ინტენსივობა სწრაფად იზრდება, უნდა ჩაითვალოს მნიშვნელოვნად, რადგან სამრეწველო განვითარების შედეგად წარმოქნილ ემისიებს ტრანსპორტის ემისიებიც დაემატება.
	• ზემოქმედების ტრანსსასაზღვრო ხასიათი;	ის სტრატეგიული დოკუმენტი, რომლის განხორციელებამაც შეიძლება გამოიწვიოს ზემოქმედება გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე სხვა ქვეყნის (ქვეყნების) ტერიტორიაზე, ითვლება სგშ-ის კანდიდატად.
	• გარემოს ან/და ადამიანის ჯანმრთელობის მიმართ რისკები (მაგ., ავარიების შედეგად);	აღნიშნული ასპექტი ეხება მოსალოდნელი ზემოქმედებების სიხშირესა და ხანგრძლივობას - იმ შემთხვევაში, თუ ზემოქმედებების რისკი მაღალია, ისინი მნიშვნელოვან ზემოქმედებებად უნდა ჩაითვალოს.
	• ზემოქმედების არეალი და ფართობი (გეოგრაფიული არეალი	ის ზემოქმედებები, რომელიც ვრცელდება დიდ ტერიტორიაზე ან ადამიანების დიდ რაოდენობაზე, მნიშვნელოვან

	და ზემოქმედებას დაქვემდებარებული მოსახლეობის რაოდენობა);	ზემოქმედებებად უნდა ჩაითვალოს. მაგალითად, მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიაზე ჰაერის ხარისხის უმნიშვნელოდ გაუარესებაც კი მრავალი ადამიანის ჯანმრთელობის გაუარესებას გამოიწვევს.
	● ზემოქმედებისადმი დაქვემდებარებული ტერიტორიის ფასეულობა და მოწყვლადობა, კერძოდ, ბუნებრივი მახასიათებლები ან კულტურული მემკვიდრეობა, დაცულ ტერიტორიებზე, აგრეთვე, იმ ტერიტორიაზე ან/და ლანდშაფტზე ზემოქმედება, რომელსაც მინიჭებული აქვს ადგილობრივი ან/და საერთაშორისო მნიშვნელობის სტატუსი.	შესაძლო ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ტერიტორიის განსაკუთრებული ღირებულებისა ან მოწყვლადობის გათვალისწინებით, შესაძლებელია, ზემოქმედება მიჩნეულ იქნას მნიშვნელოვან ზემოქმედებად.

(წყარო: კოდექსი, 23-ე მუხლი)

სკრინინგის პროცედურის დასრულებიდან 3 (სამი) დღის ვადაში სააგენტო და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი ინდივიდუალურად დამგეგმავ ორგანოს უგზავნიან სკრინინგის გადაწყვეტილებას, რომელიც სკრინინგის პროცედურის შესახებ აღნიშნული ორგანოების დასკვნას წარმოადგენს იმის თაობაზე ექვემდებარება თუ არა კონკრეტული სტრატეგიული დოკუმენტი სგშ-ის პროცედურას.

პრაქტიკული რჩევები:

- მხოლოდ სტრატეგიული დოკუმენტის სახელწოდება არ არის საკმარისი, რათა დავასკვნათ, საჭიროებს თუ არა ის სგშ-ს ჩატარებას;
- სტრატეგიულ დოკუმენტში მცირედი ცვლილება შეიძლება იყოს, მაგ., მიწათსარგებლობის არსებული გეგმის რეგულარული ცვლილება (მაგ., ყოველ ხუთ წელიწადში). მიუხედავად იმისა, რომ გეგმის განახლება, როგორც წესი, სგშ-ის ექვემდებარება, ეს შეიძლება იყოს შემთხვევა, როდესაც გეგმა უმნიშვნელო მიზეზების გამო იცვლება (მაგ., საცხოვრებელი სახლის ზუსტი მდებარეობის შეცვლა განაშენიანების ზონის ფარგლებში), რაც არ მოითხოვს სგშ-ის პროცედურის ჩატარებას.

- სკრინინგი უნდა ჩატარდეს სტრატეგიული დოკუმენტის მომზადების საწყის ეტაპზე - იდეალურ სიტუაციაში, სტრატეგიული დოკუმენტის მომზადების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისთანავე. ასეთი მიდგომა უზრუნველყოფს სგშ-ის ინიცირებას დაგეგმვის პროცესის დასაწყისში და გამორიცხავს სგშ-ის განხორციელების პროცესის გაჭიანურებას;
- სკრინინგის განცხადების მომზადებისას შესაძლებელია გამოყენებული იქნეს დანართი 1-ით გათვალისწინებული განცხადების სტრუქტურა. სკრინინგის განცხადებაში სტრატეგიული დოკუმენტის შესახებ მოცემული ინფორმაცია, შეძლებისდაგვარად, სრული და ამომწურავი უნდა იყოს. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ინფორმაცია ძირითადი პრიორიტეტებისა და ამოცანების, მოქმედებების ან პროექტების შესახებ, რომლებიც შეიძლება გზშ-ს ექვემდებარებოდეს და მათი განხორციელების სავარაუდო გზა, უკვე ცნობილი უნდა იყოს სტრატეგიული დოკუმენტის მომზადების ადრეულ ეტაპზე. სტრატეგიული დოკუმენტის მოსალოდნელი შინაარსის უფრო ზუსტი და დეტალური აღწერის შედეგად კი სააგენტო და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი შეძლებენ სკრინინგის გადაწყვეტილების მიღებას.
- სკრინინგის განცხადების მომზადება დიდ რესურსს არ უნდა მოითხოვდეს და, სტრატეგიული დოკუმენტის შინაარსიდან გამომდინარე, შესაძლოა თავად დამგეგმავი ორგანოს თანამშრომლებმა მოამზადონ (რომლებიც სტრატეგიული დოკუმენტის ამოცანებს და შინაარსს კარგად უნდა იცნობდნენ). დამგეგმავმა ორგანომ შესაძლოა, ასევე, განიხილოს კონსულტანტის ჩართვა, რომელიც თავის წვლილს შეიტანს სტრატეგიულ დოკუმენტთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი ან/და ჯანმრთელობის საკითხების იდენტიფიცირებასა და შეფასებაში, ასევე, გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე სტრატეგიული დოკუმენტის სავარაუდო ზემოქმედების დაზუსტებაში;
- იმ შემთხვევაში, თუ დამგეგმავი ორგანო ვერ წყვეტს, საჭიროა თუ არა სგშ და/ან სკრინინგი, მან სააგენტოს და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნულ ცენტრს წერილობით უნდა მიმართოს;
- სკრინინგის გადაწყვეტილებისათვის აუცილებელია გარემოსა და/ან ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ზემოქმედებების გათვალისწინება. თუმცა, კონკრეტული ზღვრების დადგენა შეუძლებელია - ზემოქმედებები და მათი მასშტაბი მნიშვნელოვნად არის განპირობებული ზემოქმედების ქვეშ მყოფი ტერიტორიის მახასიათებლებზე და ასევე, სტრატეგიული დოკუმენტის მიზანსა და დაგეგმილ ძირითად ღონისძიებებზე.

2. სკოპინგი

<u>**განმარტება:**</u>

კოდექსის მე-3 მუხლის „ს“ ქვეპუნქტის თანახმად, სკოპინგი არის „პროცედურა, რომელიც განსაზღვრავს სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასებისთვის მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალს და ამ ინფორმაციის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშში ასახვის საშუალებებს.

<u>**მიზანი და დანიშნულება:**</u>

სკოპინგის მიზანია სგშ-ის ანგარიშში წარმოსადგენი ინფორმაციის დადგენა, კერძოდ, გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული იმ ძირითადი საკითხების გამოვლენა, რომლებიც შესწავლილი იქნება სგშ-ის პროცესში, აგრეთვე, იმ საკითხების იდენტიფიცირება, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი მოცემულ სტრატეგიულ დოკუმენტთან და შესაბამისად, არ საჭიროებენ შესწავლას.

უფრო მეტიც, სკოპინგი ასევე:

- უთითებს სტრატეგიული დოკუმენტის გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე სავარაუდო ზემოქმედებაზე;
- საზოგადოებას აცნობს სტრატეგიული დოკუმენტის მომზადებისა და მისი პოტენციური ალტერნატივების შესახებ;
- ავლენს საზოგადოების ინტერესს სტრატეგიული დოკუმენტისა და სგშ-ის მიმართ;
- შესაბამის ინფორმაციას აწვდის დამგეგმავ ორგანოს, სგშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო რესურსების დასაზოგად;
- განსაზღვრავს საბაზისო მონაცემებისა და იმ ინფორმაციის მასშტაბს, რომელიც შემდგომში უნდა შეგროვდეს სგშ-ს ანგარიშში;
- მიუთითებს სავარაუდო ტრანსსასაზღვრო ზემოქმედებასა და, შესაბამისად, ტრანსსასაზღვრო კონსულტაციების საჭიროებაზე.

<u>სამართლებრივი მოთხოვნები:</u>

კანონმდებლობის თანახმად, სკოპინგის ეტაპი მოიცავს სკოპინგის განცხადების მომზადებას და საზოგადოების მიერ წარმოდგენილი შენიშვნებისა და მოსაზრებების გათვალისწინებით სააგენტოსა და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრის მიერ სკოპინგის დასკვნის გაცემას (**იხ. დიაგრამა 2**).

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“ უფლებას აძლევს დამგეგმავ ორგანოს, ერთდროულად წარუდგინოს სააგენტოს სკრინინგის განცხადება და სკოპინგის დასკვნის განცხადება. ასეთ შემთხვევაში, თუ სკრინინგის პროცედურის საფუძველზე სტრატეგიული დოკუმენტი სგშ-ს დაექვემდებარება, იმავე გადაწყვეტილებაში მიეთითება აგრეთვე სკოპინგის დასკვნის გაცემის მიზნით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ. შესაბამისად, სააგენტო დაიწყებს ადმინისტრაციულ წარმოებას სკოპინგის დასკვნის გასაცემად.

დიაგრამა 2-ზე წარმოდგენილია სკოპინგის პროცედურული ნაბიჯები სამართლებრივი მოთხოვნების შესაბამისად:[21]

[21] კოდექსი, 25-ე მუხლი.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

3 დღე

- სააგენტოს ვებგვერდზე სკოპინგის განცხადებისა და თანდართული დოკუმენტების განთავსება
- შესაბამისი მუნიციპალიტეტის მერიის ან/და საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე განთავსება
- დამგეგმავი ორგანოს მიერ ვებგვერდზე განთავსება

15 დღე

საზოგადოების მოსაზრებების/შენიშვნების მიღება

არაუადრეს 20 დღე და არაუგვიანეს 25 დღე

სკოპინგის დასკვნა

3 დღე

დასკვნა ეგზავნება დამგეგმავ ორგანოს

5 დღე

სკოპინგის დასკვნის და სტრატეგიული დოკუმენტის კონცეფციის ან სამუშაო ვერსიის განთავსება:

- სააგენტოს ვებგვერდზე;
- შესაბამისი მუნიციპალიტეტის მერიის ან/და საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე;
- დამგეგმავი ორგანოს ვებგვერდზე.

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი

3 დღე

ცენტრის ვებგვერდზე სკოპინგის განცხადებისა და თანდართული დოკუმენტების განთავსება

15 დღე

საზოგადოების მოსაზრებების/შენიშვნების მიღება

არაუადრეს 20 დღე და არაუგვიანეს 25 დღე

სკოპინგის დასკვნა

3 დღე

დასკვნა ეგზავნება დამგეგმავ ორგანოს

5 დღე

სკოპინგის დასკვნისა და სტრატეგიული დოკუმენტის კონცეფციის ან სამუშაო ვერსიის ვებგვერდზე განთავსება

** სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 წლის ვადაში დამგეგმავი ორგანოს მიერ სგშ-ის ანგარიშისა და სტრატეგიული დოკუმენტის პროექტის სააგენტოსა და ცენტრში წარუდგენლობის შემთხვევაში სკოპინგის დასკვნა ძალას კარგავს.*

დამგეგმავმა ორგანომ სკოპინგის განცხადების მომზადება უნდა უზრუნველყოს კოდექსის მოთხოვნების გათვალისწინებით, იხ. **დანართი 2,** სკოპინგის განცხადების შესაძლო სტრუქტურისა და შინაარსის თაობაზე. მოცემული დანართი სარეკომენდაციო ხასიათისაა. ამასთან, სკოპინგის განცხადება ასევე უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას.

- სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების პერიოდი.
- გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული იმ საკითხების მიმოხილვა, რომლებიც შესწავლილი იქნება სგშ-ში (სასურველია შესწავლის დონის მითითებაც - ძალიან ზოგადიდან (მაგ., წყლის ხარისხი) - კონკრეტულამდე (მაგ., ურბანული ტერიტორიების ჰაერში ბენზო(ა)პირენის კონცენტრაციის ცვლილება).
- იმ სტრატეგიული დოკუმენტების ან გარემოსდაცვითი პოლიტიკის მიზნების მიმოხილვა, რომლებთან მიმართებაც შეფასებული იქნება სგშ-ში (მაგ., შემოთავაზებული სტრატეგიული დოკუმენტის, ბიომრავალფეროვნების სტრატეგიისა და მოქმედებათა გეგმის" მიზნებთან თავსებადობის შეფასება).
- დაინტერესებული საზოგადოების ჩამონათვალი, რომლებთანაც საჭიროა კონსულტაციის გავლა სგშ-ის შემდგომ ეტაპზე.
- რეკომენდაციები შემდგომი კონსულტაციების ჩატარების თაობაზე, მათ შორის, ისეთი ღონისძიებები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული კოდექსით.
- ალტერნატივების შეფასების მოთხოვნა (მაგ., გარკვეული ალტერნატივების შემუშავების და/ან ანალიზის აუცილებლობის მითითება: მაგ., კონკრეტული სატრანსპორტო დერეფნების ალტერნატივების შემუშავება და შეფასება დასახლებულ ტერიტორიებზე მოსალოდნელი ზემოქმედების არიდების მიზნით).
- რეკომენდაციები ანალიზის იმ მეთოდებსა და საშუალებებთან დაკავშირებით, რომლებიც უნდა გამოიყენებოდეს სგშ-ში (მაგ., დაცულ ტერიტორიებსა და დაგეგმილ ინფრასტრუქტურას შორის მოსალოდნელი კონფლიქტის სივრცითი ანალიზი).

სკოპინგის დასკვნა:[22]

- კოდექსის 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააგენტო და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ინდივიდუალურად ამზადებს და გასცემს სკოპინგის დასკვნას.
- სკოპინგის დასკვნა ძალას ინარჩუნებს 5 (ხუთი) წლის განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ ვადაში დამგეგმავი ორგანოს მიერ სგშ-ის ანგარიში სტრატეგიული დოკუმენტის პროექტთან ერთად არ იქნა წარდგენილი სააგენტოსა და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნულ ცენტრში, იგი ვალდებული იქნება ხელახლა გაიაროს სგშ-ის სკოპინგის პროცედურა.

[22] კოდექსი, 25-ე მუხლი.

პრაქტიკული რჩევები

სკოპინგის დაწყება:

- სგშ სტრატეგიული დოკუმენტის დაგეგმვის პროცესის შესაბამისად უნდა განხორციელდეს, შესაბამისად, მნიშვნელოვანია სკოპინგის განხორციელება სტრატეგიული დოკუმენტის მომზადების საწყის ეტაპებზე. კოდექსი მოითხოვს, რომ სტრატეგიული დოკუმენტის კონცეფცია ან პროექტი სკოპინგის განცხადებას უნდა დაერთოს - თუმცა, რეკომენდებულია, ასეთ კონცეფციაში ან პროექტში, შევიდეს ძირითადი პრიორიტეტებისა და ამოცანების, მოსალოდნელი შინაარსის, სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების გეოგრაფიული ტერიტორიის თავდაპირველი აღწერა, ასევე ის, თუ როგორ უნდა განხორციელდეს სტრატეგიული დოკუმენტი. ამ მიდგომით, თავიდან იქნება აცილებული სკოპინგის გადადება დაგეგმვის პროცესის მოგვიანებით ეტაპზე, რამაც შესაძლოა, სგშ-ის არაეფექტურობა გამოიწვიოს.

კონსულტანტების ჩართვა:

- მიუხედავად იმისა, რომ კოდექსი არ ადგენს, თუ ვინ უნდა მოამზადოს სკოპინგის განცხადება, მოსალოდნელია, რომ უმეტეს შემთხვევებში სკოპინგის განცხადების მომზადებაში სგშ-ის კონსულტანტები იქნებიან ჩართულნი. დამგეგმავმა ორგანომ კონსულტანტების ჩართვა უნდა უზრუნველყოს სკოპინგის მაქსიმალურად ადრეულ ეტაპზე და მკაფიოდ განსაზღვროს მათი ამოცანები. თუმცა, ვინაიდან სგშ-ის ჯგუფის მიერ ჩასატარებელი შეფასებისა და კვლევების ფარგლები მხოლოდ სკოპინგის დასრულების შემდეგ დაზუსტდება, კონსულტანტების ტექნიკური დავალება/კონტრაქტი უნდა იყოს მოქნილი, რათა შესაძლებელი იყოს მათთვის დამატებითი ამოცანების დაკისრება. დამატებითი ინფორმაცია კონსულტანტების მონაწილეობის შესახებ **იხ. დანართი 8-ში**.

კონსულტაციები სკოპინგის ეტაპზე:

- სკოპინგის უპირველეს მიზანს შეფასების მასშტაბის განსაზღვრა წარმოადგენს. ამრიგად, სკოპინგის ფარგლებში კონსულტაციების მიზანი უნდა იყოს სგშ-ის შემდგომი ნაბიჯები - რა კვლევები უნდა შესრულდეს სგშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის, რა ტიპის კონსულტაციები განხორციელდეს და ა.შ.
- სკოპინგის განაცხადის მომზადებისას უნდა გამოვლინდეს შესაბამისი დაინტერესებული მხარეები და შემოთავაზებული იყოს კონსულტაციების ფორმები, რომელიც გამოყენებული იქნება სგშ-ის შემდგომ პროცესში.
- იდეალურ სიტუაციაში, სგშ-ს ფარგლები მისაღები უნდა იყოს დამგეგმავი გუნდისა და დაინტერესებული მხარეებისათვის. თუმცა, სგშ-დან რომელიმე საკითხის ამოღება იმის გამო, რომ ვერ მოხდა შეთანხმება ერთ-ერთ დაინტერესებულ მხარესთან დაუშვებელია.
- სკოპინგის ეტაპს წვლილი შეაქვს სტრატეგიული დოკუმენტის მომზადების პროცესში - სკოპინგი ავლენს შესაძლო კონფლიქტებს, იძლევა რეკომენდაციებს სტრატეგიულ დოკუმენტში გარკვეული ელემენტების/კონკრეტული ქმედებების ალტერნატივების შემუშავების საჭიროების თაობაზე და სხვ. აქედან გამომდინარე,

მნიშვნელოვანია სკოპინგის განცხადების სამუშაო ვერსიის განხილვა სტრატეგიულ დოკუმენტზე მომუშავე გუნდის წევრებთან, რათა მოისმინონ მათი მოსაზრებები, როგორც სტრატეგიული დოკუმენტის მიმართ გაკეთებული რეკომენდაციების, ასევე სგშ-ის შეთავაზებული ფარგლების თაობაზე. გარდა ამისა, საჭიროა შეთანხმება იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა მოხდეს სგშ-ის დასკვნების გათვალისწინება სტრატეგიულ დოკუმენტში.

- რეკომენდებულია საჭიროების შემთხვევაში, არაფორმალური შეხვედრების ჩატარება დამგეგმავ ჯგუფსა და სხვა შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან. აღნიშნული კონსულტაციების ჩატარება შესაძლებელია კონკრეტული ასპექტების განხილვის მიზნით ადმინისტრაციულ ორგანოებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრ(ებ)ის მოწყობის გზით. სგშ-ის პრაქტიკული გამოცდილება აჩვენებს, რომ ასეთი მიდგომა ეფექტიანია.
- რეკომენდებულია განცხადებისა და თანდართული დოკუმენტების შესახებ საზოგადოების ინფორმირება მედიის (მათ შორის, ადგილობრივ გაზეთში) გამოყენებით, აგრეთვე, საზოგადოების ინფორმირება სხვა საშუალებებით, მათ შორის ეროვნული/ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების და ქსელების, ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში საინფორმაციო დაფების მეშვეობით და სხვ.
- სგშ-ში განსახილველი გარემოსდაცვითი და ჯანმრთელობის საკითხების დადგენა შესაძლოა სხვადასხვა მეთოდსა და მიდგომას მოიცავდეს.
- თითოეული მიმართულებისთვის უნდა განისაზღვროს კონკრეტული საკითხები, რომლებიც შეესაბამება შესაფასებელ სტრატეგიულ დოკუმენტს, ტერიტორიული მასშტაბის აღწერასთან ერთად. ამისათვის შესაძლოა საჭირო გახდეს საწყისი ფონური მდგომარეობის დადგენის მიზნით გაზომვითი სამუშაოების ჩატარება.
- ასევე, ძირითადი საკითხების შერჩევის დასაბუთების მიზნით, სასარგებლოა გარემოსა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხების მიმართ იმ რელევანტური ამოცანების იდენტიფიცირება, რომლებიც განსაზღვრულია არსებული სტრატეგიული ან სამართლებრივი დოკუმენტებით (მაგ., გარემოს ეროვნული პოლიტიკა, საერთაშორისო ხელშეკრულებები და ა.შ.).

სკოპინგის დასკვნა:

- სკოპინგის განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს მე-20 დღისა და არაუგვიანეს 25-ე დღისა სააგენტო და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ინდივიდუალურად გასცემენ სკოპინგის დასკვნებს.

3. სგშ-ის ანგარიში

განმარტება:

კოდექსის მე-3 მუხლის, „ღ“ ქვეპუნქტის თანახმად, სგშ-ის ანგარიში არის „დამგეგმავი ორგანოს ან/და კონსულტანტის მიერ სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების პროცესში მომზადებული დოკუმენტი, რომელიც მოიცავს ამ კოდექსით დადგენილ ინფორმაციას“.

მიზანი და დანიშნულება:

სგშ-ის ანგარიში უნდა იყოს ადვილად კითხვადი დოკუმენტი, რომელშიც ყველა მნიშვნელოვანი ინფორმაცია და მონაცემი, დასკვნა და რეკომენდაცია იმდენად ნათლად და მკაფიოდ იქნება წარმოდგენილი, რომ აღნიშნული დოკუმენტის შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან განხილვა შესაძლებელი იყოს.

სამართლებრივი მოთხოვნები:

კოდექსის განმარტების მიხედვით, სგშ-ის ანგარიშის მომზადება უნდა უზრუნველყოს დამგეგმავმა ორგანომ კონსულტანტის ჩართულობით. სგშ-ის ანგარიში კოდექსით გათვალისწინებულ ინფორმაციას უნდა მოიცავდეს (კოდექსი, 26-ე მუხლის მე-2 ნაწილი). ასევე სგშ ანგარიშის მომზადებისას გამოყენებული მეთოდები - უნდა შეესაბამებოდეს სკოპინგის დასკვნას. სგშ-ის ანგარიში ხელმოწერილი უნდა იყოს მის მომზადებაში (შედგენაში) მონაწილე პირის (პირების) მიერ, მათ შორის, კონსულტანტის მიერ (მისი არსებობის შემთხვევაში). სგშ-ის ანგარიში და მის მომზადებაში (შედგენაში) მონაწილე პირის (პირების) შესახებ ინფორმაცია საჯაროა.

პრაქტიკული რჩევები:

- დამგეგმავმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს სგშ-ის ანგარიშის მომზადება და ამ პროცესში კონსულტანტ(ებ)ის ჩართვა. პრაქტიკაში სგშ-ის ანგარიშს, როგორც წესი, ექსპერტთა გუნდი ამზადებს - მასში უნდა აისახოს სტრატეგიული დოკუმენტის შინაარსი და სგშ–ის პროცესში განხილული ძირითადი გარემოსდაცვითი და ჯანმრთელობის დაცვის საკითხები.
- სგშ-ის ანგარიშში უნდა მიეთითოს სგშ გუნდის წევრების შესახებ ინფორმაცია, მათი შესაბამისი პოზიციებისა და კვალიფიციკაციების მითითებით (მაგ. გუნდის ლიდერი, ბიომრავალფეროვნების ექსპერტი და ა.შ.).
- სგშ-ის გუნდი (კვალიფიციური კონსულტანტების ჩათვლით), სავარაუდოდ, სტანდარტული სატენდერო პროცედურის გავლით უნდა შეირჩეს. ამრიგად, მნიშვნელოვანია, რომ დამგეგმავმა ორგანომ ტექნიკურ დავალებაში სწორად განსაზღვროს სგშ-სთან დაკავშირებული მომსახურების მოთხოვნები (დეტალებისთვის იხილეთ მე-9 თავი).
- სგშ-ის ანგარიშში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია რომელშიც აღწერილი იქნება, თუ როგორ მიმდინარეობდა სგშ-ის პროცესი, მათ შორის კონსულტაციები შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოებთან და/ან სხვა დაინტერესებულ

მხარეებთან და როგორ გაითვალისწინეს კონსულტაციების შედეგები სგშ-ის ანგარიშში და/ან სტრატეგიულ დოკუმენტში.

- სგშ-ის ანგარიშში აღწერილი უნდა იყოს შესაძლო ზემოქმედება გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრის ფუნქციაა, შეამოწმოს, რამდენად სწორია სგშ-ში წარმოდგენილი ინფორმაცია ადამიანის ჯანმრთელობაზე შესაძლო ზემოქმედებების შესახებ და არის თუ არა საკმარისი შემოთავაზებული შემარბილებელი ღონისძიებები. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნულმა ცენტრმა, ასევე, შესაძლოა, საჭიროების შემთხვევაში მიუთითოს დამატებით ღონისძიებებზე.
- დამგეგმავმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს კოორდინაცია ექსპერტებსა და დამგეგმავ ჯგუფს შორის - აქედან გამომდინარე, რეკომენდებულია კომუნიკაციის გეგმის შემუშავება, რომელშიც ასახული იქნება სგშ-ის/დაგეგმვის პროცესის ძირითადი ეტაპები, მათ შორის, სგშ-ის ანგარიშის მომზადების ეტაპზე სგშ-ის რეკომენდაციების და სტრატეგიული დოკუმენტის სამუშაო ვერსიაში მათი ინტეგრირების საკითხების განხილვის მიზნით ჩასატარებელი შეხვედრები.
- მიუხედავად იმისა, რომ სგშ-ის ანგარიში უნდა განიხილონ ოფიციალურ კონსულტაციებზე, მისი მომზადების პროცესში შესაძლებელია დამატებითი შეხვედრების ჩატარება შერჩეულ ადმინისტრაციულ ორგანოებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან კონკრეტული ასპექტების განხილვის მიზნით.
- ინფორმაციის გავრცელების იმ სავალდებულო საშუალებების პარალელურად, რომლებიც განსაზღვრულია კოდექსით (32-ე მუხლი)[23], ასევე რეკომენდებულია საზოგადოების ინფორმირება სხვა საშუალებებითაც, როგორიცაა, ადგილობრივი ელექტრონული მედია-საშუალებები, ეროვნული/ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები და ქსელები.
- სგშ-ის ანგარიში და სტრატეგიული დოკუმენტის სამუშაო ვერსია განხილულ უნდა იქნას კონსულტაციების პროცესში. მნიშვნელოვანია, რომ ყველა დაინტერესებულ მხარეს მიეცეს სტრატეგიული დოკუმენტის სამუშაო ვერსიისა და სგშ-ის ანგარიშის გაცნობის შესაძლებლობა, წინააღმდეგ შემთხვევაში - განხილვები შედეგიანი არ იქნება. ამისათვის კონსულტაციების მომზადების პროცესში აუცილებელია კოორდინაცია ექსპერტებსა და დამგეგმავ ჯგუფს შორის - კოორდინაცია დამგეგმავმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს. სგშ-ის ანგარიშის ეტაპზე მოსაწვევი პირების სიის შედგენის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს მოსალოდნელი ზემოქმედებები და შესაბამისი დაინტერესებული მხარეები (ან დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფები). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სგშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია მოსალოდნელი ზემოქმედებების შესახებ იძლევა იმ შესაბამისი ახალი დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირების შესაძლებლობას (სკოპინგის ეტაპზე გამოვლენილ დაინტერესებულ მხარეებთან ერთად), რომლებიც უნდა მოიწვიონ შეხვედრებზე. მაგალითად, სკოპინგის ეტაპზე

[23] საჯარო განხილვის ჩატარების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება გაზეთში, რომელიც შესაძლო ზემოქმედებას დაქვემდებარებული ტერიტორიის ფარგლებში ფართოდ არის გავრცელებული და ხელმისაწვდომია საზოგადოების/დაინტერესებული საზოგადოების უმრავლესობისათვის, აგრეთვე შესაბამისი ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების ვებგვერდებზე და საინფორმაციო დაფებზე, მათ შორის ისეთი საშუალებებით, რომლებიც ფართოდ გამოიყენება ინფორმაციის გასავრცელებლად, მაგ., ავტობუსის გაჩერებებზე, საბავშვო ბაღებში, სკოლებში, სავაჭრო ცენტრებში, საფოსტო განყოფილებებში და საზოგადოების თავშეყრის სხვა ადგილებში არსებულ საინფორმაციო დაფებზე.

ჩართულ დაინტერესებულ მხარეებთან ერთად, სგშ-ის ანგარიშსა და სტრატეგიული დოკუმენტის სამუშაო ვერსიასთან დაკავშირებულ საკონსულტაციო შეხვედრებში, შესაძლებელია, მაგ., ადგილობრივი გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და/ან იმ ადამიანების მოწვევა, რომლებიც ცხოვრობენ იმ ტერიტორიებზე, სადაც იგეგმება მასშტაბური პროექტები - ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადგილობრივი გეგმებისა და პროგრამების შემთხვევაში. საკონსულტაციო შეხვედრების ჩატარების ადგილის შერჩევის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს მოსალოდნელი ზემოქმედებების ტერიტორიული ასპექტი. ამასთან, შეხვედრების ჩატარება სასურველია მოსალოდნელი მნიშვნელოვანი ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ ტერიტორიაზე ან მის სიახლოვეს.

- ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული ტერიტორიისთვის შემუშავებული სტრატეგიული დოკუმენტის სგშ-ის პროცედურაზე წარდგენის შემთხვევაში, რეკომენდებულია საჯარო განხილვაზე შესაბამის ენაზე თარგმანის უზრუნველყოფა, მნიშვნელოვანია, კონსულტაციის პროცესში მონაწილე დაინტერესებული მხარეებმა იცოდნენ იმის შესახებ, თუ როგორ აისახა მათი შენიშვნები და მოსაზრებები სგშ-ის ანგარიშსა ან/და სტრატეგიულ დოკუმენტში, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება, შეექმნათ წარმოდგენა, რომ მათი მონაწილეობა სათანადოდ არ იყო გათვალისწინებული და გრძელვადიან პერსპექტივაში დაკარგონ ინტერესი სგშ-ის მიმართ. ასეთი ინფორმაციის მიწოდება შესაძლებელია კონსულტაციების დროს მიღებული კომენტარების მიმოხილვით, ასევე იმის მითითებით, თუ როგორ იქნა კომენტარები გათვალისწინებული (რომელიც უნდა მომზადდეს დამგეგმავი ორგანოს მიერ) და ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებით.

მე-3 დანართში აღწერილია სგშ-ის ანგარიშის რეკომენდებული შინაარსი, რომელიც მოიცავს კოდექსის მოთხოვნებს (იხ. დანართი 3)

4. სგშ-ის ანგარიშის განხილვა

<u>განმარტება:</u>

დამგეგმავი ორგანო სააგენტოსა და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნულ ცენტრს მიმართავს განცხადებით და როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული ფორმით წარუდგენს სგშ-ის ანგარიშსა და სტრატეგიული დოკუმენტის პროექტს. დამგეგმავი ორგანოს მიერ წარდგენილი განცხადების რეგისტრაციის შემდგომ, სააგენტო და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი იწყებენ სგშ-ის ანგარიშისა და სტრატეგიული დოკუმენტის პროექტზე რეკომენდაციების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებებს.

<u>მიზანი და დანიშნულება:</u>

სგშ-ის ანგარიშის განხილვა წარმოადგენს სგშ-ის ანგარიშსა და სტრატეგიულ დოკუმენტზე რეკომენდაციების მომზადებისა და გაცემის წინაპირობას.

<u>სამართლებრივი მოთხოვნები:</u>
კოდექსის 27-ე მუხლის თანახმად, სგშ-ის ანგარიშის განხილვას უზრუნველყოფს სააგენტო საექსპერტო კომისიის საშუალებით. საექსპერტო კომისია შეისწავლის ანგარიშს და

ამზადებს საექსპერტო დასკვნას. საექსპერტო კომისიის შექმნას და საექსპერტო დასკვნის მომზადებას არეგულირებს კოდექსი. კერძოდ, დამგეგმავი ორგანოს მიერ წარდგენილი განცხადების რეგისტრაციიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში, სგშ-ის ანგარიშის განხილვის მიზნით, სააგენტო უზრუნველყოფს საექსპერტო კომიისიის შექმნას. საექსპერტო კომისია სტრატეგიულ დოკუმენტზე და სგშ-ის ანგარიშზე ექსპერტიზის დასკვნის მომზადებას უზრუნველყოფს არაუგვიანეს 40 (ორმოცი) სამუშაო დღისა.[24] კოდექსის თანახმად, ყოველი კონკრეტული შემთხვევისთვის სააგენტო ქმნის საექსპერტო კომისიას.

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 83-ე მუხლი სააგენტოსა და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნულ ცენტრს ანიჭებს უფლებას, კანონით დადგენილი წესით დაადგინოს ხარვეზი და მოითხოვოს აღნიშნული ხარვეზის შესწორება. „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო 3 დღის ვადაში ამოწმებს განცხადების შესაბამისობას ამ კოდექსის 78-ე მუხლის მოთხოვნებთან. უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნულ ვადაში შესაძლებელია შემოწმდეს წარმოდგენილია თუ არა კოდექსით გათვალისწინებული დოკუმენტაცია. განხილვის ეტაპზე ხარვეზები შეიძლება დადგინდეს სააგენტოს მიერ და შეჩერდეს ან შეწყდეს ადმინისტრაციულ წარმოება. შეჩერების შემთხვევაში, ადმინისტრაციული წარმოება გაგრძელდება განახლებული დოკუმენტაციის/ინფორმაციის წარმოდგენის საფუძველზე, ხოლო შეწყვეტის შემთხვევაში, რეკომენდაციების გაცემის მიზნით ადმინისტრაციული წარმოება დაიწყება განახლებული სგშ-ის ანგარიშისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ.

- საექსპერტო კომისია იქმნება სააგენტოს მიერ. კომისიის წევრების შერჩევის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს სგშ-ში განსახილველი საკვანძო საკითხები და ყველაზე მნიშვნელოვანი მოსალოდნელი ზემოქმედებები (მაგ.: სატრანსპორტო სექტორის სტრატეგიული დოკუმენტის შემთხვევაში, მოსალოდნელია მნიშვნელოვანი ზემოქმედება ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე, ამიტომ კომისიის შემადგენლობაში შესაბამისი დარგის ექსპერტი უნდა შევიდეს).
- სგშ-ის ანგარიშის განხილვის დროს უნდა გადამოწმდეს, სათანადოდ აღწერს თუ არა ანგარიში ყველა მოსალოდნელ ზემოქმედებას, განსაზღვრავს თუ არა შერბილების შესაბამის ღონისძიებებს, და სხვ.; გარდა ამისა, გათვალისწინებულია თუ არა სგშ-ის ანგარიშში სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული საკითხები.
- აქვე აღსანიშნავია, რომ დაბალი ხარისხის სგშ-ის ანგარიშის საფუძველზე შესაძლებელია გაიცეს რეკომენდაცია, სტრატეგიული დოკუმენტის არმიღების თაობაზე, ვინაიდან არ იქნა საკმარისად აღწერილი და შეფასებული გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების საკითხები, და არ განისაზღვრა სათანადოდ შემარბილებელი ღონისძიებები.
- დამგეგმავმა ორგანომ საჯარო განხილვის შემდგომ უნდა უზრუნველყოს სააგენტოში საჯარო განხილვის ოქმის (იხ. „საჯარო განხილვის წესი“),[25] აუდიო

[24] კოდექსი, 27-ე მუხლი.

[25] საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანება №2-94 საჯარო განხილვის წესის დამტკიცების შესახებ, 22 თებერვალი, 2018 წელი https://matsne.gov.ge/ka/document/view/4054941?publication=0.

ჩანაწერის, ფოტოების და დამსწრეთა რაოდენობის (მათ შორის სქესის ნიშნით) თაობაზე ინფორმაციის წარდგენა.

- სგშ-ის ანგარიშის ხარისხის შემოწმების გარდა, საექსპერტო კომისიის უმთავრეს დანიშნულებას სგშ-ის ანგარიშზე დასკვნის მომზადება წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად ხარისხის კონტროლის ობიექტი სგშ-ის ანგარიში და სტრატეგიული დოკუმენტია, მნიშვნელოვანია სგშ-ის მთლიანი პროცესის განხილვა, რომელიც მოიცავს კონსულტაციებს დაინტერესებულ მხარეებთან, სტრატეგიული დოკუმენტის მომზადების პროცესში სგშ-ის მოსაზრებების გათვალისწინების მეთოდს და ა.შ. ასეთი მიდგომით ხარისხის შემოწმება წარმოადგენს არა მარტო სგშ-ის ანგარიშის კანონმდებლობასთან შესაბამისობის ფორმალურ შემოწმებას, არამედ იმ კონკრეტული მითითებების მიღების შესაძლებლობასაც, რომლებიც გათვალისწინებული იქნება სგშ-ის დასკვნით ეტაპებზე. **დანართი 5-ში** წარმოდგენილია ხარისხის კრიტერიუმები, რომლებიც უნდა გაითვალისწინოს საექსპერტო კომისიამ სგშ-ის ანგარიშის შემოწმებისას.

დიაგრამა 3: სგშ-ის ანგარიშისა და სტრატეგიული დოკუმენტის პროექტის განხილვა


სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი
3 დღე
3 დღე
3 დღე
სააგენტოს ვებგვერდზე განცხადებისა და თანდართული დოკუმენტების განთავსება
შესაბამისი მუნიციპალიტეტის მერიის ან/და საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე განთავსება
დამგეგმავი ორგანოს მიერ ვებგვერდზე განთავსება
ექსპერტო კომისიის შექმნა
40 დღე
ექსპერტო დასკვნა
არაუგვიანეს 30 დღისა
40 დღე
განცხადება საჯარო განხილვის თაობაზე
40 დღის ვადაში
საზოგადოების მოსაზრებების/შენიშვნების მიღება
სგშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვა
5 დღე
დამგეგმავი ორგანოს მიერ სგშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვის ოქმის შედგენა
5 დღე
დამგეგმავი ორგანოს მიერ სგშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვის ოქმის სააგენტოსთვის და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრისთვის წარდგენა
ცენტრის ვებგვერდზე განცხადებისა და თანდართული დოკუმენტების განთავსება
40 დღე
საზოგადოების მოსაზრებების/შენიშვნების მიღება
რეკომენდაციების გაცემა სგშ-ის ანგარიშთან და სტრატეგიული დოკუმენტის პროექტთან
5 დღე
რეკომენდაციების ცენტრის ვებგვერდზე განთავსება
* თუ რეკომენდაციების გაცემიდან 10 წლის ვადაში სტრატეგიული დოკუმენტი არ იქნება მიღებული/დამტკიცებული, დამგეგმავი ორგანო ვალდებულია ხელახლა გაიაროს სგშ-ის პროცედურა
არაუადრეს 51 დღე და არაუგვიანეს 55 დღე
არაუადრეს 51 დღე და არაუგვიანეს 55 დღე
რეკომენდაციების გაცემა სგშ-ის ანგარიშთან და სტრატეგიული დოკუმენტის პროექტთან დაკავშირებით
5 დღე
რეკომენდაციების განთავსება:
• სააგენტოს ვებგვერდზე;
• შესაბამისი მუნიციპალიტეტის მერიის ან/და საკრებულოს ორგანოს საინფორმაციო დაფაზე განთავსება;
• დამგეგმავი ორგანოს მიერ ვებგვერდზე განთავსება.

5. რეკომენდაციების გაცემა სტრატეგიულ დოკუმენტსა და სგშ-ის ანგარიშთან დაკავშირებით

<u>მიზანი და დანიშნულება:</u>

სტრატეგიული დოკუმენტის მიღება/დამტკიცებას წინ უნდა უძღოდეს სააგენტოსა და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრის მიერ სტრატეგიული დოკუმენტის პროექტსა და სგშ-ის ანგარიშზე რეკომენდაციების მომზადება. რეკომენდაციების გაცემის შესახებ გადაწყვეტილებაში შეჯამებული უნდა იყოს სგშ-ს პროცესის შედეგები, რომლებიც გათვალისწინებული იქნება სტრატეგიული დოკუმენტის დამტკიცების დროს.

<u>სამართლებრივი მოთხოვნები:</u>

სტრატეგიული დოკუმენტის სამუშაო ვერსიის, სგშ-ის ანგარიშის, საზოგადოებასთან კონსულტაციების შედეგებისა და საექსპერტო კომისიის დასკვნების საფუძველზე სააგენტო და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი განცხადების რეგისტრაციიდან არანაკლებ 51 (ორმოცდათერთმეტი) და არაუგვიანეს 55 (ორმოცდათხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში გასცემენ რეკომენდაციებს სტრატეგიულ დოკუმენტსა და სგშ-ის ანგარიშთან დაკავშირებით. სააგენტო და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი აღნიშნულ რეკომენდაციებს დამგეგმავ ორგანოს უგზავნის მათი გაცემიდან 3 (სამი) დღის ვადაში[26].

კოდექსის თანახმად, სააგენტოსა და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული რეკომენდაციები ძალაშია 10 (ათი) წლის განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ რეკომენდაციების გაცემიდან 10 (ათი) წლის ვადაში სტრატეგიული დოკუმენტი არ იქნება მიღებული/დამტკიცებული, დამგეგმავი ორგანო ვალდებულია, ხელახლა ჩაატაროს სგშ-ის პროცედურები[27].

მაგალითი: კურორტ ლებარდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის სგშ

კურორტ ლებარდეს განაშენიანების რეგულირების გეგმისთვის განხორციელებულმა სგშ-მ კონკრეტული საკითხები გამოავლინა, გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების უფრო ფართოდ განხილვის, ბუნებრივ გარემოსა, თუ მოსახლეობაზე პოტენციური ზემოქმედების შერბილების თაობაზე. გეგმის დადებითი ეფექტის ასამაღლებლად შემდეგი რეკომენდაციები გაიცა: ადგილობრივი შენობების დაპროექტების და მშენებლობის დროს ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერგიის ტექნოლოგიების გათვალისწინება; კურორტის ნარჩენების მართვის ღონისძიებების განსაზღვრა და მათი გათვალისწინება მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმაში. ასევე, გაიცა რეკომენდაცია რომ განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს ამ ტერიტორიაზე არსებულ ბუნებრივ რესურსებს. კერძოდ, შეისწავლონ თუ როგორ იმოქმედებს კურორტის განაშენიანება ,,წითელი ნუსხის“ სახეობებზე. გარდა

[26]კოდექსი, 27-ე მუხლი, მე-7 ნაწილი
[27]კოდექსი, 27-ე მუხლი, მე-9 ნაწილი

ამისა, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ შეთავაზებული იყო სპეციალური ზომები როდოდენდრონის ბუჩქებისა და არყის ნარგავების დასაცავად ტურისტული ბილიკებისა და საბაგიროების გასწვრივ; აგრეთვე, განისაზღვრა სპეციალური შემარბილებელი ღონისძიებები ამ ტერიტორიისთვის დამახასიათებელი დათვის ჰაბიტატების დასაცავად. უფრო მეტიც, გაიცა რეკომენდაციები უკეთესად შეისწავლონ და განიხილონ შემოთავაზებული განაშენიანების ზეგავლენა ზურმუხტის ქსელის უბნებზე. სოციალური საკითხები სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ძირითად ელემენტს წარმოადგენდა. შესაბამისად, ერთ-ერთი შემარბილებელი ღონისძიების სახით რეკომენდებულია საძოვრებზე ახალი განაშენიანების ზემოქმედების საკითხის განხილვა, ასევე, ადგილობრივი მოსახლეობისთვის ალტერნატიული ტერიტორიების შეთავაზება პირუტყვის ძოვებისთვის.

<u>პრაქტიკული რჩევები:</u>
საბოლოო რეკომენდაციების მომზადების დროს მნიშვნელოვანია სააგენტოსა და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნულ ცენტრს შორის კოორდინაცია.

სგშ-ის ანგარიშზე გაცემულ რეკომენდაციებში გასათვალისწინებელი საკითხები:

- ✔ სტრატეგიული დოკუმენტის მიზნების, ამოცანებისა და სტრატეგიული დოკუმენტით გათვალისწინებული ღონისძიებების გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მნიშვნელოვანი ზემოქმედებების მიმოხილვა;
- ✔ ძირითადი შემარბილებელი ღონისძიებების მიმოხილვა;
- ✔ სტრატეგიული დოკუმენტის საბოლოო სახით ჩამოყალიბების და/ან დამტკიცების ან/და განხორციელების დროს გასათვალისწინებელი პირობები (მათ შორის მონიტორინგის ღონისძიებები); გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე შესაძლო ზემოქმედებების მხედველობაში მიღებით:
    1. შესაძლებელია, რეკომენდებული იყოს სტრატეგიული დოკუმენტის დამტკიცება გარკვეული პირობებით (მაგ.: გეგმაში/პროგრამაში უნდა იყოს გარკვეული ცვლილება; უნდა განისაზღვროს განხორციელების პირობები და სხვ.);
    2. სტრატეგიული დოკუმენტის დამტკიცება არ არის რეკომენდებული. ამ შემთხვევაში, სააგენტოს ან დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრის რეკომენდაციებში ასევე უნდა მიეთითოს, თუ სტრატეგიული დოკუმენტის ან/და სგშ-ის ანგარიშის რა საკითხები უნდა გაითვალისწინოს დამგეგმავმა ორგანომ.

კოდექსი არ განსაზღვრავს სააგენტოსა და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრის მიერ რეკომენდაციის გაცემის შემდეგ სტრატეგიულ დოკუმენტში მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანის შემთხვევებს. სტრატეგიული დოკუმენტის მნიშვნელოვანი ცვლილების ან /და სგშ ანგარიშში მნიშვნელოვანი ცვლილებების შემთხვევაში (სავარაუდო ზემოქმედებასთან ან/და შემარბილებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით), სტრატეგიული დოკუმენტის შესწორებული პროექტი და სგშ ანგარიში კვლავ უნდა გახდეს საჯარო კონსულტაციის საგანი.

V. სტრატეგიული დოკუმენტის მიღება/დამტკიცება

მიზანი და დანიშნულება:

სგშ-ის მთავარი დანიშნულებაა სტრატეგიულ დოკუმენტსა და მასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებაში გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის ასპექტების გათვალისწინება.სტრატეგიული დოკუმენტის მომზადების პროცესში დოკუმენტში უნდა აისახოს როგორც სგშ-ის დასკვნები, ასევე კონსულტაციების შედეგები. სტრატეგიული დოკუმენტის მომზადების დროს სგშ-ის დასკვნების სათანადოდ ასახვის შემთხვევაში, სგშ-ის პროცესის დასკვნითი ეტაპის მიზანი იქნება გადაწყვეტილების მიმღები პირების ინფორმირება სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებასთან დაკავშირებული გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ზემოქმედების და მათი შერბილების ღონისძიებების შესახებ.

სტრატეგიული დოკუმენტის დამტკიცების დროს გადაწყვეტილების მიმღებმა პირებმა უნდა გაითვალისწინონ სააგენტოსა და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრის მიერ სგშ-ის ანგარიშისა და სტრატეგიული დოკუმენტის პროექტზე მომზადებული რეკომენდაციები, აგრეთვე, საზოგადოებასა და შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის შედეგები. გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, აუცილებელია დაინტერესებული მხარეების ინფორმირება მიღებული გადაწყვეტილებისა და სგშ-ის შედეგების გათვალისწინების შესახებ.

სამართლებრივი მოთხოვნები:

კოდექსის თანახმად, სტრატეგიული დოკუმენტის მიღება/დამტკიცება შესაძლებელია სააგენტოსა და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრის მიერ სტრატეგიული დოკუმენტის სამუშაო ვერსიასა და სგშ-ის ანგარიშზე რეკომენდაციების გაცემის შემდგომ.

სტრატეგიული დოკუმენტის საბოლოო მიღებამდე/დამტკიცებამდე, დამგეგმავი ორგანო ვალდებულია, სათანადოდ გაითვალისწინოს სააგენტოსა და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრის მიერ სტრატეგიული დოკუმენტის სამუშაო ვერსიასა და სგშ-ის ანგარიშზე გაცემული რეკომენდაციები, სგშ-ის ანგარიშის ფარგლებში ჩატარებული კონსულტაციები და საზოგადოების მიერ წარმოდგენილი შენიშვნები და მოსაზრებები.

კოდექსის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ სტრატეგიული დოკუმენტის სგშ-ის პროცესში ჩატარდა გარემოზე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების პროცედურები, სტრატეგიული დოკუმენტის მიღების/დამტკიცების დროს სავალდებულოა აღნიშნული პროცედურის შედეგების გათვალისწინება.

სტრატეგიული დოკუმენტის მიღების/დამტკიცების შესახებ გადაწყვეტილებას თან უნდა დაერთოს შესაბამისი დასაბუთება, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: საზოგადოების მხრიდან წარმოდგენილი შენიშვნები და მოსაზრებები, სგშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი დასკვნები, სააგენტოსა და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრის რეკომენდაციები, გარემოზე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების პროცედურის შედეგები, სტრატეგიული დოკუმენტის მიღების შემთხვევაში დაგეგმილი მონიტორინგის ღონისძიებები.

<u>პრაქტიკული რჩევები:</u>

- სგშ-ის შედეგებთან დაკავშირებით, საზოგადოებასა და დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების შედეგებთან მიმართებაში, კოდექსი იყენებს ტერმინს „გათვალისწინება“, (როგორც ეროვნულ დონეზე, ასევე გარემოზე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შეფასების პროცედურის შემთხვევაში). უნდა აღინიშნოს, რომ „გათვალისწინება“ გულისხმობს არა ცალსახად ასახვას - არამედ, განხილვას. თუ ზოგიერთი შედეგი ვერ იქნება ინტეგრირებული სტრატეგიულ დოკუმენტში ან/და სტრატეგიულ დოკუმენტის პროექტსა და სგშ-ის ანგარიშზე მომზადებულ შესაბამის გადაწყვეტილებებში, ან მხოლოდ ნაწილობრივ იქნა ინტეგრირებული, მიზეზები უნდა იყოს დასაბუთებული და საჯაროდ ხელმისაწვდომი.
- დასაბუთების მოსამზადებლად შესაძლებელია სტრატეგიული დოკუმენტის სამუშაო ვერსიასა და სგშ-ის ანგარიშზე ჩატარებული კონსულტაციების შედეგად, დაინტერესებული მხარეების მხრიდან შემოსული შენიშვნებისა და მოსაზრებების, და მათზე რეაგირების ცხრილის გამოყენება - ამასთან, საჭიროა მისი განახლება ხარისხის კონტროლის შედეგებისა და სტრატეგიული დოკუმენტის ან/და სგშ-ის ანგარიშის საბოლოო შესწორებების საფუძველზე.

VI. სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების შედეგების შემდგომი ანალიზი (მონიტორინგი)[28]

<u>განმარტება:</u>

სგშ აფასებს იმ მნიშვნელოვან ზემოქმედებებს, რომლებიც შესაძლოა გამოვლინდნენ სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებისას. თუმცა, იმის გათვალისწინებით რომ სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელება შესაძლებელია ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე გაგრძელდეს (მაგ. 15-20 წელი), სგშ-ში შეფასებული ზემოქმედებები შესაძლოა, განსხვავდებოდეს იმისგან, რასაც, სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელება სავარაუდოდ რეალურად გამოიწვევს - შეიძლება, შეიცვალოს ტერიტორიაზე არსებული გარემო-პირობები და ა.შ.

აქედან გამომდინარე, სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების შედეგების ანალიზმა უნდა დაადგინოს, გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით გამოწვეული რეალური ზემოქმედებები - პროგნოზირებულ ზემოქმედებებთან მიმართებაში და იმსჯელოს, მიღებულია თუ არა სათანადო ზომები, რაიმე მნიშვნელოვანის გამოვლენის შემთხვევაში. ასევე, საყურადღებოა და

[28] სგშ დირექტივა (ევროპული პარლამენტისა და საბჭოს 2001 წლის 27 ივნისის დირექტივა 2001/42/EC გარემოზე გარკვეული გეგმებისა და პროგრამების ზემოქმედების შეფასების შესახებ) იყენებს ტერმინს - მონიტორინგი, გეგმებისა და პროგრამების განხორციელების შედეგად გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების მონიტორინგისთვის. ეს ტერმინი დამკვიდრებულია სტანდარტულ საერთაშორისო მიდგომებში. აქვე აღსანიშნავია, რომ ამ საერთაშორისო პრაქტიკისგან განსხვავებით „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“ იყენებს სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების შედეგების შემდგომ ანალიზს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების შედეგად გამოწვეული მნიშვნელოვანი ზემოქმედების შეფასებისთვის.

მონიტორინგის სქემის ნაწილს წარმოადგენს სგშ-ის რეკომენდაციების შესრულების კონტროლი.

სამართლებრივი მოთხოვნები:

სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების შედეგების ანალიზს ითვალისწინებს კოდექსის 29-ე მუხლი. შესაბამისი შესაძლებლობის არსებობისა და საჭიროების შემთხვევაში, სააგენტო თავის ხელთ არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით უზრუნველყოფს სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით გამოწვეული გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების დამოუკიდებელი ანალიზის ჩატარებას და საზოგადოების ინფორმირების მიზნით შემდგომი ანალიზის შედეგების თავის ოფიციალურ ვებგვერდზე სისტემატურად განთავსებას. ამასთან, ამ მუხლით გათვალისწინებული სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების შედეგების შემდგომი ანალიზის ჩატარების პროცედურა უნდა დამტკიცდეს მინისტრის ბრძანებით „სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების შედეგების შემდგომი ანალიზის ჩატარების შესახებ“.

პრაქტიკული რჩევები:

მონიტორინგის სქემის შემუშავება:

როგორც წესი, მონიტორინგის სქემა მოცემულია სგშ-ის ანგარიშში. მთავარი გამოწვევა ისაა, რომ სტრატეგიული დაგეგმარების დონეზე, ხშირ შემთხვევაში, რთულია მონიტორინგს დაქვემდებარებულ კონკრეტულ სტრატეგიულ დოკუმენტთან დაკავშირებული (გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე) ზემოქმედებებისა და სხვა საქმიანობებით გამოწვეული ზემოქმედებების დიფერენცირება. მაგალითად, სოფლის მეურნეობის განვითარების გეგმამ შესაძლოა ზემოქმედება მოახდინოს წყლის ხარისხზე, თუმცა, არსებობს წყლის დაბინძურების სხვა წყაროებიც, რომლებიც შესაძლოა, უფრო მნიშვნელოვანი იყვნენ (მაგ. მუნიციპალური ჩამდინარე წყლები, ნარჩენების არასწორი მართვა და სხვ.), ვიდრე სოფლის მეურნეობა. აქედან გამომდინარე, წყლის ხარისხის შესახებ მხოლოდ ზოგადი მონაცემების საფუძველზე რთულია სოფლის მეურნეობის განვითარების გეგმასა და წყლის ხარისხის ცვლილებას შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენა. აღნიშნული პრობლემა ძირითადად ეხება ფართომასშტაბიან სტრატეგიულ დოკუმენტებს, და არ დგას უფრო კონკრეტული და/ან მცირემასშტაბიანი სტრატეგიული დოკუმენტების (მაგ.: ადგილობრივი სივრცითი გეგმები) მონიტორინგისას.

ამასთან, უპირატესობა მონიტორინგის მარტივ მიდგომებს უნდა მიენიჭოს. განსაკუთრებით, ფართომასშტაბიანი სტრატეგიული დოკუმენტების შემთხვევაში, გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობის ზოგადი მონიტორინგი უფრო ეფექტიანია, ვიდრე მწირ ან არასანდო მონაცემებზე დამყარებული რთული სქემა, რომელიც, სავარაუდოდ, არასწორ შედეგებამდე მიგვიყვანს.

მონიტორინგს უნდა დაექვემდებაროს სგშ-ში განხილული გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები და, შესაბამისად, მნიშვნელოვანი ზემოქმედებები. სგშ-ში წარმოდგენილი მონიტორინგის სქემის მიზანს არ

წარმოადგენს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ყველა პარამეტრის მონიტორინგი. ეს უკანასკნელი უნდა ჩაუტარდეს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ მხოლოდ იმ ასპექტებს, რომლებიც შეიძლება, მოექცნენ მნიშვნელოვანი ზემოქმედების ქვეშ და რომლებისთვისაც უნდა განისაზღვროს შესაბამისი ინდიკატორები, მაგ.: თუ ტრანსპორტის შემთხვევაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს ატმოსფერული ჰაერის ხარისხი, ინდიკატორები ტრანსპორტთან დაკავშირებული ყველაზე მნიშვნელოვანი დამაბინძურებლებისათვის (NO_x, PM_{10}/$PM_{2.5}$, ბენზო(ა)პირენი და სხვ.) უნდა განისაზღვროს. (იხილეთ **დანართი 6.** სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებისას გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების მონიტორინგის სქემის შესაძლო სტრუქტურა ალაზანი-ივრის სააუზო მართვის გეგმის პროექტის საპილოტე სგშ-ის მაგალითზე).

უნდა აღინიშნოს, რომ სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების პროცესში (გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხების მონიტორინგთან ერთად) უნდა შემუშავდეს სქემა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება სგშ-ის რეკომენდაციების შესრულების კონტროლი.

მონიტორინგმა უნდა მოიცვას:[29]

- შესასრულებელი სამონიტორინგო აქტივობა;
- მონიტორინგის შესრულებისთვის პასუხისმგებელი უწყებები;
- მონიტორინგის ჩატარების პერიოდი და სიხშირე;
- მონიტორინგის შედეგების წარმოდგენის ფორმატი;
- მონიტორინგის სტატუსი და ნებისმიერი გამოვლენილი პრობლემა;
- იყო თუ არა და როგორ სგშ რეკომენდაციები შესრულებული (თუ არა იყო შესრულებული, ან ნაწილობრივ შესრულდა, მიზეზი უნდა იყოს განმარტებული).

სგშ-ს პროცესში შესასრულებელი მონიტორინგის ღონისძიებები შეიძლება, შემდეგნაირად შეჯამდეს:

- კონსულტანტები წარმოადგენენ მონიტორინგის სქემის საწყის ვარიანტს;
- მონიტორინგის სქემის საწყისი ვარიანტი, სტრატეგიული დოკუმენტის მონიტორინგის სქემასთან მისი დაკავშირების მიზნით, უნდა განიხილონ დამგეგმავ ჯგუფთან ერთად;
- აუცილებელია კონსულტაციები სააგენტოსა და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნულ ცენტრთან მონიტორინგის სქემის საწყის ვარიანტთან დაკავშირებით უშუალოდ პროცესში მათი როლების განსაზღვრის, მონაცემების ხელმისაწვდომობისა და სხვა საკითხების განხილვისთვის;
- კონსულტაციების შედეგების საფუძველზე კონსულტანტები ასრულებენ მონიტორინგის სქემას (და შეაქვთ ის სგშ-ის ანგარიშში);

<u>მონიტორინგის განხორციელება და ანგარიშგება:</u>

[29] სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების დირექტივის პრაქტიკული სახელმძღვანელო "გარემოზე გარკვეული გეგმების და პროგრამების გავლენის შეფასების შესახებ", ODPM. 2005, პრემიერ-მინისტრის აპარატი, ლონდონი.

მონიტორინგის შედეგების საფუძველზე, სააგენტო ამზადებს და აქვეყნებს მიმდინარე მონიტორინგის ანგარიშებს (რომლებიც ხელმისაწვდომი უნდა იყოს საზოგადოებისათვის). მონიტორინგის ანგარიშები უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- რას ეხება მონიტორინგი (გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული საკვანძო საკითხები შესაბამისი ინდიკატორებით);
- როგორ შეიცვალა სიტუაცია, ანუ რა ზემოქმედებები დაფიქსირდა. აღნიშნული შეიძლება, აღიწეროს როგორც რაოდენობრივად (მონაცემების არსებობის შემთხვევაში), ან ხარისხობრივად (მონაცემების არარსებობის შემთხვევაში);
- რა კავშირშია ცვლილებები სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებასთან;
- დასკვნები, რაიმე დამატებითი ქმედების განხორციელების საჭიროების ან/და მონიტორინგის სქემაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

სასურველია, რომ სტრატეგიული დოკუმენტის განმახორციელებელმა ორგანომ მოამზადოს მიმდინარე (წლიური) მოკლე ანგარიშები სტრატეგიული დოკუმენტის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობების შესახებ. ანგარიში შეიძლება, მომზადდეს ზოგადი მატრიცის სახით, როგორც ეს **დანართი 7**-შია ნაჩვენები (იხ. **დანართი 7**), რომელიც უნდა იყოს საჯაროდ ხელმისაწვდომი.

<u>რეაგირება გაუთვალისწინებელ ზემოქმედებებზე:</u>

გარემოსა და/ან ადამიანის ჯანმრთელობაზე გაუთვალისწინებელი მნიშვნელოვანი ზემოქმედებების შემთხვევაში, სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებაზე პასუხისმგებელმა დამგეგმავმა ორგანომ უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები და შეუთანხმოს სააგენტოსა და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნულ ცენტრს. იმ შემთხვევაში, თუ მონიტორინგის შედეგად დაფიქსირდება მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედებები გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე, უნდა ჩატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

- სგშ-ის ანგარიშით განსაზღვრული შემარბილებელი ღონისძიებების გადახედვა, განსაკუთრებით - სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების პირობების კუთხით, მაგ.: უნდა შეიცვალოს ტერიტორია, სადაც არ შეიძლება გარკვეული პროექტების ჩატარება, ასევე - უნდა შეცვალოს პროექტების/საქმიანობების ტიპი და ა.შ.;
- გამოსწორების სპეციალური ზომების შემუშავება და მიღება;
- სტრატეგიული დოკუმენტის გადახედვის ინიცირება, ანუ დაგეგმვის ახალი ციკლის დაწყება.

VII. საზოგადოების მონაწილეობა

<u>მიზანი და ამოცანა:</u>

სგშ-მ ყველა დაინტერესებულ მხარეს ადრეული, დროული და ეფექტიანი მონაწილეობის შესაძლებლობა უნდა შეუქმნას, რათა სგშ-ის პროცესში საკუთარი წვლილის შეტანა შეძლონ. საზოგადოების მონაწილეობა სარგებლის მომტანი შესაძლებელია გახდეს სგშ-ის ხარისხის გასაუმჯობესებლად - ახალი ინფორმაციისა და მონაცემების მოპოვებით, ან სკოპინგის ან/და სგშ-ის ანგარიშებში წარმოდგენილი მიგნებებისა და დასკვნების გადამოწმებით. შესაძლოა, კონსულტაციებში აისახოს საზოგადოების

დამოკიდებულებები იმ სტრატეგიული დოკუმენტის მიმართ, რომლის საფუძველზეც სგშ-ის პროცედურები ხორციელდება.

სამართლებრივი მოთხოვნები:

საზოგადოების მონაწილეობა განხილულია კოდექსის IV თავში. ყურადღება გამახვილებულია გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის როლის განსაზღვრის, ასევე მათი ეფექტიანი ინფორმირებისა და მონაწილეობის მექანიზმებზე. საზოგადოებას აქვს შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღოს სგშ-ს ყველა ეტაპზე, ხოლო დამგეგმავი ორგანო და გადაწყვეტილების მიმღები სახელმწიფო ორგანო[30] ვალდებულნი არიან, საზოგადოების მიერ სგშ-ს ყველა ეტაპზე გამოთქმული შენიშვნები და მოსაზრებები გადაწყვეტილების მიღების პროცესში გაითვალისწინონ.

საზოგადოება უფლებამოსილია, სგშ-ისადმი დაქვემდებარებულ სტრატეგიულ დოკუმენტზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩაერთოს, ხოლო კომპეტენტური ადმინისტრაციული და დამგეგმავი ორგანოები კონკრეტულ ვალდებულებებს ასრულებენ ამ პროცესის უზრუნველსაყოფად.[31] კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად, დამგეგმავი ორგანო, სააგენტო და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი ვალდებულნი არიან უზრუნველყონ საზოგადოების ინფორმირება და მონაწილეობა. საჯარო განხილვის ორგანიზებას უზრუნველყოფს დამგეგმავი ორგანო, საჯარო განხილვაში სააგენტოსა და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრის მონაწილეობით.[32]

შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენა შესაძლებელია წერილობით და/ან საჯარო განხილვისას ზეპირად, რაც აისახება საჯარო განხილვის ოქმში.[33]

საზოგადოების ეფექტიანი მონაწილეობისთვის, საჭიროა მათი დროული ინფორმირება საჯარო განხილვის მიზნების, დროის, ადგილისა და საჭირო დოკუმენტაციის მიღების შესაძლებლობის შესახებ. საჯარო განხილვა ტარდება სგშ-ის ანგარიშის განხილვის ეტაპზე, ის ღიაა და ნებისმიერ პირს უფლება აქვს, მონაწილეობა მიიღოს.

გადაწყვეტილების მიმღები ადმინისტრაციული ორგანო, ისევე როგორიც დამგეგმავი ორგანო, სააგენტო და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი ვალდებულნი არიან გაეცნონ საზოგადოების მიერ წარმოდგენილ მოსაზრებებსა და შენიშვნებს და ასახონ საზოგადოების მონაწილეობის შედეგები გადაწყვეტილების წერილობით დასაბუთებაში.[34] გადაწყვეტილება უნდა გამოქვეყნდეს სააგენტოს, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრის და დამგეგმავი ორგანოს ვებგვერდებზე და საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი იყოს.[35]

---

[30] სახელმწიფო ორგანო, რომელიც იღებს/ამტკიცებს სტრატეგიულ დოკუმენტს.
[31] კოდექსი, 31-ე მუხლი.
[32] კოდექსი, 27-ე მუხლი, მე-4 ნაწილი.
[33] კოდექსი, 34-ე მუხლი
[34] კოდექსი, 35-ე მუხლი
[35] კოდექსი, 33-ე მუხლი

ადმინისტრაციული ორგანოები ვალდებულნი არიან, საზოგადოებისათვის უზრუნველყონ დოკუმენტების ხელმისაწვდომობა უფასოდ, გარდა ასლების გადაღების ღირებულებისა. ასევე, უნდა უზრუნველყონ ნაბეჭდი ეგზემპლარების ხელმისაწვდომობა საჯარო განხილვისას.[36]

საზოგადოებას, ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს უფლება აქვს, გაასაჩივროს სგშ-ის პროცესის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება იმ შემთხვევაში, თუ მიიჩნევს, რომ გადაწყვეტილების მიმღებმა ადმინისტრაციულმა ორგანომ სათანადოდ არ უზრუნველყო საზოგადოების მონაწილეობა, ან სათანადოდ არ გაითვალისწინა მათი აზრი.[37]

<u>პრაქტიკული რჩევები:</u>

კონსულტაციების შედეგად, კონსულტანტები იღებენ კვლევებთან დაკავშირებით დამატებით ინფორმაციას და მონაცემებს, ასევე კონსულტაციის პროცესი ეხმარება უფრო მისაღები ალტერნატივების შემუშავებაში.

დაინტერესებული მხარეები, რომელთანაც უნდა გაიმართოს კონსულტაციები ან/და უზრუნველყოფილ იქნას სგშ-ის პროცესში მათი ჩართულობა:

- გარემოსა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციები;
- საზოგადოება (არასამთავრობო ორგანიზაციების ჩათვლით, ადგილობრივი მოსახლეობა და ა.შ.);
- სხვადასხვა დაინტერესებული მხარე, მაგ.: სამთავრობო უწყებები, უნივერსიტეტები, კავშირები და სხვ.;
- სხვა სახელმწიფოები (მოსალოდნელი ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შემთხვევაში).

დაინტერესებული მხარეები შესაძლებელია განსხვავდებოდეს სექტორული სტრატეგიული დოკუმენტის შესაბამისად, ასევე შესაძლებელია განსხვავდებოდეს ინტერესი და ჩართვის სურვილის ხარისხი სტრატეგიული დოკუმენტის შინაარსის, დოკუმენტით გათვალისწინებული საქმიანობებისა და მათი ადგილმდებარეობის, გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესაბამისად.

ამასთან, რეკომენდებულია, რომ იმ სტრატეგიული დოკუმენტისა და სგშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვა, რომელიც მოიცავს ქვეყნის მთელ ტერიტორიას, დედაქალაქის გარდა, გაიმართოს ყველა თვითმმართველ ქალაქში, ხოლო იმ რეგიონებში, სადაც არ არის თვითმმართველი ქალაქები, საჯარო განხილვა გაიმართოს ადმინისტრაციულ ცენტრებში.

რეგიონული და ადგილობრივი დონის სტრატეგიული დოკუმენტის (მაგალითად, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმები, განაშენიანების გეგმები) სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება კარგად ფორმულირებული ღონისძიებებითა და საქმიანობებით, როგორც წესი, უფრო მეტად იზიდავს ადამიანებს, ვიდრე ისეთი ზოგადი ეროვნული სტრატეგიები, რომელიც შეიძლება, ზედმეტად აბსტრაქტული იყოს და არ იყოს დაკავშირებული „ყოველდღიურ ცხოვრებასთან.“ ფართო ტერიტორიული გავრცელების მქონე სტრატეგიული დოკუმენტების მიმართ სგშ-ის განხორციელების შემთხვევაში

[36] კოდექსი, 33-ე მუხლი
[37] კოდექსი, 36-ე მუხლი

(განსაკუთრებით, თუ დოკუმენტი მთელს ქვეყანას მოიცავს), კონსულტანტებმა პროცესი ყურადღებით უნდა დაგეგმონ და ქვემოთ მოცემული რეკომენდაციები გაითვალისწინონ. კერძოდ, მნიშვნელოვანია პოტენციურად ზემოქმედების ქვეშ მყოფი რეგიონების, ტერიტორიების ან/და სოციალური ჯგუფების იდენტიფიცირება, რათა საკონსულტაციო აქტივობა ფოკუსირდეს ამ ტერიტორიებზე ან/და საზოგადოების მიმართ სავარაუდო ზემოქმედებაზე. ამგვარი ანალიზი უკვე სკოპინგში უნდა ჩატარდეს და სგშ-ის ანგარიშში გადაისინჯოს, სავარაუდო ზემოქმედების თაობაზე გაკეთებული დასკვნების გათვალისწინებით. დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციისა და მონაწილეობის პროცესის წარმატებისათვის აუცილებელია ამ მხარეების იდენტიფიცირება, კონსულტაციისა და მონაწილეობის საშუალებების შერჩევა და ღონისძიებების სათანადო დაგეგმვა სგშ-ის პროცესის დასაწყისში. ასევე, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ხშირად თავად დაგეგმვის პროცესიც მოიცავს დაინტერესებული მხარეების ჩართვის ღონისძიებებს. ამიტომ, სასურველია, რომ სგშ-ის ფარგლებში მხარეებთან კონსულტაციის და მათი მონაწილეობის პროცესი წარიმართოს დაგეგმვის პროცესში განსახორციელებელ ღონისძიებებთან ერთად, რათა არ მოხდეს სგშ-სა და დაგეგმვის პროცესებში დაინტერესებული მხარეების ჩართვის მიზნით ჩატარებული ღონისძიებების დუბლირება.

სგშ-ის პროცესის დაწყებისთანავე, სგშ-ზე მომუშავე ჯგუფმა უნდა განსაზღვროს ის ეტაპები და კვლევები, რომელთათვისაც დაინტერესებული მხარეების მონაწილეობა ყველაზე მეტად სასარგებლო იქნება. ჩვეულებრივ, ეს პროცესი შემდეგი ეტაპებისგან შედგება:

- შეფასების ფარგლების დადგენა (გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული იმ საკვანძო საკითხების იდენტიფიცირება, რომლებიც კავშირშია სტრატეგიულ დოკუმენტთან);
- გარემოს ფონური მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია;
- გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ზემოქმედებების შეფასება;
- გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედებების თავიდან აცილების ან შერბილების და დადებითი ზემოქმედებების ხელშეწყობის ღონისძიებები;
- სგშ-ის ანგარიშის სამუშაო და საბოლოო ვერსიის მომზადება.

კონსულტაციების შედეგები, რომელიც გაიმართა სგშ-ის ანგარიშის სამუშაო ვერსიის მომზადებამდე, უნდა აისახოს სააგენტოსა და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნულ ცენტრში წარსადგენ სტრატეგიული დოკუმენტის პროექტში ან/და სგშ ანგარიშში.

ინფორმაცია თუ როგორ გაითვალისწინეს სგშ-ის რეკომენდაციები სტრატეგიულ დოკუმენტში და მისი დამტკიცების პროცესში უნდა განთავსდეს სააგენტოს, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრის და დამგეგმავი ორგანოს ოფიციალურ ვებგვერდზე, რათა დაინტერესებულ მხარეებს საშუალება ჰქონდეთ გაეცნონ ამ ინფორმაციას.

არსებობს დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციისა და მათი მონაწილეობის უზრუნველყოფის მრავალი საშუალება და მეთოდი. სგშ პროცესში, როგორც წესი, გამოიყენება შემდეგი საშუალებები:

- საჯარო განხილვები;
- საჯარო სემინარები და შეხვედრები;
- არაფორმალური ჯგუფური შეხვედრები (ფოკუს ჯგუფები);
- დაგეგმვის მიზნით ადგილზე ჩატარებული გასვლები;
- შესაბამისი დოკუმენტების გასაჯაროება სახელმწიფო ორგანოების ვებგვერდებსა და/ან საინფორმაციო დაფებზე;
- პრეს-რელიზები და მიმართვა შენიშვნებისა და მოსაზრებების გაზიარების თხოვნით;
- კითხვარები და ანკეტები;
- აზრის გამოკითხვა;
- ინფორმაციის გავრცელება ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

უნდა აღინიშნოს, რომ საჯარო განხილვებმა ან კითხვარებმა, რომლებიც ხშირად გამოიყენება სგშ-ის ფარგლებში - საზოგადოებასთან კონსულტაციის პროცესში, შეიძლება, სასურველი შედეგები არ გამოიღოს. სგშ-ის პროცესში დაინტერესებული მხარეებისგან დამგეგმავი ორგანოს მიერ მოსაზრებების მიღების უფრო ეფექტიან და მოსახერხებელ საშუალებად პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული სემინარები ითვლება - მრგვალი მაგიდები, მრჩეველთა საბჭოები და სტრუქტურირებული ინტერვიუები.

აქედან გამომდინარე, სასურველია კონსულტაციების სხვა მეთოდების გამოყენება იმ საშუალებებთან ერთად, რომლებიც განსაზღვრულია კოდექსში. სგშ-ის ფარგლებში კონსულტაციების დაგეგმვისა და ჩატარებისას გასათვალისწინებელია შემდეგი რჩევები:

- დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების გეგმა უნდა მომზადდეს სგშ-ის პროცესის დასაწყისში (მაგ., სკოპინგის ეტაპზე);
- სგშ-ის პროცესში დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების დაგეგმვის დროს უნდა გაითვალისწინონ დაგეგმვის პროცესში ჩასატარებელი კონსულტაციებიც;
- ყოველთვის აუცილებელია რეაგირება წარმოდგენილ შენიშვნებსა და მოსაზრებებზე, კერძოდ, როგორ გაითვალისწინებენ ან გაითვალისწინეს ისინი სგშ-ში, ასევე, საჭიროა დასაბუთების მომზადება მათი უარყოფის შემთხვევაში;
- სგშ-ის ანგარიშში აღწერილი უნდა იყოს კონსულტაციების პროცესში ჩატარებული ღონისძიებები და ძირითადი შენიშვნები.

მიუხედავად იმისა, რომ კოდექსი ამას არ ითვალისწინებს, რეკომენდებულია, საკონსულტაციო შეხვედრის შემდეგ, დაინტერესებულ მხარეებს გარკვეული დრო მიეცეთ თავიანთი წერილობითი შენიშვნებისა და მოსაზრებების წარსადგენად. ამ პერიოდის შემდეგ კი საჭიროა ყველა მიღებული კომენტარის შეჯამება და უკუკავშირი იმის შესახებ, თუ როგორ გაითვალისწინეს ან გაითვალისწინებენ აღნიშნულ კომენტარებს სგშ-ს ანგარიშში. **მე-4 დანართში** მოცემულია დაინტერესებული მხარეებისგან მისაღები უკუკავშირის რეკომენდებული ფორმა სტრატეგიული დოკუმენტის პროექტსა და სგშ-ის ანგარიშთან დაკავშირებული კონსულტაციების განმავლობაში (იხ. **დანართი 4**).

VIII. გარემოზე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შეფასების პროცედურა[38]

[38] კოდექსი ითვალისწინებდა კანონის ამოქმედების სხვადასხვა თარიღს: კერძოდ, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ნაწილი ამოქმედდა 2018 წლის 1 იანვრიდან, სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება - 2018 წლის 1 ივლისიდან, ხოლო ტრანსსასაზღვრო გარემოზე ზემოქმედების შეფასება ძალაში შევა „ტრანსსასაზღვრო

განმარტება:

ისეთი სტრატეგიული დოკუმენტების განხორციელების შემთხვევაში, რომლებმაც შესაძლოა, ტრანსსასაზღვრო ზემოქმედებები გამოიწვიოს, უნდა ჩატარდეს გარემოზე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შეფასების პროცედურა.

მიზანი და დანიშნულება:

გარემოზე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შეფასების პროცედურა უზრუნველყოფს კონსულტაციებს შესაძლო ზემოქმედების ქვეშ მყოფ სახელმწიფო(ებ)სა და მათი მოსაზრებების გათვალისწინებას სგშ-სა და მასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, ასევე, მათ ინფორმირებას იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ მოხდა მათ მიერ წარმოდგენილი შენიშვნების და მოსაზრებების გათვალისწინება.

სამართლებრივი მოთხოვნები:

კოდექსის მე-19 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, სგშ-ის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს სტრატეგიულ დოკუმენტზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში საჭიროების შემთხვევაში გარემოზე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შეფასების პროცედურის ჩატარება წარმოადგენს. კოდექსი, ასევე, ადგენს, რომ სკოპინგმა უნდა „გამოკვეთოს გარემოზე შესაძლო ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება“ და სკოპინგისა და სგშ-ის ანგარიშში მოცემული უნდა იყოს „ინფორმაცია გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე შესაძლო ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შესახებ“.

კოდექსის 38-ე მუხლის თანახმად თუ არსებობს საფუძველი, რომ სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებამ შესაძლოა მოახდინოს გარემოზე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება და ეს ზემოქმედება გამოვლინდება დამგეგმავი ორგანოს, ან სააგენტოს ან/და შესაძლო ტრანსსასაზღვრო ზემოქმედებას დაქვემდებარებული სახელმწიფოს მიერ, საქართველოს მთავრობამ, სამინისტროს შუამდგომლობის საფუძველზე, უნდა მოახდინოს ტრანსსასაზღვრო სგშ-ის პროცედურის ინიცირება და გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. აქტი განსაზღვრავს დამგეგმავი ორგანოს ვალდებულებას, სააგენტოს როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული ფორმით წარუდგინოს შესაბამისი განცხადებისა და თანდართული დოკუმენტების ეგზემპლარები იმ ქვეყნის სახელმწიფო ენაზე თარგმნილი და სანოტარო წესით დამოწმებული, რომელიც შესაძლებელია ტრანსსასაზღვრო ზემოქმედებას დაექვემდებაროს.

დამგეგმავი ორგანოს მიერ თარგმნილი დოკუმენტაციის წარდგენისთანავე სააგენტო საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მეშვეობით, შვიდი (7) დღის ვადაში უგზავნის ამ დოკუმენტაციას შესაძლო ტრანსსასაზღვრო ზემოქმედებას დაქვემდებარებულ სახელმწიფოს და ატყობინებს მას საქართველოს მთავრობის შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე დადგენილ გონივრულ ვადას, რომლის განმავლობაშიც ტრანსსასაზღვრო ზემოქმედებას დაქვემდებარებული სახელმწიფო ვალდებულია სააგენტოს აცნობოს გარემოზე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შეფასების პროცედურაში მონაწილეობის შესახებ. დამგეგმავი ორგანოს მიერ თარგმნილი

კონტექსტში გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ კონვენციის და მისი სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების შესახებ ოქმის “ საქართველოსთვის ძალაში შესვლისთანავე.

დოკუმენტაციის წარდგენამდე სააგენტო აჩერებს დაწყებულ ადმინისტრაციულ წარმოებას.

თუ დადგენილ ვადაში ტრანსსასაზღვრო ზემოქმედებისადმი დაქვემდებარებული სახელმწიფო არ გამოხატავს გარემოზე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შეფასების პროცედურაში მონაწილეობის ინტერესს, სააგენტო საქართველოს მთავრობის თანხმობით წყვეტს გარემოზე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შეფასების პროცედურას და აგრძელებს სგშ-ის პროცედურას.

თუ ტრანსსასაზღვრო ზემოქმედებისადმი დაქვემდებარებული სახელმწიფო გამოხატავს გარემოზე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შეფასების პროცედურაში მონაწილეობის ინტერესს, მის მიერ ინტერესის გამოხატვიდან ერთი (1) თვის ვადაში, სამინისტროს შუამდგომლობის საფუძველზე საქართველოს მთავრობა იღებს გადაწყვეტილებას ამ სახელმწიფოსთან გარემოზე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შეფასების პროცედურის დაწყების შესახებ. აღნიშნული გადაწყვეტილება უნდა მოიცავდეს ინფორმაციას დოკუმენტებისა და მონაცემების გაცვლის ფორმების, ასევე, შემდგომი კონსულტაციებისა და გარემოზე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შეფასების პროცედურის განხორციელების ვადების შესახებ.

კოდექსის 39-ე მუხლის თანახმად, გარემოზე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შეფასების პროცედურის განხორციელებასთან დაკავშირებულ ხარჯებს დამგეგმავი ორგანო ანაზღაურებს. დამგეგმავი ორგანო უფლებამოსილია, ჩაერთოს გარემოზე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შეფასების პროცედურის ნებისმიერ ეტაპზე.

კოდექსის 39-ე მუხლის თანახმად, ტრანსსასაზღვრო პროცედურის ფარგლებში დამგეგმავი ორგანო ვალდებულია:

- სკრინინგის ან სკოპინგის განცხადებაში ზუსტად მიუთითოს გარემოზე შესაძლო ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შესახებ;
- სგშ-ის ანგარიშში სათანადოდ შეაფასოს გარემოზე შესაძლო ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება;
- უზრუნველყოს დოკუმენტაციის სათანადო თარგმნა და ნათარგმნი დოკუმენტაციის ნოტარიულად დამოწმება;
- უზრუნველყოს სათანადო თარგმანი საჯარო განხილვისას (უცხო ქვეყნის მოქალაქეთა დასწრების შემთხვევაში);
- საჭიროების შემთხვევაში, გარემოზე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შეფასების პროცედურის განხორციელებისას უზრუნველყოს სააგენტოსათვის შესაბამისი დახმარება;
- უზრუნველყოს გარემოზე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შეფასების პროცედურის შედეგების სკოპინგის ანგარიშში, სგშ-ის ანგარიშში ან/და სტრატეგიულ დოკუმენტში გათვალისწინება.

სააგენტო პასუხისმგებელია გარემოზე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შეფასების პროცედურის ჩატარებაზე. სააგენტო, ასევე, ვალდებულია, უზრუნველყოს გარემოზე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შეფასების პროცედურასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობა[39].

[39] კოდექსი, 37-ე მუხლი, მე-4 ნაწილი

ისეთი სტრატეგიული დოკუმენტის მიღება/დამტკიცების პროცესში, რომელიც იწვევს გარემოზე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედებას, სავალდებულოა ტრანსსასაზღვრო პროცედურის შედეგების გათვალისწინება.[40] ასეთ შემთხვევაში, სტრატეგიული დოკუმენტის მიღების/დამტკიცების თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებას თან უნდა ახლდეს აღწერა, თუ როგორ მოხდა გარემოზე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შეფასების პროცედურის შედეგების გათვალისწინება.[41]

გარემოზე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შეფასების პროცედურა გამოიყენება ასევე მაშინ, როდესაც საქართველოს გარემო შეიძლება დაექვემდებაროს სხვა სახელმწიფოში დაგეგმილი სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით გამოწვეულ შესაძლო ზემოქმედებას. სააგენტო უფლებამოსილია ჩაერთოს ტრანსსასაზღვრო პროცედურაში იმ შემთხვევაში, თუ სხვა სახელმწიფოსგან მიიღებს შეტყობინებას მოცემულ სახელმწიფოში სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით საქართველოს გარემოზე შესაძლო ზემოქმედების შესახებ.

იმ შემთხვევაშიც, თუ სააგენტოს ასეთი შეტყობინება მიღებული არ აქვს შესაბამისი სახელმწიფოსგან, მაგრამ არსებობს სათანადო საფუძველი ვარაუდისა, რომ ამ სახელმწიფოში სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელება ზემოქმედებას მოახდენს საქართველოს გარემოზე, საქართველოს მთავრობა, სამინისტროს შუამდგომლობის საფუძველზე, იწყებს ტრანსსასაზღვრო პროცედურას.

ტრანსსასაზღვრო პროცედურის დაწყების შემდეგ, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების საფუძველზე, სააგენტო მართავს კონსულტაციებს იმ სახელმწიფოსთან, სადაც სტრატეგიული დოკუმენტი უნდა განხორციელდეს. მანამდე კი სააგენტომ უნდა უზრუნველყოს შესაძლო ტრანსსასაზღვრო ზემოქმედებას დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე მცხოვრები საზოგადოების ინფორმირება იგივე წესით, როგორც ეს გათვალისწინებულია ეროვნული სგშ-ის პროცედურის შემთხვევაში.

<u>პრაქტიკული რჩევები:</u>

- სასურველია, რომ ტრანსსასაზღვრო კონსულტაციის ვადები ფიქსირებული არ იყოს და დადგინდეს ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის (მოსალოდნელი ზემოქმედებების მასშტაბებისა და მნიშვნელობის, მოსალოდნელი ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ტრანსსასაზღვრო ტერიტორიის ფართობისა და ა.შ. საფუძველზე). მაგალითად, შესაძლებელი უნდა იყოს სტრატეგიული დოკუმენტის სამუშაო ვერსიასა და სგშ-ის ანგარიშზე კომენტარების წარდგენის ვადების გაზრდა იმ შემთხვევებში, თუ ჩატარდება ტრანსსასაზღვრო კონსულტაციები.
- სამოცი დღე შეიძლება, ჩაითვალოს გონივრულ ვადად შესაძლო ზემოქმედების ქვეშ მოქცეული სახელმწიფოს მხრიდან ტრანსსასაზღვრო პროცედურაში მონაწილეობის შესახებ თანხმობის მისაღებად.
- სკოპინგის დასკვნა (შესაძლო ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების გამოვლენის შემთხვევაში, რომელიც მინიშნებულია სკოპინგის განცხადებაში ან განსაზღვრულია სააგენტოს/დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი

[40] კოდექსი, 28-ე მუხლი.
[41] კოდექსი, 28-ე მუხლი.

ჯანდაცვის ეროვნული ცენტრის მიერ) უნდა მოიცავდეს ტრანსსასაზღვრო პროცედურის დეტალებს (მაგ., კონსულტაციების ფარგლებს, ვადებს, და სხვ.).

- ვინაიდან ტრანსსასაზღვრო კონსულტაციების ჩატარება მოითხოვს ინტენსიურ კომუნიკაციას სააგენტოს, სამინისტროს, საგარეო საქმეთა სამინისტროსა და დამგეგმავ ორგანოს შორის, სასურველია შეხვედრის ჩატარება (მას შემდეგ, რაც სკოპინგის განცხადება გამოკვეთს სგშ-ის ანგარიშში განსახილველ შესაძლო ტრანსსასაზღვრო ზემოქმედებებს) და ტრანსსასაზღვრო კონსულტაციების პრაქტიკული ასპექტების - ვადები, თარგმნა, კომუნიკაცია უცხო ქვეყანასთან და სხვ. - განხილვა.
- გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისია (UNECE)[42], განსაზღვრავს საკითხებს, რომლებიც უნდა განიხილოს და შესრულდეს სახელმწიფოების მიერ ერთობლივად:
    - რომელია დაინტერესებული საზოგადოება, არასამთავრობო ორგანიზაციების ჩათვლით;
    - როგორ უნდა ჩატარდეს კონსულტაციები, ვადებისა და შეტყობინების საშუალებების ჩათვლით;
    - სგშ-ის საკოორდინაციო ჯგუფის შექმნა ორივე ქვეყნის საზოგადოების წარმომადგენლების მონაწილეობით;
    - რა მასალების ხელმისაწვდომობა უნდა უზრუნველყოს სახელმწიფომ, რომლის ტერიტორიაზე დაგეგმილია სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელება და როდის;
    - დოკუმენტების თარგმნა, ზეპირი თარგმანის უზრუნველყოფა შეხვედრებზე და/ან შეხვედრების ჩატარება ისეთი პირების მიერ, რომლებიც თავისუფლად ფლობენ ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ქვეყნის ძირითად ენას;
    - საზოგადოების მიერ კომენტარების მოწოდებისთვის ვადების დადგენა ისე, რომ რეალისტური იყოს როგორც მონაწილეებისთვის, ასევე დამგეგმავი ორგანოებისთვის, და ითვალისწინებდეს სხვადასხვა სახელმწიფოში არსებულ დღესასწაულებს;
    - როგორ მიაწვდიან ინფორმაციას სახელმწიფოებს კონსულტაციების შედეგებისა და მათი გამოყენების შესახებ.
- ტრანსსასაზღვრო კონსულტაციები უნდა გაიმართოს მას შემდეგ, რაც მომზადდება სტრატეგიული დოკუმენტის სამუშაო ვერსია და სგშ-ის ანგარიში, თუმცა, სასურველია, „არაფორმალური ტრანსსასაზღვრო კონსულტაციების“ სგშ-ის პროცესის ადრეულ ეტაპებზე დაწყება. მოსალოდნელი ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ სახელმწიფოებთან დაკავშირება შესაძლებელია სკოპინგის ეტაპზე ან სგშ-ის ანგარიშის დასრულებამდე სავარაუდო ზემოქმედებების შესახებ მათი მოსაზრებების გასაგებად. ამ გზით შესაძლებელი იქნება სგშ-ის ანგარიშში მათი პოზიციების გათვალისწინება. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს პოტენციური პრობლემების მოგვარებას „ოფიციალური კონსულტაციების“ დაწყებამდე.
- სასურველია, რომ საექსპერტო კომისიამ საექსპერტო დასკვნის მომზადების დროს გაითვალისწინოს ტრანსსასაზღვრო კონსულტაციების შედეგები. აქედან გამომდინარე, ტრანსსასაზღვრო კონსულტაციებში უზრუნველყოფილ იქნას საექსპერტო კომისიის წევრის (წევრების) მონაწილეობა.

[42] რეკომენდაციები სტრატეგიულ გარემოსდაცვით შეფასებაში საზოგადოების სათანადო მონაწილეობის უზრუნველსაყოფად, გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისია (UNECE), 2016 http://www.unece.org/index.php?id=42234.

IX. სგშ-ის ჩატარებასთან დაკავშირებული სხვა პრაქტიკული რჩევები

წინამდებარე თავებში წარმოდგენილია რეკომენდაციები და პრაქტიკული რჩევები სგშ-ის პროცესის მართვასა და კოორდინაციასთან დაკავშირებით.

სგშ-ის და დაგეგმვის პროცესი:

სგშ წარმოადგენს სტრატეგიულ დაგეგმვასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში გარემოსთან და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხების ინტეგრირების საშუალებას, ამისათვის კი აუცილებელია, რომ სგშ-ის პროცესი უკავშირდებოდეს დაგეგმვის პროცესს. აღნიშნული კონფიგურაცია ხელს უწყობს დამგეგმავებსა და სგშ-ის გუნდს შორის კომუნიკაციასა და თანამშრომლობას. კოდექსით განსაზღვრულია რიგი სამართლებრივი მოთხოვნები სგშ-ის ძირითად ეტაპებსა და დაგეგმვის პროცესს შორის. თუმცა, სამართლებრივი მოთხოვნების გარდა, კიდევ არსებობს რიგი მიზეზები, რომელთა გამოც, აუცილებელია მაქსიმალურად მჭიდრო კოორდინაცია სგშ-სა და სტრატეგიული დოკუმენტის მომზადების პროცესებს შორის.

შესაბამისად, სგშ-ის პროცესი იქნება წარმატებული და ეფექტიანი იმ შემთხვევაში, თუ ის[43]:

- უზრუნველყოფს სტრატეგიული დოკუმენტის შემუშავების პროცესში გარემოსდაცვითი საკითხების სათანადოდ გათვალისწინებას. სგშ-ს შესაძლებლობა, ხელი შეუწყოს სტრატეგიულ დოკუმენტში გარემოსდაცვითი საკითხების ინტეგრაციას, მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სტრატეგიული დოკუმენტის მომზადების პროცესში სგშ-ის დასკვნებისა და მიგნებების გათვალისწინების დროსა და ფორმაზე.
- ეხმარება ურთიერთდაპირისპირებული მოსაზრებებისა და ინტერესების გამოვლენას და ამით ზრდის გადაწყვეტილების მიღების პროცესის სანდოობას. ამგვარად, მიმდინარე პროცესი ხელს უწყობს პრობლემების გადაწყვეტის გზების ძიებასა და დაინტერესებულ მხარეებს შორის ნდობის ამაღლებას.
- უმიზეზოდ არ აჭიანურებს სტრატეგიული დოკუმენტის მომზადებისა და დამტკიცების პროცესს. სგშ-ის მოთხოვნების შესრულებას გარკვეული დრო სჭირდება, რომლის შემცირებაც დაგეგმვის პროცესში სგშ-ის სათანადოდ ორგანიზების საშუალებით შესაძლებელია.
- არ არის გაუმართლებლად ძვირადღირებული. სავალდებულო კვლევების ჩატარება და ანგარიშების მომზადება, ასევე, დაინტერესებულ მხარეებსა და საზოგადოებასთან კონსულტაციების ჩატარება დამატებით ხარჯებს მოითხოვს, თუმცა, ამ ხარჯების შემცირება შესაძლებელია, თუ სგშ ჩატარდება სტრატეგიული დოკუმენტის მომზადებასთან ერთად და მის მომზადებაში გამოყენებული იქნება დაგეგმვის პროცესში მოპოვებული მონაცემები და კვლევები, ასევე კონსულტაციების შედეგები.

ცხადია, ზემოაღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სგშ-ის პროცესის ინიცირება სტრატეგიული დოკუმენტის მომზადების ადრეულ ეტაპზე მოხდება

[43] ადაპტირებულია სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ოქმის განხორციელების ხელშეწყობის სახელმძღვანელოდან, გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისია (UNECE), 2012.

და სგშ დაგეგმვის პროცესის პარალელურად ჩატარდება. სასურველია, რომ დამგეგმავმა ორგანომ (სგშ-ის კონსულტანტებთან ერთად - მათი მონაწილეობის შემთხვევაში) სგშ-ის დაწყების წინ ჩაატაროს დაგეგმვის პროცესის ანალიზი. ამ წინასწარი ანალიზის მიზანია დაგეგმვის კონტექსტისა და დაგეგმვის ლოგიკური მიდგომის გააზრება იმ „პუნქტების" გამოსავლენად, რომლებშიც სგშ-ის მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია. დაგეგმვის პროცესის ანალიზის დროს უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი საკითხები:

- დაგეგმვის ძირითადი ეტაპები, საკვანძო ამოცანები და მათი თანმიმდევრობა;
- სტრატეგიული დოკუმენტის მომზადების ფარგლებში ჩასატარებელი გარემოსდაცვითი კვლევები;
- ითვალისწინებს თუ არა დაგეგმვის პროცესი კონსულტაციებს დაინტერესებულ მხარეებთან.

დაგეგმვის პროცესის საწყისი ანალიზის დასკვნები გათვალისწინებულ უნდა იქნას სგშ-ის სამუშაო გეგმისა და გრაფიკის შედგენის და სგშ-სთვის ტექნიკური დავალების მომზადების დროს.

<u>სგშ-ის კონსულტანტების მონაწილეობა:</u>

კოდექსი დამგეგმავ ორგანოებს აკისრებს პასუხისმგებლობას სგშ-ის ანგარიშის ხარისხსა და სამართლებრივ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. კოდექსის თანახმად, შესაძლებელია „კონსულტანტის" (კერძო პირის და/ან საკონსულტაციო კომპანიის) დაქირავება სკოპინგისა და სგშ-ის ანგარიშების მოსამზადებლად.

ზოგადად, სგშ სამი შესაძლო გზით ტარდება:

- „საკუთარი ძალებით," ანუ დამგეგმავი ორგანოს საკუთარი ექსპერტების მიერ;
- სგშ-ს ატარებენ კონსულტანტები, რაც მოიცავს სკოპინგისა და სგშ-ის ანგარიშების მომზადებას, კონსულტაციების პროცესის კოორდინაციას და ა.შ.;
- სგშ-ს კოორდინაციას უწევს დამგეგმავი ორგანო, ხოლო კონსულტანტები ჩართულნი არიან გარკვეული ამოცანების შესრულებაში (მაგ., კვლევები - ატმოსფერულ ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესწავლა, სკოპინგისა და/ან სგშ-ის ანგარიშის გარკვეული თავების მომზადება და ა.შ.).

ამრიგად, მნიშვნელოვანია, რომ დამგეგმავმა ორგანომ იცოდეს, თუ რა როლი უნდა შეასრულოს სგშ-ის კონსულტანტმა და რა ამოცანები უნდა შესრულდეს. რეკომენდებულია კონსულტანტების ჩართვა სგშ-ის პროცესში, რაც შეიძლება ადრე - ე.ი. სგშ-ის კონსულტანტის მთავარი ფუნქციაა სკრინინგის, სკოპინგის განცხადებისა და სგშ-ის ანგარიშის მომზადება, ასევე, შესაძლოა მათ დაევალოთ საზოგადოების მონაწილეობისთვის საჭირო ღონისძიებების კოორდინაცია დამგეგმავ ორგანოსთან ერთად. ტენდერის გამოცხადების დროს დამგეგმავმა ორგანომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს კონსულტანტებისათვის ტექნიკური დავალებების მომზადებას, რომლის დროსაც გასათვალისწინებელი საკითხები მოცემულია **დანართ 8-ში (დანართი 8**). კონსულტანტებმა შესაძლოა შემდეგი საქმიანობა და ამოცანები შეასრულონ:

- სკრინინგის განცხადების მომზადება/შედგენაში მონაწილეობა, ძირითადად, სტრატეგიულ დოკუმენტთან დაკავშირებულ გარემოსა და ადამიანის

ჯანმრთელობის დაცვის პრობლემების, სტრატეგიული დოკუმენტის მოსალოდნელი ზემოქმედებების კუთხით.

- სკოპინგის განცხადების სამუშაო და საბოლოო ვერსიების მომზადება, რაც მოიცავს:
    - გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული იმ საკვანძო საკითხების გამოვლენას, რომლებიც განხილულ უნდა იქნეს სგშ-ის ანგარიშში, ასევე, იმ საკითხების იდენტიფიცირება, რომლებიც მოცემული სტრატეგიული დოკუმენტისათვის მნიშვნელოვანი არ არის და შესაბამისად, მათი შეფასება/ანალიზი აუცილებლობას არ წარმოადგენს;
    - იმ შესაძლო ალტერნატივებისა ან ვარიანტების მონახაზის გაკეთებას, რომლებიც განხილულ იქნეს სგშ-ის ანგარიშში;
    - მოსალოდნელი ზემოქმედებების ტერიტორიული განზომილებისა და პერიოდის დადგენას;
    - ჩასატარებელი ანალიზისა და კვლევების და შესაბამისი მეთოდებისა და საშუალებების მითითებას[44];
    - სტრატეგიული დოკუმენტის სხვა სტრატეგიულ დოკუმენტებთან მიმართების განსაზღვრას;
    - იმ დაინტერესებული მხარეების აღმოჩენას, რომლებიც ჩართულები უნდა იყვნენ შემდგომ ეტაპებში.
    - ა.შ.
  - სგშ-ის ანგარიშის სამუშაო და საბოლოო ვერსიების მომზადება სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის შესაბამისად, რაც მოიცავს:
    - გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხების ფონური მდგომარეობის ანალიზს;
    - მოსალოდნელი ზემოქმედებების შეფასებას;
    - სათანადო შემარბილებელი ღონისძიებების ჩამოყალიბებას;
    - მონიტორინგის სქემის შემუშავებას.
    - ა.შ.
- დაინტერესებული მხარეების ჩართულობის, მათ შორის - საზოგადოების მონაწილეობის კოორდინაცია სგშ-ის პროცესის განმავლობაში და მათ მიერ მოწოდებული შენიშვნებისა და მოსაზრებების სათანადოდ გათვალისწინება სკოპინგისა ან/და სგშ-ის ანგარიშებში[45].
- თანამშრომლობა და კოორდინაცია დამგეგმავ ჯგუფთან სტრატეგიულ დოკუმენტში სგშ-ის შედეგების სათანადოდ ასახვის მიზნით.

ტექნიკურ დავალებაში შეიძლება იყოს დაშვება (ან მოთხოვნა) უცხოელი ექსპერტების და/ან საკონსულტაციო კომპანიების მონაწილეობის თაობაზე. ამ შემთხვევაში, ტექნიკურმა

[44] სკოპინგის განცხადებაში უნდა მიეთითოს რა კვლევები/შესწავლა ჩაატარდება სგშ-ს შემდგომ ეტაპებზე (ეს არ ნიშნავს, რომ ეს კვლევები უკვე უნდა იყოს სკოპინგის განცხადების ნაწილი, მაგრამ უნდა იყოს სგშ– ს ანგარიშში). ასევე ახსნა რა მეთოდები და ინსტრუმენტები იქნება გამოყენებული უმთავრეს საკითხებზე ზემოქმედების შესასწავლად (მაგ. ჰაერის ხარისხის მოდელირება, საველე სამუშაოები, პოტენციური სივრცითი კონფლიქტების GIS ანალიზი და სხვა).

[45] სკოპინგის განცხადებაში უნდა იყოს აღწერილი/შეთავაზებული თუ როგორ იქნება კონსულტაციები ორგანიზებული (მაგ. სამუშაო შეხვედრების ორგანიზება, საინფორმაციო ცნობარების გამოყენება, თუ სხვა.)

დავალებამ მკაფიოდ უნდა განსაზღვროს, რომ სგშ-ს ფარგლებში მომზადებული დოკუმენტების საბოლოო ვერსია (კერძოდ, სგშ ანგარიში) უნდა იყოს მომზადებული ქართულ ენაზე.

მიუხედავად იმისა, რომ სგშ-ის პროცესთან დაკავშირებული ამოცანების უმეტესობის შესრულება კონსულტანტებს ეკისრებათ, ამ პროცესის წარმატებისთვის მნიშვნელოვანია დამგეგმავი ორგანოს წარმომადგენლების ჩართულობა, მათ მიერ კოორდინაციისა და მართვის უზრუნველყოფა, რაც მოიცავს:

- სგშ-ის და დამგეგმავ ჯგუფებს შორის კოორდინაციის ხელშეწყობას;
- აქტიურ მონაწილეობას დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის პროცესში (მაგ., სტრატეგიული დოკუმენტის სამუშაო ვერსიის წარდგენა საჯარო განხილვებზე);
- ოფიციალურ კომუნიკაციას სააგენტოსა და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნულ ცენტრთან

<u>ალტერნატივების საკითხი სგშ-ში:</u>

სგშ-ის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას ალტერნატივების განხილვა წარმოადგენს. სგშ-ს შეუძლია ისეთი ალტერნატიული ვარიანტებისა თუ სცენარების შემუშავების ხელშეწყობა, რომლებიც მინიმუმამდე ამცირებენ ან გამორიცხავენ უარყოფით ზემოქმედებას გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე. ამ გზით სგშ სტრატეგიული დოკუმენტების ეფექტიანობას ზრდის.

პრაქტიკული თვალსაზრისით, სგშ-მ შემდეგი ამოცანები უნდა შეასრულოს:

- შეაფასოს და შეადაროს სტრატეგიულ დოკუმენტში წარმოდგენილი ყველა ალტერნატივა;
- განიხილოს „ნულოვანი სცენარი“, ანუ მოვლენების განვითარება იმ შემთხვევაში, თუ არ მოხდება სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელება და შეადაროს ის სტრატეგიული დოკუმენტის მოსალოდნელ ზემოქმედებებს;
- სგშ-ს შეუძლია, გაუწიოს რეკომენდაცია სტრატეგიულ დოკუმენტში გარკვეული ალტერნატივების გათვალისწინებასა ან გადაწყვეტილებების მიმღები პირების მიერ მათ განხილვას. რეკომენდაციები უნდა ემყარებოდეს მოსალოდნელი ზემოქმედებების შეფასებას;
- სგშ-ს შეუძლია, შეიმუშაოს ალტერნატივები. ამისათვის აუცილებელია ინტენსიური თანამშრომლობა დამგეგმავ ჯგუფთან სტრატეგიულ დოკუმენტში სგშ-ში შემუშავებული ალტერნატივების ინტეგრირების უზრუნველსაყოფად.

სგშ-ის საფუძველზე დადგენილი ალტერნატივების აუცილებლობა (სკოპინგისა და შემდგომ, სგშ-ის ეტაპებზე) უნდა იყოს კარგად დასაბუთებული და მიბმული მოსალოდნელ ზემოქმედებაზე (მაგ., უნდა მოიძებნოს ახალი სატრანსპორტო დერეფანი, რადგან არსებულმა შეიძლება, მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს დაცულ ტერიტორიას). სასურველია, რომ ამ სახის დისკუსია წარიმართოს როგორც სკოპინგის ეტაპზე, ასევე - სგშ-ის ანგარიშის მომზადების დროსაც (იმ შემთხვევაში, თუ ალტერნატივების აუცილებლობა ამ ეტაპზე დადგება).

დანართები

დანართი 1: სკრინინგის განცხადების შესაძლო სტრუქტურა და შინაარსი

ქვემოთ მოცემულ სარეკომენდაციო სკრინინგის განცხადებაში გათვალისწინებულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლის მოთხოვნები და კოდექსის შესაბამისი დებულებები.

სტრატეგიული დოკუმენტის სახელწოდება	
აღწერა ახალი სტრატეგიული დოკუმენტია თუ ცვლილება არსებულ სტრატეგიულ დოკუმენტში	თუკი ეს არის ცვლილება არსებულ სტრატეგიულ დოკუმენტში, აღწერეთ თუ რას შეეხება დოკუმენტში შეტანილი ცვლილება
ინფორმაცია დამგეგმავი ორგანოს შესახებ: სახელწოდება და მისამართი, წარმომადგენლის საკონტაქტო ინფორმაცია	
სტრატეგიული დოკუმენტის დონე და მისი კავშირი სხვა სტრატეგიულ დოკუმენტებთან	*ეროვნული / რეგიონული / მუნიციპალური* (მონიშნეთ) ახსენით, თუ როგორ უკავშირდება სტრატეგიული დოკუმენტი სხვა სტრატეგიულ დოკუმენტებს (როცა ორივე ერთსა და იმავე დაგეგმვის სქემაში ხვდება - მაგ. სივრცითი გეგმები - ასევე სხვა სექტორებში მომზადებულ სტრატეგიულ დოკუმენტებთან კავშირი)
სტრატეგიული დოკუმენტის სტატუსი	ეროვნული/რეგიონული/მუნიციპალური
სტრატეგიული დოკუმენტის სექტორი: – **სოფლის მეურნეობა** – **სატყეო მეურნეობა** – **თევზჭერა** – **ენერგეტიკა** – **მრეწველობა** – **ტრანსპორტი** – **ნარჩენების მართვა** – **წყლის რესურსების მართვა**	(სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, თევზჭერა, …)

- ელექტრონული კომუნიკაციები - ტურიზმი - დაგეგმარება და სივრცითი მოწყობა	
სამართლებრივი ჩარჩო	კანონი ან ნორმატიული აქტი, რომელიც წარმოადგენს სტრატეგიული დოკუმენტის მომზადებისა და დამტკიცების საფუძველს
გადაწყვეტილების მიმღები ორგანო	დაასახელეთ ის სახელმწიფო უწყება, რომელიც დაამტკიცებს სტრატეგიულ დოკუმენტს
ძირითადი პრიორიტეტები და ამოცანები	(სტრატეგიულ დოკუმენტში განსაზღვრული ძირითადი პრიორიტეტებისა და ამოცანების მოკლე აღწერა)
ადგენს თუ არა სტრატეგიული დოკუმენტი ჩარჩოს სამომავლოდ განსახორციელებელი იმ საქმიანობებისათვის, რომლებიც ექვემდებარებიან გზშ-ს?	დიახ/არა (აღწერეთ) (თუ დიახ, აღწერეთ დაგეგმილი აქტივობები / პროექტები, რომლებიც სავარაუდოდ გზშ-ს მოითხოვს და განმარტეთ, თუ რამდენად განსაზღვრავს სტრატეგიული დოკუმენტი კონკრეტული საქმიანობების განხორციელების ადგილებს, მათ ტიპებს, მოცულობას ან მასშტაბს და ა.შ.
განხორციელების სავარაუდო მეთოდი	აღწერეთ, როგორ მოხდება სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელება (მაგ., განხორციელების პერიოდი, დაფინანსების წყარო, განხორციელების კოორდინაციაზე პასუხისმგებელი უწყება (უწყებები) და სხვ.)
სტრატეგიული დოკუმენტისთვის რელევანტური გარემოსდაცვითი ან/და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხები	აღწერეთ გარემოსდაცვითი ან/და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მთავარი საკითხები სტრატეგიული დოკუმენტით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე. მიუთითეთ სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების ტერიტორიის ფასეულობა და მოწყვლადობა, კერძოდ, ბუნებრივი მახასიათებლები ან კულტურული მემკვიდრეობა, დაცული ტერიტორიების არსებობა და ის ტერიტორიები ან/და ლანდშაფტები, რომლებსაც მინიჭებული აქვს ადგილობრივი ან/და საერთაშორისო მნიშვნელობის სტატუსი.

	(დამატებითი ინფორმაცია, მაგ. რუკები ან დიაგრამები, რომლებიც შეიძლება წარმოდგენილი იყოს სკრინინგის განცხადების დანართებში.)
სტრატეგიული დოკუმენტის სავარაუდო შედეგები	გარემოსა ან/და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ზემოთ აღწერილი პრობლემების გათვალისწინებით, აღწერეთ, თუ რა ზემოქმედებას მოახდენს მათზე სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელება მიუთითეთ, შეიძლება თუ არა მოსალოდნელი ზემოქმედება ტრანსსასაზღვრო ხასიათის იყოს. *(დამატებითი ინფორმაცია, მაგ. რუკები ან დიაგრამები, რომლებიც შეიძლება წარმოდგენილი იყოს სკრინინგის განცხადების დანართებში* მათ შორის shp „შეიფ“ ფაილები*)*
განცხადებასთან ერთად წარდგენილი დოკუმენტების ჩამონათვალი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	ჩამოთვალეთ განცხადებასთან ერთად წარდგენილი დოკუმენტები მათ შორის shp „შეიფ“ ფაილები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
განცხადების წარდგენის თარიღი	
განმცხადებლის ხელმოწერა	

დანართი 2: სკოპინგის განცხადების შესაძლო სტრუქტურა და შინაარსი

მოცემული ინფორმაცია არ უნდა განიხილებოდეს როგორც ,,დადგენილი სტრუქტურა”, არამედ როგორც რეკომენდაცია სკოპინგის განცხადების შესაძლო სტრუქტურასა და შინაარსთან დაკავშირებით.

სკოპინგის განცხადება ზოგადად უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- მოკლე ანოტაცია/რეზიუმე
- შესავალი
  - განცხადების მიზანი და ამოცანები
  - სკოპინგის მიდგომა
- ინფორმაცია დამგეგმავი ორგანოსა და კონსულტანტების შესახებ სტრატეგიული დოკუმენტის ძირითადი კომპონენტები
  - ინფორმაცია სტრატეგიული დოკუმენტის შესახებ, მათ შორის სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების პერიოდი
  - ამოცანები და პრიორიტეტები
  - ძირითადი ღონისძიებების მიმოხილვა

- სტრატეგიული დოკუმენტის მომზადების ეტაპი და შემდგომი ნაბიჯები
- კავშირი სხვა შესაბამის გეგმებსა და პროგრამებთან

- ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ტერიტორიის გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ძირითადი ასპექტების ფონური მდგომარეობის აღწერა, რომელიც უნდა მოიცავდეს: სიტუაციის მოკლე აღწერილობას, სადაც ხაზგასმულია ძირითადი გარემოსდაცვითი და ჯანმრთელობის საკითხები და პრობლემები სავარაუდო ზემოქმედების ტერიტორიაზე (მაგ. წყლის დაბინძურების ან ბიომრავალფეროვნების შემცირების ძირითადი წყაროები);
- წარსული ტენდენციების და ამ ტენდენციების გამომწვევი ფაქტორების აღწერა, ე.ი. აქამდე არსებულ გარემოზე ზემოქმედების ძირითადი ფაქტორები (მაგალითად, სოფლის მეურნეობა შეიძლება იყოს წყლის დაბინძურების ძირითადი წყარო, ხოლო ნადირობა ბიომრავალფეროვნების შემცირების მთავარ გამომწვევ ფაქტორს წარმოადგენდეს და ა.შ.).
- მგრძნობიარე ტერიტორიების ან ცხელი წერტილების მიმოხილვას მოცემულ გარემოსდაცვით ან ჯანმრთელობის საკითხებთან დაკავშირებით, მაგ. ადგილები, სადაც წყლის ხარისხი არადამაკმაყოფილებელია, დაცული ტერიტორიები, ეროზიის ან/და წყალდიდობისადმი მოწყვლადი ადგილები და ა.შ. ამ ნაწილში უნდა გამოყენებულ იქნას რუკები და დიაგრამები, თუ ტერიტორიის ზუსტად განსაზღვრა ვერ ხერხდება, „ტერიტორიის დახასიათება“ უნდა იქნას აღწერილი (მაგ. *„მდინარის მონაკვეთები ქვედა წელზე დიდ ქალაქებთან შეიძლება მუნიციპალური ჩამდინარე წყლებით დაბინძურების გეოგრაფიულ არეალად ჩაითვალოს“*).

- ძირითადი ხარვეზები არსებულ ინფორმაციასა და მონაცემებში, რაც შესაძლო ზემოქმედების შემდგომი ანალიზისთვის არის საჭირო;
- შესაბამისი გარემოსდაცვითი და ჯანმრთელობის ამოცანების მიმოხილვა.
  - ამოცანები აღებული უნდა იქნას ოფიციალური სტრატეგიული დოკუმენტებიდან საერთაშორისო, ეროვნულ ან/და ადგილობრივ/მუნიციპალურ დონეზე, მათში იგულისხმება მაგ. გარემოს დაცვის ეროვნული სტრატეგია, გარემოს დაცვის ეროვნული სამოქმედო გეგმა, გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის მიმართ ეროვნული შეტყობინება და ა.შ. შეიძლება იქნას გამოყენებული იმ საერთაშორისო შეთანხმებების ამოცანები და მიზნები, რომელთა მხარეა/ხელმომწერია საქართველო, თუ ეროვნულ დონეზე შესაბამისი დოკუმენტი არ არსებობს.
- მნიშვნელოვანი ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ტერიტორიის მახასიათებლები (შენიშვნა: ქვემოთ მოყვანილი ჩამონათვალი უნდა დაზუსტდეს სგშ-ს დაქვემდებარებული სტრატეგიული დოკუმენტის შესაბამისად. მნიშვნელოვანია, რომ კვლევა და სგშ კონცენტრირებული იყოს სათანადო სფეროებსა და საკითხებზე.):
  - კლიმატი და კლიმატის ცვლილება
  - ატმოსფერული ჰაერი
  - გეოლოგია, მიწა და ნიადაგი (მიწათსარგებლობის, ნიადაგის დეგრადაციისა და დაბინძურების ჩათვლით)
  - წყალი (წყლის რესურსების, ხარისხის, განაწილებისა და მოხმარების, დაბინძურების ძირითადი წყაროების მიმოხილვა)
  - ნარჩენები და ჩამდინარე წყლების მართვა
  - ეკოსისტემები და ბიომრავალფეროვნება/დაცული ტერიტორიები
  - კულტურული მემკვიდრეობა
  - სოციალური ასპექტები (მოსახლეობა, ეკონომიკური მდგომარეობა)

- ჯანდაცვა

- სგშ-ის ანგარიშში განსახილველი პრიორიტეტული საკითხების წინასწარი იდენტიფიკაცია. ვინაიდან, სკოპინგის პროცედურამ უნდა მოახდინოს მნიშვნელოვანი და ნაკლებად მნიშვნელოვანი საკითხების დიფერენციაცია.
    - *პრიორიტეტული საკითხების წინასწარი იდენტიფიკაცია შესაძლებელია სკოპინგის მატრიცების გამოყენებით. სკოპინგის მატრიცაში შეჯამებული სახით უნდა იქნას მოცემული სტრატეგიული დოკუმენტის შესაბამისი გარემოსდაცვითი და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებიც შემდგომ ეტაპზე იქნება განხილული სგშ-ს პროცესში. იხ. სკოპინგის მატრიცის ნიმუშები:*
- დაინტერესებული მხარეების განსაზღვრა
- შემდგომი ნაბიჯები, მაგ: მოკლე ახსნა და დაინტერესებული მხარეების ინფორმირება იმის თაობაზე თუ რას უნდა ელოდნენ სგშ-ს შემდეგ ეტაპზე.
- დანართები
    - სკოპინგის კონსულტაციების მოკლე შინაარსი
    - გამოყენებული მასალების ჩამონათვალი
- სკოპინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს სგშ-ის ანგარიშის მომზადებაზე პასუხისმგებელი ჯგუფის შესახებ ინფორმაცია, კვალიფიკაციის მითითებით.

სკოპინგის მატრიცის მაგალითი

დაგეგმვის საკითხი	მემოთავაზებული ქმედება	სტრეს-ფაქტორი	ბიომრავალფეროვნება ფლორა	ბიომრავალფეროვნება ფაუნა	ნიადაგი	კლიმატი	ჰაერი	წყალი	ლანდ-შაფტი	დაცული ტერიტორიები	კულტუ-რული მემკვიდ-რეობა	ჯანმრთე-ლობა	სოციალურ-ეკონომი-კური საკითხები	ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება

ლეგენდა

	სავარაუდო მნიშვნელოვანი უარყოფითი ეფექტი - განხილული იქნება სგშ-ის ანგარიშში		სავარაუდო უმნიშვნელო უარყოფითი ეფექტი - მოკლედ იქნება განხილული სგშ-ის ანგარიშში		არანაირი მნიშვნელოვანი ეფექტი ან დადებითი ეფექტი - არ იქნება განხილული სგშ-ის ანგარიშში

მთავარი საკითხები	კონკრეტული საკითხები და პრობლემები	გავრცელების გეოგრაფიული არეალები	სტრატეგიულ დოკუმენტთან კავშირი
წყლის რესურსები	• ზედაპირული წყლის ხარისხის ცვლილება • წყლის ჭარბი მოხმარება • და ა.შ.	-	-
ნიადაგი	• ნიადაგის დაბინძურება • ნიადაგის დეგრადაცია და ერთიანობის დარღვევა • და ა.შ.	-	-
ბიომრავალფეროვნება/დაცული ტერიტორიები	• წყალზე დამოკიდებული სახეობებზე ზემოქმედება • შესაძლო ზემოქმედება ზურმუხტის ქსელის უბნებზე • და ა.შ.	-	-
-	-	-	-

გარდა აღნიშნულისა, შესაძლოა გამოყენებულ იქნას სხვა მეთოდები და საშუალებები, მაგალითად swot ანალიზი. გარდა შემოთავაზებული მატრიცებისა, მიგნებები და ზემოქმედების სახეები ასევე შესაძლებელია, ნაჩვენები იქნას გრაფიკული სახით, დიაგრამების, სქემებისა და რუკების სახითაც.

ალტერნატივების შერჩევა ხდება შემოთავაზებული ალტერნატივების (მათ შორის ნულოვანი ალტერნატივა) გარემოს კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედების ფაქტორის ხარისხის გათვალისწინებით.

	ალტერნატივები

გარემოს რეცეპტორები	ალტერნატივა 1	ალტერნატივა 2	ალტერნატივა 3
ატმოსფერული ჰაერი			
ზედაპირული და მიწისქვეშა წყლები			
ნიადაგი			
ბიომრავალფეროვნება			
ნარჩენების წარმოქმნა			
კულტურული მემკვიდრეობა			
ადამიანის ჯანმრთელობა			
სოციალური გარემო			
სხვა რეცეპტორები			

შესაძლო ზემოქმედების ფაქტორები	**ალტერნატივები**			
	ალტერნატივა 1	**ალტერნატივა 2**	**ალტერნატივა ...**	**ნულოვანი ალტერნატივა**
ატმოსფერული ჰაერის ხარისხი				
ზემოქმედების ფაქტორი 1				
ზემოქმედების ფაქტორი 2				
ზედაპირული და მიწისქვეშა წყლები				

ზემოქმედების ფაქტორი 1				
ზემოქმედების ფაქტორი 2				
ნიადაგი				
ზემოქმედების ფაქტორი 1				
ზემოქმედების ფაქტორი 2				
ბიომრავალფეროვნება				
ზემოქმედების ფაქტორი 1				
ზემოქმედების ფაქტორი 2				
ნარჩენების წარმოქმნა				
ზემოქმედების ფაქტორი 1				
ზემოქმედების ფაქტორი 2				
ადამიანის ჯანმრთელობა				
ზემოქმედების ფაქტორი 1				
ზემოქმედების ფაქტორი 2				
სოციალური გარემო				
ზემოქმედების ფაქტორი 1				
ზემოქმედების ფაქტორი 2				

- საბაზისო კვლევები

ხედვა	ჩასატარებელი საბაზისო კვლევები

==========

დანართი 3: სგშ-ს ანგარიშის რეკომენდებული სტრუქტურა

ზოგადად, სგშ-ს ანგარიში უნდა მოიცავდეს კოდექსით გათვალისწინებულ ინფორმაციას, ასევე უნდა მომზადდეს სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის შესაბამისად.

<u>რეკომენდაცია სგშ-ს ანგარიშის შესაძლო შინაარსის თაობაზე:</u>

- არატექნიკური რეზიუმე
- ინფორმაცია დამგეგმავი ორგანოსა და კონსულტანტების შესახებ, სტრატეგიული დოკუმენტის ფარგლები, ამოცანები, ალტერნატივები (თუ განხილულია სტრატეგიულ დოკუმენტში) და კავშირი სხვა გეგმებსა და პროგრამებთან.
- წარმოდგენილი გეგმის/პროგრამის შეფასებასთან კავშირში მყოფი, უკვე განხორციელებული სგშ-ს პროცესის შედეგები, შეფასების ფარგლები (სკოპინგისა და ჩატარებული კვლევების საფუძველზე) და განმარტება იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ მოხდა ამ საკითხების ასახვა სგშ-ის ანგარიშში.
- გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ფონური მდგომარეობა:
  - გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული არსებული მდგომარეობა და მოვლენების განვითარება იმ შემთხვევაში, თუ არ მოხდება სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელება („ნულოვანი სცენარი“);
  - იმ ტერიტორიის არეალი, რომელიც სავარაუდოდ, მნიშვნელოვანი ზემოქმედების ქვეშ მოექცევა;
- ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე განსაზღვრული გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის ამოცანები, რომლებიც კავშირშია სტრატეგიულ დოკუმენტთან და მეთოდი, რომლის საშუალებითაც მოხდა აღნიშნული მიზნებისა და გარემოს და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხების გათვალისწინება მისი მომზადების დროს;
- სტრატეგიული დოკუმენტის მოსალოდნელი მნიშვნელოვანი ზემოქმედებები გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე, მათ შორის, ბიომრავალფეროვნებაზე, მოსახლეობაზე, ადამიანის ჯანმრთელობაზე, ფლორაზე, ფაუნაზე, ნიადაგზე, მიწაზე, წყალზე, ჰაერზე, კლიმატურ ფაქტორებზე, მატერიალურ ფასეულობებზე,

კულტურულ მემკვიდრეობაზე, ლანდშაფტზე და ამ ფაქტორების ურთიერთქმედებაზე (მეორადი, კუმულაციური, მოკლე, საშუალოდა გრძელვადიანი, მუდმივი და დროებითი, დადებითი და უარყოფითი ზემოქმედებების ჩათვლით);

- ღონისძიებები, რომლებიც გათვალისწინებულია გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით მოსალოდნელი ზემოქმედებების თავიდან ასაცილებლად, შესამცირებლად და მაქსიმალურად აღმოსაფხვრელად, მათ შორის ის შესაძლო ალტერნატიული ვარიანტები, რომლებიც გათვალისწინებულ უნდა იქნეს სტრატეგიულ დოკუმენტში;
- სტრატეგიული დოკუმენტის ალტერნატივების შეფასება და შედარება გარემოსა და/ან ადამიანის ჯანმრთელობაზე მათი ზემოქმედების თვალსაზრისით. ალტერნატივების შერჩევის კონკრეტული მიზეზების მიმოხილვა;
  - ალტერნატივების შეფასების მიზნით, შეიძლება გამოყენებული იყოს ინდიკატორული შეფასების რანჟირების მატრიცა, რომლის თანახმად, რანჟირების დონეებია: ძლიერი უარყოფითი ზემოქმედება (-2), უარყოფითი ზემოქმედება (-1), ზემოქმედება ცვლილების გარეშე (0), დადებითი ზემოქმედება (+1), ძლიერი დადებითი ზემოქმედება (+2)

+2	ძალიან მაღალი	+2
+1	მაღალი	+1
0	საშუალო	0
-1	დაბალი	-1
-2	ძალიან დაბალი	-2

ალტერნატივების განხილვა/შეფასებისას რეკომენდებულია უზრუნველყოფილი იყოს დაინტერესებული მხარეების (ადგილობრივი თვითმართველობა, სხვადასხვა ორგანიზაციები, მოსახლეობა და სხვა.) ჩართულობა და მათი მოსაზრებების გათვალისწინება, გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური თვალსაზრისით საუკეთესო ვარიანტის შერჩევის მიზნით.

- სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების დროს გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების მონიტორინგის ღონისძიებების აღწერა;
- აღწერა იმისა, თუ როგორ ჩატარდა შეფასება, რა სირთულეები (როგორიცაა ტექნიკური პრობლემები) წამოიჭრა საჭირო ინფორმაციის შეგროვების პროცესში; რა პრობლემები წამოიჭრა ინფორმაციისა და მონაცემების ნაკლებობის თვალსაზრისით და როგორ მოგვარდა ეს პრობლემები შეფასების პროცესში;

- ანგარიშის მომზადებაში ჩართული კონსულტანტების საკონტაქტო მონაცემები, ანგარიშის მომზადების თარიღი, საკუთარი პასუხისმგებლობის დეკლარაცია კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებაზე და ხელმოწერები. დასკვნა – იმ ძირითადი რეკომენდაციების შეჯამება, რომლებიც გათვალისწინებულ უნდა იქნეს სტრატეგიული დოკუმენტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისა და მისი განხორციელების დროს.
- დანართები:
    - დანართი I: სგშ-ს პროცესში სტრატეგიული დოკუმენტის მიმართ წარდგენილი რეკომენდაციების მიმოხილვა და დასაბუთება თუ რა სახით იქნა გათვალისწინებული მიღებული რეკომენდაციები.
    - სგშ-ის ანგარიშის მომზადებაში ჩართული ექსპერტების თაობაზე ინფორმაცია, კვალიფიკაციის მითითებით.

==========

დანართი 4: სტრატეგიული დოკუმენტის სამუშაო ვერსიასა და სგშ-ს ანგარიშზე ჩატარებული კონსულტაციების დროს დაინტერესებული მხარეების მხრიდან შემოსული შენიშვნებისა და მოსაზრებების ფორმა

ქვემოთ მოცემული ფორმა შეიძლება გამოიყენოს დამგეგმავმა ორგანომ კონსულტაციების შედეგებისა და უკუკავშირის შეჯამების მიზნით.

კომენტარის No.	კომენტარი	სგშ-ს ჯგუფის ან დამგეგმავი ორგანოს მოსაზრება
სააგენტო		
1		
2		
დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი		
3		
4		
საზოგადოების წარმომადგენლები (არასამთავრობო ორგანიზაციები, ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოება, და სხვა)		
5		

6		
სხვა დაინტერესებული მხარეები (კერძო ორგანიზაციები, სამეცნიერო ინსტიტუტები (თუ ამის საჭიროება არსებობს), შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენლები, თუ აღნიშნული ორგანოები დამგეგმავ ორგანოს არ წარმოადგენენ, ზემოქმედების ქვეშ მყოფი მუნიციპალიტეტები, შესაბამისი ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების წარმომადგენლები, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესაბამისი ერთეულები, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების ქვეშ მოქცეული უცხო ქვეყნების შესაბამისი წარმომადგენლები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)		
7		
8		

==========

დანართი 5: სგშ-ს ანგარიშის განხილვის დროს გასათვალისწინებელი კრიტერიუმები

სგშ-ს ანგარიშის განხილვის დროს რეკომენდებულია ხარისხის შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინება:[46]

- ამოცანები და შინაარსი
  - სტრატეგიული დოკუმენტის დანიშნულება და ამოცანები მკაფიოდ არის ფორმულირებული.
  - გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის მიზნები მკაფიოდ არის ფორმულირებული და ნაჩვენებია მათი კავშირი სგშ-ში განხილულ საკვანძო საკითხებთან.
  - (სგშ-ში ფორმულირებულ) გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის მიზნებსა და სტრატეგიული დოკუმენტის მიზნებს შორის არსებული განსხვავებები და თანხვედრა იდენტიფიცირებულია და აღწერილი.
  - გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხები და პრობლემები გათვალისწინებულია სტრატეგიული დოკუმენტის ამოცანებისა და მიზნების განსაზღვრის პროცესში.
- შეფასების ფარგლები
  - სგშ-ს ანგარიშში სათანადოდ არის გათვალისწინებული სკოპინგის დასკვნა.
  - სგშ-ში გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხები მკაფიოდ არის ფორმულირებული.
  - სგშ კონცენტრირებულია საკვანძო საკითხებზე.
  - დასაბუთებულია, თუ რატომ მოხდა გარკვეული საკითხების ამოღება შემდგომი განხილვის პროცესიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

[46] ჩამონათვალი ემყარება „სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების დირექტივის პრაქტიკულ სახელმძღვანელოს“, პრემიერ მინისტრის ოფისი, გაერთიანებული სამეფო, 2005 წ.

- გარემოსა და ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული საკითხების ძირითადი პრობლემები იდენტიფიცირებული და აღწერილია.
- შეფასების ტერიტორიული მასშტაბები აღწერილია.
- მოსალოდნელი ტრანსსასაზღვრო ზემოქმედებები განხილულია.

- ფონური კვლევა
  - აღწერილია გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკვანძო საკითხების არსებული მდგომარეობა და იდენტიფიცირებულია ტენდენციების ძირითადი მამოძრავებელი ძალები.
  - აღწერილია სტრატეგიული დოკუმენტის განუხორციელობის შემთხვევაში გარემოსა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ასპექტების მოსალოდნელი განვითარება.
  - აღწერილია იმ ტერიტორიების გარემოსდაცვითი მახასიათებლები, რომლებიც ექცევიან მნიშვნელოვანი ზემოქმედების ქვეშ, მათ შორის იმ ტერიტორიების მახასიათებლებიც, რომლებიც სტრატეგიულ დოკუმენტში განხილული ტერიტორიის ფიზიკურ საზღვრებს მიღმა მდებარეობენ.
  - დადგენილია ინფორმაციისა და მონაცემების ნაკლებობა.
- მოსალოდნელი მნიშვნელოვანი ზემოქმედებების შეფასება
  - აღწერილია სტრატეგიული დოკუმენტით გათვალისწინებული საქმიანობების ზემოქმედება გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საკითხებზე და შედარებულია სტრატეგიული დოკუმენტის განუხორციელობის შემთხვევაში მათ შესაძლო მდგომარეობასთან.
  - განხილულია როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი ზემოქმედებები და მითითებულია მათი ხანგრძლივობა (მოკლევადიანი, საშუალოვადიანი ან გრძელვადიანი).
  - იდენტიფიცირებულია მოსალოდნელი მეორადი, კუმულაციური და სინერგიული ზემოქმედებები, სადაც შესაძლებელია.
  - განხილულია ურთიერთკავშირი ზემოქმედებებს შორის (სადაც შესაძლებელია).
  - ზემოქმედებების პროგნოზირებისა და შეფასებისთვის გამოყენებულია სათანადო სტანდარტები, რეგულაციები და ზღვრული სიდიდეები.
  - აღწერილია ზემოქმედებების შეფასების მეთოდები.
  - იდენტიფიცირებულია და შედარებულია გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე თითოეული ალტერნატივის მოსალოდნელი ზემოქმედებები (დადებითი და უარყოფითი).
- ალტერნატივები
  - საკვანძო საკითხებისთვის განხილულია რეალისტური ალტერნატივები, მათი შერჩევის მიზეზები დოკუმენტურად არის დასაბუთებული.
  - ალტერნატივები შეიცავს „არგანხორციელების“ (ნულოვან) სცენარსაც.
  - იდენტიფიცირებულია და შედარებულია გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე თითოეული ალტერნატივის მოსალოდნელი ზემოქმედებები (დადებითი და უარყოფითი).
  - წარმოდგენილია ალტერნატივების შერჩევის ან უარყოფის მიზეზები.
- შერბილების ღონისძიებები
  - მითითებულია სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილების, შემცირებისა და კომპენსირების (და/ან მოსალოდნელი დადებითი ზემოქმედების ხელშემწყობი) ღონისძიებები.

- იდენტიფიცირებულია კონკრეტული (სტრატეგიული დოკუმენტის შემადგენელი) პროექტების შემუშავებისა და დამტკიცების პროცესში გასათვალისწინებელი საკითხები.

- მონიტორინგი
  - მონიტორინგის გათვალისწინებული ღონისძიებები მკაფიოდ არის ფორმულირებული, განხორციელებადია და დაკავშირებულია სგშ-ში მოცემულ ინდიკატორებთან და ამოცანებთან
  - გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონიტორინგი კავშირშია სტრატეგიული დოკუმენტის მონიტორინგის ერთიან სქემასთან.
  - მონიტორინგთან და მნიშვნელოვან უარყოფით ზემოქმედებაზე რეაგირების ქმედებების განხორციელებასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობები განსაზღვრულია.
- სგშ-ს ანგარიში
  - შინაარსი და ფორმა მკაფიო და ლაკონურია.
  - დაწერილია მარტივი, გასაგები ენით, არ იყენებს ან განმარტავს ტექნიკურ ტერმინოლოგიას.
  - იყენებს რუკებსა და სხვა თვალსაჩინო მასალას საჭიროებისამებრ.
  - განმარტავს გამოყენებულ მეთოდოლოგიას.
  - განმარტავს, ვისთან და რა მეთოდებით ჩატარდა კონსულტაციები.
  - მიუთითებს, როგორ იქნა გათვალისწინებული საზოგადოების მონაწილეობისა და დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების შედეგად მიღებული მოსაზრებები სგშ-ს ანგარიშში და/ან სტრატეგიულ დოკუმენტში.
  - მიმოიხილავს სგშ-ს ეტაპზე შემუშავებულ რეკომენდაციებს სტრატეგიული დოკუმენტისთვის და აღნიშნავს, თუ როგორ იქნა ისინი გათვალისწინებული სტრატეგიული დოკუმენტის მომზადების პროცესში.
  - მიუთითებს ინფორმაციის წყაროებს, მათ შორის ექსპერტების შეფასებებსა და საკამათო საკითხებს.
  - შეიცავს არატექნიკურ რეზიუმეს, რომელშიც აღწერილია სგშ-ს მიდგომა, ამოცანები, განხილული ვარიანტები და სგშ-ს შედეგად შეტანილი ცვლილებები.

დანართი 6: სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებისას გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების მონიტორინგის სქემის შესაძლო სტრუქტურა ალაზანი-ივრის მდინარის აუზის მართვის გეგმის პროექტის მაგალითზე.

გარემოსა და ჯანმრთელობის დაცვის ინდიკატორები:

გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მდინარეთა სააუზო მართვის გეგმის განხორციელების ზემოქმედებების მონიტორინგისთვის სასურველია უკვე არსებული და მონიტორინგს დაქვემდებარებული ინდიკატორების (მაგ., გარემოს ხარისხის მონიტორინგის ფარგლებში) გამოყენება. შერჩეული ინდიკატორები დაკავშირებული უნდა იყოს როგორც გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საკითხებთან, ასევე მონაცემებისა და ინფორმაციის შესაძლო წყაროებთანაც. ცალკეულ შემთხვევებში, როდესაც გარემოს ხარისხს და/ან მოსახლეობის მდგომარეობასა და მდინარეთა სააუზო მართვის გეგმის განხორცილებას შორის მიზეზ-შედეგობრივი

კავშირის დადგენა რთული ან შეუძლებელია, ინდიკატორები შეიძლება განისაზღვროს იმ ღონისძიებებისათვის, რომლებიც მოცემული გარემოსდაცვითი თუ ჯანმრთელობის საკითხის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ხორციელდება.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ალაზანი-ივრის სააუზო მართვის გეგმის პროექტის საპილოტედ განხორციელებული სგშ-ის ანგარიშში შემოთავაზებული ინდიკატორები.

მთავარი საკითხები	ინდიკატორები	მონაცემების წყარო	პასუხისმგებელი უწყება
წყლის რესურსები	ახლად აშენებული ან რეაბილიტირებული ჩამდინარე წყლის გამწმენდი ნაგებობების რაოდენობა/წყალარინების სისტემების სიგრძე	• რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო • მუნიციპალიტეტები • ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები	• რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო • მუნიციპალიტეტები
	რეაბილიტირებული/ახლად აშენებული სარწყავი ქსელის სიგრძე (კმ)	• *საქართველოს მელიორაცია*[47] .	• საქართველოს მელიორაცია[48]
ბუნებრივი საფრთხეები	რეაბილიტირებული ღვარცოფდამჭერი ნაგებობების რაოდენობა	• გარემოს ეროვნული სააგენტო • რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	• გარემოს ეროვნული სააგენტო • რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

[47] უმეტეს შემთხვევაში წყალსაცავებთან დაკავშირებული მონაცემების წყაროს შპს ,,საქართველოს მელიორაცია“ წარმოადგენს, თუმცა ცალკეული წყალსაცავები კერძო კომპანიების მფლობელობაშია და აქედან გამომდინარე, შესაბამის მონაცემებზე პასუხისმგებელი ეს კომპანიები არიან.

[48] იმ შემთხვევაში, როდესაც წყალსაცავის მართვას შპს ,,საქართველოს მელიორაცია“ უზრუნველყოფს, თუმცა ცალკეული წყალსაცავები კერძო კომპანიების მფლობელობაშია და აქედან გამომდინარე, ამ წყალსაცავების მართვასა და ტექნიკურ მომსახურებას ეს კომპანიები უზრუნველყოფენ.

	მდინარის ნაპირების ეროზიის შედეგად დაკარგული ან ეროზიისგან დაცული მიწის ნაკვეთების ფართობი	• მუნიციპალი ტეტები • რეგიონული განვითარების ა და ინფრასტრუქ ტურის სამინისტრო	• გარემოს ეროვნული სააგენტო • რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
კლიმატის ცვლილება და მასთან დაკავშირებულ ი რისკები	დაკვირვების პუნქტებში მიწისქვეშა და ზედაპირული წყლის ხარჯის ცვლილება	• გარემოს ეროვნული სააგენტო	• გარემოს ეროვნული სააგენტო, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
	მდინარის აუზზე კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ზემოქმედებების კვლევა	• დონორების მიერ დაფინანსებულ ი პროექტების ფარგლებში მომზადებული შეფასებები/ანგ არიშები, • გარემოს ეროვნული სააგენტო	• გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
ბიომრავალფერ ოვნება, ჰაბიტატები და დაცული ტერიტორიები	მდინარე ალაზნის აუზის ჭალის ტყეების ფართობი (ჰა)	• სატელიტური გამოსახულებე ბი	• გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო
ჯანმრთელობა	წყლით გადამდები დაავადებებით ავადობის შემთხვევები კახეთის რეგიონში	• საზოგადოებრი ვი ჯანმრთელობი ს მონიტორინგის სისტემა	• დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

წყარო: ალაზანი-ივრის სააუზო მართვის გეგმის საპილოტე პროექტის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების (სგშ) ანგარიში, ევროკავშირის პროექტი „წყლის ინიციატივა პლუსი აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისთვის“(EUWI+), 2020.

დანართი 7: სტრატეგიული დოკუმენტის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობების მოკლე მიმდინარე (წლიური) ანგარიშის მაგალითი

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობები	სგშ-ს (რეკომენდაცია) რეკომენდაციები	სგშ-ს რეკომენდაციების შესრულება	კომენტარი
საავტომობილო მაგისტრალის მშენებლობის დაწყება	უპირატესობა უნდა მიენიჭოს დერეფან A-ს, გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად	საავტომობილო მაგისტრალის მშენებლობისთვის შეირჩა დერეფანი A, თუმცა მოხდა გარკვეული ცვლილებები, რომლებიც შესწავლილ იქნა გზშ-ში. გზშ-მ აჩვენა, რომ დერეფნის ცვლილება არ გამოიწვევს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მნიშვნელოვან უარყოფით ზემოქმედებას	
სოფლად მცირე და საშუალო ზომის საწარმოების მხარდამჭერი სქემის ამოქმედება	უპირატესობა უნდა მიენიჭოს ენერგიის ალტერნატიულ წყაროებს	ენერგიის ალტერნატიული წყაროების გამოყენება წარმოადგენდა შეფასების სქემის კრიტერიუმს - იმ პროექტს, რომელიც ითვალისწინებდა ენერგიის ალტერნატიული წყაროების გამოყენებას, მიენიჭა უფრო მაღალი ქულა იმ პროექტებთან შედარებით, რომლებიც ენერგიის ტრადიციულ წყაროებს იყენებდნენ	

==========

დანართი 8: კონსულტანტებისთვის ტექნიკური დავალების შედგენის დროს გასათვალისწინებელი საკითხები

- სგშ-ის მიზანი და დანიშნულება:
  - სგშ-თან დაკავშირებით განსაზღვრული სამართლებრივი მოთხოვნების დაცვა და შესრულება;
  - რეკომენდაციების შემუშავება სტრატეგიულ დოკუმენტში გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკვანძო საკითხების ინტეგრირებისთვის;
  - შესაბამისი დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის უზრუნველყოფა.
- კონსულტანტების მიერ შესასრულებელი ძირითადი ამოცანები:
  - გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხების ფონური მდგომარეობის ანალიზი და სტრატეგიული დოკუმენტის ანალიტიკური ნაწილის შეფასება იმის დასადგენად, თუ რამდენად არის მასში გათვალისწინებული გარემოსა და/ან ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ტენდენციები და პრობლემები;
  - სკოპინგის განცხადების სამუშაო და საბოლოო ვერსიების მომზადება, რაც მოიცავს:
    - გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული იმ საკვანძო საკითხების გამოვლენას, რომლებიც განხილულ უნდა იყოს სგშ-ში, ასევე იმ საკითხების იდენტიფიცირება, რომლებიც მოცემული სტრატეგიული დოკუმენტისთვის მნიშვნელოვანი არ არის და შესაბამისად, მათი ანალიზი აუცილებლობას არ წარმოადგენს;
    - იმ შესაძლო ალტერნატივებისა ან ვარიანტების მონახაზის გაკეთებას, რომლებიც განხილული უნდა იყოს სგშ-ში;
    - მოსალოდნელი ზემოქმედებების ტერიტორიული განზომილების დადგენას;
    - ჩასატარებელი ანალიზისა და კვლევების, და შესაბამისი მეთოდებისა და საშუალებების მითითებას;
    - იმ დაინტერესებული მხარეების დადგენას, რომლებიც ჩართული უნდა იყვნენ შემდგომ ეტაპებზე (მათ შორის, გარემოს დაცვისა და ჯანდაცვის სტრუქტურები და საზოგადოება).
  - სგშ-ის ანგარიშის სამუშაო და საბოლოო ვერსიების მომზადება, შესაბამისი კვლევების ჩატარებით;
  - შესაბამისი დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება, სგშ-ის პროცესში მათი ჩართულობის ხელშეწყობა და მათ მიერ მოწოდებული კომენტარებისა და მოსაზრებების სათანადოდ გათვალისწინების უზრუნველყოფა;
  - თანამშრომლობა და კოორდინაცია დამგეგმავ ჯგუფთან მთელი პროცესის განმავლობაში;
- მიდგომა:
  - სგშ-ის პროცესი უნდა განხორციელდეს, როგორც სტრატეგიული დოკუმენტის მომზადების განუყოფელი ნაწილი, რათა უზრუნველყოფილი იყოს სგშ-ის შედეგების სათანადოდ ასახვა;

    - სგშ-ის მეთოდოლოგია უნდა დაზუსტდეს სკოპინგის ეტაპზე შემკვეთის, სააგენტოს და/ან დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრისა და სხვა შესაბამისი დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების გათვალისწინებით.
- სგშ-ის შესრულების გრაფიკი:
    - სგშ-ის პროცესის გრაფიკი შესაბამისობაში უნდა იყოს სტრატეგიული დოკუმენტის მომზადების პროცესის გრაფიკთან.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კანონი „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი," 2017 წ. https://matsne.gov.ge/ka/document/view/3691981?publication=10
2. საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი", 1999წ. https://matsne.gov.ge/ka/document/view/16270?publication=41
3. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის №2-94 ბრძანება „საჯარო განხილვის წესის დამტკიცების შესახებ", 22 თებერვალი, 2018 წ. https://matsne.gov.ge/ka/document/view/4054941?publication=0
4. სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიში ალაზანი-ივრის მდინარის აუზის მართვის გეგმის პროექტისთვის, გაერთიანებული ერების ეკონომიკური კომისია ევროპისთვის / ევროკავშირის წყლის ინიციატივა პლუს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისთვის (UNECE/ EUWI+), 2020 წ. https://www.euwipluseast.eu/images/2021/02/PDF/RBMP_SEA_Report_GEO_FINAL.pdf
5. სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების დირექტივის პრაქტიკული სახელმძღვანელო, პრემიერ მინისტრის მოადგილის ოფისი, ლონდონი, გაერთიანებული სამეფო, 2005 წ. https://assets.publishing.service.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/7657/practicalguidesea.pdf
6. სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ოქმის განხორციელების ხელშეწყობის სახელმძღვანელო, გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისია (UNECE), 2012 წ. https://www.unece.org/fileadmin/DAM/env/documents/2011/eia/ece.mp.eia.17.e.pdf
7. ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს დირექტივა 2001/42/EC „გარკვეული გეგმებისა და პროგრამების გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ (სგშ-ს დირექტივა), 27 ივნისი, 2001 წელი. https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=celex%3A32001L0042
8. ესპოს კონვენციის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ოქმი (სგშ-ს ოქმი), კიევი, 2003 წ. https://www.oecd-nea.org/jcms/pl_29149/protocol-on-strategic-environmental-assessment-to-the-espoo-convention-kiev-protocol#:~:text=The%20Kiev%20Protocol%20requires%20states,to%20have%20significant%20environmental%20effects
9. რ. თერიველი და ფ. უოლში (2006 წ.) „სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების დირექტივა გაერთიანებულ სამეფოში: ერთი წლის შემდეგ", გამოქვეყნებულია ჟურნალში „გარემოზე ზემოქმედების შეფასების მიმოხილვა".
10. გარკვეული გეგმებისა და პროგრამების გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ 2001/42/EC დირექტივის განხორციელება, ევროპის კომისია, 2003 წ. https://op.europa.eu/en/publication-detail/-/publication/7c2796c8-2786-4faf-bafd-e7bb93082b16